# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 18 თებერვალი 2000 №29 (1051) | ფასი 50 თეთრი


## 2 ჰაიფას მაკაბიმ გახოკიძე დაითხოვა

ქართველმა ნახევარმცველმა ცოფინი თავურით დაანოკაუტა და წაქცეულს დააფურთხა

## 3 საუბრები ღმერთთან

ამდენი „ვითომ“ ეროვნულზე?! ვინ მოგვიჭირა გულზე ხელი, ვინ დაგვასიზმრა ვიქტორია ადამსი?

## 8 სოკა გაკაის სანსკო



33: დღეს ბუდისტი რობერტო ბაჯო ქრისტეს ასაკისა გახდა

## 10 ბავარიული გული

FIA FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP Williams

ძრავიც თუ ლუდივითაა...

## 14 VIVAT ACADEMIA!



ბესიკ ლიპარტელიანი გვპირდება: მალე საქართველოში ასკამოღლებული კალათბურთელები აღარ ითამაშებენ

# იოჰან ბოსკამპი:

## მე შემიძლია მთელი წიგნი დავწერო ქართული ფეხბურთის მაფიურ მეთოდებზე

kicker sportmagazin 10.02.2000 "Ich könnte ein ganzes Buch schreiben über die Mafia-Methoden im georgischen Fußball!"



მერაბ ჟორდანიას და იოჰან ბოსკამპის გზები, ეტყობა, საბოლოოდ გაიყარა

### ასე იწყებოდა

იოჰან ბოსკამპი: ბატონი 99%

იოჰან I. პირველი უცხოელი საქართველოს ნაკრების მწვრთნელის მორყეულ ტახტზე

ქართული ფეხბურთი იოჰან ბოსკამპისგან ახალგაცობას ელის

ჟორდანიამ ბოსკამპის ხელფასი მხოლოდ შევარდნაძეს გაუმხილა

ბოსკამპანია დაიწყო: იოჰან მრისხანემ ზაზა ჯანაშია ნაკრებიდან გააძევა!

ბოსკამპმა საქართველოს ნაკრებს უარი უთხრა, რომელი მიხაელ შუმახერი ზაზა ჯანაშია მყავსო

საქართველო 1:2 საბერძნეთი. მწვრთნელი გვყავს, გუნდი გვეყოლება

დინამო 2:1 ზიმბრუ. შემოტრიალება

ზიმბრუ 2:0 დინამო. დინამო ევროთასებს დაემშვიდობა, იოჰან ბოსკამპი დინამოს

ბოსკამპის დიაგნოზი და პროგნოზი: დინამო აგრესია აკლია. დავრჩები, თუ დინამოელები დარჩებიან

დინამო უმწვრთნელოდ დარჩა. დარჩა იოჰან ბოსკამპს საქართველოს ნაკრები

უშანსოდ და ისევ ბოსკამპით

მომავლის გუნდში ზაზა ჯანაშიას ადგილი არ არის!

### და უცებ...

საქართველო 2:2 ლატვია. ბოსკამპანია დასრულდა

### დასრულდა კი?

იოჰან ბოსკამპი: მე შემიძლია მთელი წიგნი დავწერო ქართული ფეხბურთის მაფიურ მეთოდებზე

ეს სიტყვები 10 თებერვლის „კიკერში“, ბელგიის ჩემპიონატის მიმოხილვისას დაიბეჭდა, ბოსკამპს კი ცოტა ხნის წინ ერთ-ერთი ბელგიური გაზეთისთვის განუცხადებია.

4 თვეა, ჰოლანდიელი საქართველოს ნაკრების მწვრთნელი აღარაა — ორი კვირაა, რაც ბელგიის ჩემპიონი „გენკი“ ჩაიბარა და... კვლავ „სარბიელის“ პირველ გვერდზე გამოჩნდა.

გუშინ ბოსკამპთან დაკავშირება ვერ შევძელით, მეუღლის თქმით, „გენკს“ ბელგიის ჩემპიონატის მორიგი ტურისთვის ამზადებდა. ვეცდებით, უახლოეს „სარბიელში“ ჰოლანდიელის კომენტარი შემოგთავაზოთ „კიკერის“ მოხმობილ მისსავე სიტყვებზე.

# ალექსიძის დებიუტი ჩელსიში გადაიდო

## ლონდონელთა მწვრთნელ გვინ უილიამსის განცხადებით, დინამო სატრანსფერო ფურცელის გაგზავნას აჭიანურებს



რატი ალექსიძე

გურამ ცოცხიშვილის ფოტო

**გუშინწინ** არ შედგა რატი ალექსიძის დებიუტი „ჩელსის" სარეზერვო გუნდში. ის მატჩი ლონდონელებმა 1:0 მოუგეს „კრისტალ პალასს".

„ალექსიძე მზად იყო, მონაწილეობა მიეღო ამ შეხვედრაში, მაგრამ თბილისის „დინამო" კვლავ აჭიანურებს განთავისუფლების ფურცელის გამოგზავნას" — განუცხადა „სქაის" ჩელსის მენეჯერის ასისტენტმა გვინ უილიამსმა. იმავე „სქაის" ცნობით, გუშინ მხარეები საბოლოოდ შეთანხმდნენ ალექსიძის ტრანსფერის დეტალებზე. შეგახსენებთ, რომ ინგლისური მედიის ცნობით, „დინამო" ჯერ 4, შემდეგ კი 6 მილიონ გირვანქას ითხოვდა ქართველ ფორვარდში. თუმცა „ჩელსიმ" საქმეში ადვოკატები ჩარია, რომლებმაც დაამტკიცეს, რომ ალექსიძეს „დინამოსთან" კონტრაქტი არ აკავშირებს.

ამის საფუძველზე რატიმ პირადი კონტრაქტი გააფორმა „ჩელსისთან" 2004 წლის ზაფხულამდე. გუშინდელი ინფორმაციით, კიდევ უფრო დაიკლო თანხამ, რომელსაც „დინამო" მიიღებს. ერთი კვირის წინ „ჩელსის" წარმომადგენელმა განაცხადა, რომ „დინამო" კომპენსაციის სახით 200 000 გირვანქას მიიღებს და თუ ალექსიძე „ჩელსის" ძირითადში მოხვდება, ეს თანხა 800 000 გირვანქამდე გაიზრდებაო. გუშინ კი „სქაიმ" გვინ უილიამსის ინფორმაციაზე დაყრდნობით განაცხადა, რომ თბილისის „დინამომ" 130 000 გირვანქა მიიღო ალექსიძის აღზრდისთვის და თუ ქართველი „ჩელსის" ძირითადში რამდენიმე მატჩს ჩაატარებს, ეს თანხა 500 000 გირვანქით გაიზრდება.

გუშინვე გვინ უილიამსმა დაადასტურა, რომ მოგვარდა ბოლო პრობლემები დიდი ბრიტანეთის დასაქმების დეპარტამენტთან და რატის ახლა ინგლისში მუშაობის უფლება აქვს.

თუმცა კვლავ რჩება პრობლემა თბილისის „დინამოსთან", რომელიც ალექსიძის გათავისუფლების ფურცელს „ჩელსის" არ უგზავნის.

**სიმონ მენაბდე**

# ჭეიშვილი ბირთვს ეძებს...

**წლეულს** ქართველ 18-წლამდელებს ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი ელით. მეცამეტე სამგუნდა ჯგუფში ქართველთა გარდა ესპანელები და ხორვატები არიან და მხოლოდ მათი დამარცხება იძლევა შემდგომ ეტაპზე გასვლის გარანტიას. ჩვენს 18-წლამდელებს საკმაოდ ძლიერი მეტოქეები შეხვდათ და მართლაც დიდი ძალისხმევა მართებთ. ჩვენში ამ ასაკის ნაკრები კი ფაქტობრივად ახლა ყალიბდება, რადგან „კოპალას ბიჭები" გაიზარდნენ, ასაკი მოემატათ და საამნაკრებოდ აღარ გამოდგებიან. წავიდა თავად ვახტანგ კოპალეიშვილიც. მისი ადგილი შოთა ჭეიშვილმა დაიკავა. ბატონ შოთასთან ერთად მეორე მწვრთნელად ზაურ სვანაძე მოვიდა და მათ სამუშაოც გვარიანი დახვდათ. ჭეიშვილის ნაკრებმა უკვე დაიწყო მზადება მომავალი საკვალიფიკაციო ეტაპისთვის და მწვრთნელები ძირითადად სასელექციო საქმიანობით არიან დაკავებულნი, ამისათვის კი უებარი საშუალება საკონტროლო მატჩების ჩატარებაა და თამაშობენ ახალი 18-წლემდელებიც. ნაკრებმა უკვე ექვსი ამხანაგური მატჩი გამართა. გუშინ, ბოლო შეხვედრაში, ჭეიშვილის დამოძღვრილებმა „ლოკომოტივი 2"-ს სძლიეს 2:0. მწვრთნელები კვლავაც ძიებაში არიან და თვის ბოლომდე ნაკრების კანდიდატებს რამდენიმე მატჩშიც გამოცდიან. შოთა ჭეიშვილმა „სარბიელს" ეს უთხრა — ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება მეტი ფეხბურთელი გამოვცადოთ, გავიგოთ მათი კონდიციები და მივიდეთ ბოლო ეტაპამდე — ნაკრების ძირითადი ბირთვის ჩამოყალიბებამდე. ვფიქრობ, ამ პროცესის პირველ ნაწილს თებერვლის ბოლოს მოვრჩებით და ნაკრების მომავალზეც დაწვრილებით მაშინ ვისაუბროთ.

**პაატა ქვანტალიანი**

# ქეცბაიამ მუხლი დაიშავა

**ინგლისელი** ჟურნალისტები თვლიან, რომ ბობი რობსონსა და თემურ ქეცბაიას შორის ურთიერთობა თანდათან წესრიგდება. ისინი იმ ფაქტს იშველიებენ, რომ გუშინ ქართველი „ნიუკასლის" სარეზერვო გუნდს გაჰყვა ნორთუმბერლანდში, სადაც დიდი შოუ მოეწყო — ამ პროვინციაში ხომ ფეხბურთმა 100 წლის წინ მოიკიდა ფეხი.

„ნიუკასლს" სამოყვარულო „ბლაინთ სპარტანსმა" გაუწია მეტოქეობა. „კროფტ პარკის" საშინელ სტადიონზე მატჩს 2036 მაყურებელი დაესწრო.

„ნიუკასლმა" ასეთი შემადგენლობით ითამაშა: გივენი (კარელსე 46), გრივინი, ტელბოტი ფუმაკა (კოპინგერი 46), კალდუელი (ელიოტი 46), ჰოუი, გალიკანი, ჰამილტონი, ქეცბაია (კალდუელი 70), მარიჩი, გლარი (კომინელი 46).

შეხვედრაში ყველაზე მეტად ქეცბაია გამოირჩეოდა და მიუხედავად იმისა, რომ შოუში მონაწილეობდა, საქმეს მაინც პროფესიონალურად მიუდგა. მე-15 წუთზე ქართველმა ხორვატ მარიჩს გაატანინა, შემდეგ კი გლასმა ივარგა. ქეცბაიამ კი 70-ე წუთზე მუხლი დაიშავა და შესაცვლელი შეიქნა. მისი ადგილი უკვე გამოცვლილმა კალდუელმა დაიკავა.

შეხვედრის შემდეგ ბობი რობსონმა განაცხადა, რომ პარაგვაელი გალივანი ფორმას თანდათან იბრუნებს, ხოლო თემურ ქეცბაია და კევინ გალაჰერი ძირითადის მოთამაშეებად რჩებიან.

მატჩის მერე კი გაირკვა — ქეცბაიას იმდენად სერიოზულად დაუშავებია მუხლი, რომ 20 თებერვალს თასის შეხვედრას „ტრანმერთან", ალბათ, გამოტოვებს.

ამასობაში კი „შეფილდ იუნაიტედმა" „ნიუკასლს" მილიონი გირვანქა შესთავაზა ქართველის სანაცვლოდ.

**სიმონ მენაბდე**

# მაკაბიმ გახოკიძე დაითხოვა

## იაკობ შახარმა საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი 10 ათასი დოლარით დააჯარიმა



გიორგი გახოკიძე

ბადრი კითილაძის ფოტო

„**გიორგი გახოკიძე** ტოტოს თასის ფინალში, რომელიც თელ ავივში ეროვნულ სტადიონზე მიმდინარეობდა, პირველი ტაიმის მიწურულს ფეთაჰთიკველ ცაჰი შმარუაჰუს უკნიდან ჩაუვარდა ფეხებში, შემდეგ მისკენ წასულ შარონ ცოფინს თავური უთავაზა და ნოკდაუნში გაგზავნა, ბოლოს კი წაქცეულს თავზე დააფურთხა, რაც კარგად დააფიქსირეს სატელევიზიო კამერებმა".

ეს ნაწყვეტია წერილიდან, რომელიც გუშინ „იერუსალიმ პოსტის" სპორტულმა ჟურნალისტმა გამოაქვეყნა. რონენაბელსის რეპორტაჟი მიეძღვნა ისრაელის ტოტოს თასის ფინალს, რომელშიც ერთმანეთს ჰაიფას და ფეთაჰ თიკვას „მაკაბი" შეხვდნენ.

ეროვნულ სტადიონზე მისული 4000 ფანის თვალწინ შეხვედრა ჰაიფელთათვის მეტად არასასურველად დაიწყო. უკვე მე-5 წუთზე მალიჰმა დააწინაურა ფეთაჰთიკველები, 3 წუთში ამარმა ანგარიში გააორმაგა. 35-ეზე ჰაიფელებს მატჩის გადარჩენის შანსი მიეცათ, კოენმა ანგარიში მინიმუმამდე შეამცირა, თუმც 45-ე წუთზე ზემოთხსენებული ინციდენტი მოხდა, რისთვისაც მსაჯმა ეითან თაბრიზიმ გახოკიძე მოედნიდან გააძევა. საბოლოოდ კი ჰაიფელებმა ფინალი 1:4 წააგო და თასი დაკარგეს.

გოგასთვის მატჩის შემდეგ კიდევ უფრო ცუდი ამბები დაიწყო. „მაკაბის" პრეზიდენტმა იაკობ შახარმა ქართველი 10 000 დოლარით დააჯარიმა და გუნდიდან გაუშვა. „პირადად მე და ფეხბურთელებიც შეურაცხყოფილნი ვართ, მან კრიტიკულ სიტუაციაში მოედანზე გვიღალატა და 10 კაცით დაგვტოვა" — განუცხადა შახარმა ისრაელის ტელევიზიის მეხუთე არხის დილის სპორტული ამბების კორესპონდენტს.

ასე რომ, გახოკიძე უკვე აღარ არის „მაკაბის" წევრი. მის საქმეს სპეციალური სადისციპლინო სასამართლო განიხილავს.

შეგახსენებთ, რომ გიორგი გახოკიძე 2003 წლამდე ჰოლანდიური ეინდჰოვენის პსვ-ს საკუთრებაა, სწორედ პსვ-მ გაანათხოვრა იგი „მაკაბიში". იაკობ შახარმა ქართველში 450 000 დოლარი გადაიხადა. ისე კი ქართველი ნახევარმცველი 3 მილიონ დოლარად არის შეფასებული.

აღსანიშნავია, რომ ეს ზედიზედ მეორე ინციდენტია გახოკიძისთვის ამ კვირაში. ხმები მისი კლუბიდან გაშვების შესახებ წინა კვირის ბოლოს დაირხა, როცა ერთ-ერთი ებრაული სპორტული გაზეთი იუწყებოდა, „აშდოდთან" მწვრთნელის გადაწყვეტილებით უკმაყოფილო გახოკიძემ (იგი ამ მატჩში 35-ე წუთზე შეცვალეს) სტადიონი დატოვა და ამის გამო გუნდიდან გაუშვესო. თუმც ეს ინფორმაცია კლუბმაც უარყო და თავად გოგამაც. გახოკიძემ „სარბიელს" ისიც უთხრა, ამის დამწერმა ჟურნალისტმა გაზეთის საშუალებით მომიბოდიშაო.

გახოკიძემ ამ სეზონში 22 მატჩი ითამაშა „მაკაბის" რიგებში და 2 გოლი გაიტანა. ჰაიფელები ლიდერობდნენ, მწვრთნელმა კი იგი საქართველოს ნაკრებშიც არ გამოუშვა კვიპროსის ტურნირზე.

**სიმონ მენაბდე**

# თბილისის ფიქრები

**საშუასეზონო** მზადებას განაგრძობს პირველი ლიგის დებიუტანტი „თბილისი". ორი დღის წინ რამაზ მუმლაძის შეგირდები ამხანაგურ მატჩში რეგიონალურლიგელ „იბერიას" დაუზავდნენ — 0:0 და საკონტროლო მატჩების რაოდენობაც ოთხამდე გაზარდეს. შეგახსენებთ, რომ მანამდე ექსდინამოელებმა ორი შეხვედრა ჩაატარეს „დილასთან" (2:0, 0:1), ერთ მატჩში კი საქართველოს თვრამეტწლამდელთა ნაკრებთან ფრედ ითამაშეს — 0:0.

ამას წინათ „მესხის თასის" ტურნირზე რამაზ მუმლაძემ „სარბიელს" უთხრა, რომ რამდენიმე გამოცდილი მოთამაშის დამატებას აპირებდა. „თბილისის" მწვრთნელმა სიტყვას საქმეც მოაყოლა და დღეს გუნდში სხვებთან ერთად ექსბათუმელი და ცოტა ხნის წინ „დინამოში" მოვარჯიშე თეიმურაზ გაღელია ირიცხებიან. „თბილისშია" ყოფილი მერანელი მიხეილ ხუციშვილიც. გეხსომებათ, ეს ფეხბურთელი ბოლოს ქართველებისთვის კარგად ნაცნობ მოლდოვურ „შერიფში" თამაშობდა. „შერიფის" და ხუციშვილის გზები გაიყარა და თბილისში დაბრუნებულმა თავდამსხმელმა უყოყმანოდ მიიღო რამაზ მუმლაძის წინადადება. სავარაუდოდ მიხეილ ხუციშვილი სეზონის ბოლომდე დარჩება „თბილისში".

რამაზ მუმლაძის განკარგულებაში არიან სხვა გამოცდილი ახალწვეულებიც: კოტე მელქაძე და ბესიკ ამაშუკელი, ზვიად პაპიძე და ვასილ მაისურაძე. ეს ის ძალაა, რომელიც, მთავარი მწვრთნელის თქმით, „თბილისს" პირველ ლიგაში ადგილს შეუნარჩუნებს. თუმცა დღესდღეობით მუმლაძე მაინც შეფიქრიანებულია, რადგან ვერა და ვერ მოუყარა თავი ოპტიმალურ შემადგენლობას. — გაღელიას, ამაშუკელს და მაისურაძეს ტრავმები აწუხებთ, ავადაა მელქაძეც... მეორე ეტაპი კი კარსაა მომდგარი და მუმლაძის საწუხარიც ესაა.

ხვალ „თბილისი" მორიგ საკონტროლო მატჩს გამართავს „ჭაბუკიანთან", 23 თებერვალს კი სავარაუდოდ ანთალიიდან დაბრუნებულ „ვიტ ჯორჯიას" გაეჯიბრება.

**პაატა ქვანტალიანი**

# ბათუმმა ვისლაც გადმოსცურა

**ნორჩაში** ოცდღიანშეკრებაგავლილი „ბათუმი" გუშინ შინ დაბრუნდა.

— მოსამზადებლად ჩინებული პირობები გვქონდა. თამაშებისგან თავისუფალ დღეებში ორჯერ, ხან სამჯერ ვვარჯიშობდით. გუნდის მწვრთნელი კმაყოფილია, ამბობს, ამ ბიჭებს დიდი მომავალი აქვთო. შემადგენლობა კი, ჯერაც არ ვიცით. კარნევალე ხვალ-ზეგ გვეტყვის იმ ფეხბურთელთა გვარებს, ჩემპიონატის მეორე ეტაპის განაცხადში რომ უნდა შევიყვანოთ. ჩვენ, ახლა ერთი-ორი დღე დავისვენებთ, მერე კი ვარჯიშებს განვაახლებთ. 29-ში ხომ საქართველოს თასზე თამაში გველის — გვითხრა „ბათუმის" პრეზიდენტმა თემურ ბეჟანიძემ.

ოცგუნდიანი ტურნირის სამი თამაშისა და რუმინულ „რაპიდთან" და „რეშიცასთან" უცნაური, ერთტაიმიანი მატჩების გარდა ბათუმელებმა სამი ამხანაგური შეხვედრაც ჩაატარეს: პოლონეთის „ზაგლებე" ტულუშის, ქორიძის, აფხაზავასა და პეტრიაშვილის გოლებით 4:1 დაამარცხეს; 3:2 მოუგეს პოლონეთის ჩემპიონატის ამჟამინდელ ლიდერ კრაკოვის „ვისლას". გოლები ხომერიკმა, მაჭუტაძემ და პენალტიდან ქორიძემ გაიტანეს; რუმინულ „არჯეშთან" კი 1:2 დამარცხდნენ. მწვრთნელი ჯანი კარნევალე გუნდს ყოველ მატჩში თურმე ორი შემადგენლობით ათამაშებდა, ასე უკეთ დავრწმუნდები ფეხბურთელთა შესაძლებლობებშიო, ამბობდა იტალიელი.

**კობა ინასარიძე**

# ფეხბურთის და ფეხბურთელის ტრაგედია



სარბიელის არქივიდან

თანამედროვე ფეხბურთი დიდი ბიზნესია, სადაც აურაცხელი ფული იშოვება. მ...იონების თვლას ვერ აუდიან მსოფლიოს წამყვანი საფეხბურთო კლუბები, მილიონერები გახდნენ ფეხბურთელები. მოკლედ, ფულმა წალეკა საფეხბურთო მსოფლიო. იქ იციან, როგორააწყონ საქმე, ძალუძთ მომგებიანი, ლეგალური ბიზნესის კეთება. ეს დაუსრულებელი პროცესია, საათივით აწყობილი მექანიზმი. მოგებას მოგება მოაქვს.

საქართველოშიც თამაშობენ ფეხბურთს, მაგრამ ფული ძალიან ცოტაა, ევროპასთან შედარებით სასაცილოდ ცოტა. ეს იმიტომ ხდება, რომ ჩვენში საფეხბურთო ბიზნესის წარმოება, თანაც ლეგალურის (გნებავთ, კანონიერი დაარქვით), ორიოდ კაცმა თუ იცის.

ზოგს ფეხბურთისთვის თავისი თეთრიც არ დაუხარჯავს და მოგებაზე ფიქრობს. ევროპელებს ეღრებიან, იმაზე არავინ ძრავს კრინტს, სანამ „მანჩესტერ იუნაიტედი" „უთვალავ" თანხას იშოვიდა, რამდენი ფიქრი, ენერგია და ფული დაიხარჯა საქმის ასაწყობად.

ჩვენში საკლუბო ბიზნესი არ არსებობს (ეს, რა თქმა უნდა, ნორმალური გაგებით). ფულის შოვნის ერთადერთ საშუალებად ფეხბურთელთა გაყიდვა (გნებავთ, განათხოვრება) გაუხდიათ. ყიდიან ყველას (უფრო სწორედ ცდილობენ გაყიდონ) განურჩევლად ასაკისა, ყიდიან ყველგან.

შეაგროვებენ ქართველ მობურთალებს, ცხვრის ფარასავით მოაგროვებენ და გაუყვება გზას ქარავანი. სად არ ყოფილა ქართველი ფეხბურთელი, ალბათ, ყველა კონტინენტზე, სადაც ბურთი გაგორებულა.

იმ ქარავანს თავში მუდამ სხვადასხვა კაცი მიუძღვის, გაურკვეველი წარსულის და პროფესიის ადამიანი, რომელიც საკუთარ თავს საფეხბურთო აგენტად ასაღებს.

თურქეთი, საბერძნეთი, რუსეთი, პოლონეთი, ჩინეთი, ბანგლადეში... არ უჩანს გზას დასასრული. ქანცგამცლელი მოგზაურობის შემდეგ (უცხოური ვოიაჟი დაახლოებით ორ-სამ თვეს გრძელდება) თითქმის ყველა ქართველი ეროვნულ ჩემპიონატს უბრუნდება, რა თქმა უნდა, გადაღლილი და ფორმადაკარგული.

დაახლოებით ორი წელი დაკარგა მიხეილ აშვეთიამ მოგზაურობაში. ამ დროის მანძილზე თვითმფრინავებში მეტ ხანს იმყოფებოდა, ვიდრე საფეხბურთო მინდორზე.

ერთი ხანობა ზუგდიდური „ოდიშიდან" პოლონეთშიც გაიჭრა გზა. ოდიშელთა პრეზიდენტის ვახტანგ ნანავას მეთაურობით, ზუსტად ვერ გეტყვით, რამდენი ფეხბურთელი გამოეკიდა იმ გზას, მაგრამ უმრავლესობა ცარიელ-ტარიელი დარჩა. „ოდიში" პირველ ჯგუფს დაემშვიდობა, მერე სულ გაქრა ქართული საფეხბურთო რუკიდან.

დღესაც ბევრი დაძრწის ალმა-დალმა. ხან რუსეთშია, ხანაც უკრაინაში. სულ ცინცხალი ამბავია, ერთ-ერთი ჩვენებური მახაჩყალის „ანჟიმ" დაითხოვა. ის ფეხბურთელი თვენახევარია, უკვე წვალობს.

ზემოთ აღნიშნულ მენეჯერებზე (თუ საფეხბურთო აგენტებზე) კიდევ რა გვეთქმის. ისინი თუ წაიყვანენ ფეხბურთელს, ხელმოცარვის მერე შინ მაინც აბრუნებენ, მაგრამ უნამუსოებს და ულვთოებს რა უნდა მოუხერხო. სამწუხაროდ, ასეთებიც არსებობენ საფეხბურთო საქართველოში.

მე არ დავასახელებ ქალაქს, საიდანაც ის ფეხბურთელი წაიყვანეს, არც კლუბს, სადაც თამაშობდა და ბუნებრივია, არც მის ვინაობას გაგიმხელთ. იგი ძალიან დაიტანჯა, საკმაოდ ეწამა და არ მსურს, ტკივილი განუახლდეს.

მამუკას (პირობითად ასე მოვიხსენიებ) არასდროს უთამაშია საქართველოს ნაკრებში, მაინცდამაინც არც კლუბები იკლავდნენ თავს მისი გადაბირებისთვის, მაგრამ მისი გუნდისთვის სასარგებლო მოთამაშედ ითვლებოდა. უბოროტო ბიჭი იყო, ალალი.

ერთ დღესაც მას მავანი კაცი გამოეცხადა და რუმინეთში გამგზავრება, იქაურ საფეხბურთო კლუბში მოწყობა შესთავაზა. ათასგვარი ილუზიებით გააბრუა ბიჭი.

უჭირდათ ოჯახში, იფიქრა, ცოტას წელში გავიმართებითო. ისესხა სამყოფი ფული და გაჰყვა იმ კაცს. უკეთური ადამიანი რუმინეთში ჩასვლისთანავე დაუძვრა ხელიდან, თან მთელი ფული წაიღო.

დარჩა მარტო უცხო მხარეში. გროშებს ძლივს უყრიდა თავს, ნანგრევებში ცხოვრობდა მშიერ-მწყურვალი. სანამ ზაფხული იყო, კიდევ ადგა საშველი. აცივდა, დასველდა ერთხელ, მეორედ. ავად გახდა, წყალი ჩაუდგა ფილტვებში. ვინ გიშველის, ვის სჭირდები.

ხოხვით მიაღწია საავადმყოფომდე და გულწასული დავარდა კარებთან. გულმოწყალე და ღვთისნიერი აღმოჩნდა ერთ-ერთი ექიმი. ერთი კვირა თავისი ხარჯებით უმკურნალა. ოდნავ მოიხედა ამქვეყნისკენ.

ერთკვირიანი მკურნალობა რას უშველიდა ფილტვებდაავადებულს. იწვალა კიდევ დიდხანს, მანამ, სანამ შემთხვევით საგასტროლოდ წასული თანაქალაქელები არ გადააწყდნენ თითქმის სულთმობრძავს.

საქართველოში ჯერაც არ დაკარგულა ყველა სიკეთე. ყოფილმა თანაგუნდელებმა ჩაიხუტეს უკვე გამოგლოვილი. ექიმის დიაგნოზი ასეთი იყო — მკურნალობა აბასთუმანში და კარგი კვება.

კლუბის თავკაცებმა აბასთუმანში მგზავრობის და დაბინავების ხარჯები გაიღეს, მეგობრებმა საკვებით უზრუნველყვეს.

ქართველმა გაიმეტა დასაღუპად, ქართველებმა გამოგლიჯეს ხელიდან სიკვდილს.

სამი თვის წინ შევხვდი მამუკას, შემთხვევით გადავეყარე თავისივე ქალაქში. გამხდარიყო, დაპატარავებულიყო. ერთ დროს ჯანმაგარი, ენერგიული და იუმორით აღსავსე ჭაბუკის არაბუნებრივმა, ავადმყოფურმა იერმა გამაოგნა. თვალებში ცრემლი ედგა.

სულ ასეა, მითხრა მისმა ერთ-ერთმა მეგობარმა.

„ნუ მიხვალ, ინერვიულებს, ცუდად გახდება" — ჩამილაპარაკა მანვე. თვითონ დაგვინახა, მოვიდა. მოვიკითხეთ, ჩავიხუტეთ.

„არ შეგეშინდეს, კარგად გამოიყურები. შენ კიდევ ითამაშებ ფეხბურთს, მე კი „სარბიელში" დავწერ, რომ მამუკამ მოხდენილი დრიბლინგით მოწინააღმდეგის ორი მცველი მოატყუა და ძლიერი დარტყმით ანგარიში გახსნა".

ვითომ?! თავი გააქნია ნაღვლიანად. დაუმშვიდობებლად გაგვეცალა. მე კი გულში რაღაც ჩამწყდა. ვიცოდი, რომ ის ვერასდროს ითამაშებდა ფეხბურთს.

არ ვიცი, რატომ ხდება მსგავსი ამბები. ამქვეყნად რაღაც ზნეობრივი კანონები ხომ მაინც უნდა არსებობდეს?!

ამიტომ, მერე სანანებელი რომ არავის გაუხდეს, აქედანვე ვამბობთ, ნუ ენდობით ყველა ვითომ საფეხბურთო აგენტს. ნუ წახვალთ საზღვარგარეთ უვარჯიშებელნი და მოუმზადებელნი. ნუ დატოვებთ ეროვნულ ჩემპიონატს მანამ, სანამ საევროპოდ მზად არ იქნებით.

ისე, ფეხბურთის ფედერაციამ კი უნდა იცოდეს, სად მიდის, ან ვის მიჰყავს მის ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელი. საერთოდ იციან კი ჩვენი ფეხბურთის მესვეურებმა, რამდენი „საფეხბურთო აგენტია" საქართველოში?

**მამუკა ქვანტალიანი**

# საუბრები ღმერთთან

## საუბარი პირველი

### თავი პირველი, ანუ შესავლის მაგიერ

ეროვნულზე ვიჯექი. ფეხბურთს ვუცქერდი — ვითომფეხბურთს. იქ, ვითომმინდორზე, ვითომფეხბურთელები დასდევდნენ (ვითომ) ბურთს და ერთმანეთს ვითომგატანაში ეჯიბრებოდნენ. მივხვდი, გოლს ვერ ვნახავდი და მზესუმზირის დამტარებელს დავუწყე ლოდინი — მზესუმზირა ქართულ ფეხბურთზე გაცილებით უკეთესი გასართობი საშუალებაა.

მერე, როცა არც მემზესუმზირე გამოჩნდა და ერთმა ვითომბომბარდირმაც იქ არ დაარტყა, სადაც საჭიროა, გულზე ვილაცამ ხელი მომიჭირა (ვითომ) და...

### თავი მეორე

რომ გამოვერკვიე, სადღაც უცხო ოთახში ვესვენე დაახლოებით ბუფონის მაისურისფერ დივანზე, ენის ქვეშ ვალიდოლი ამოედოთ. თავქვეშ მოლდოვის „ზიმბრუს" შარფი და ლევერკუზენის „ბაიერის" მაისურით მინიავებდნენ. ნელნელა გამოვერკვიე ბურანიდან და ზუსტად ისე ვიკითხე, როგორც ინჟინერმა საირუს სმიტმა ლინკოლნის კუნძულზე მოხვედრისას — კუნძულზე ვარ თუ მატერიკზე? მამაზეციერის მისალებშიო, რომ მიპასუხეს, თვალები რაც შემეძლო დავაჭყიტე და რას ვხედავ, თავზე ვიქტორია ადამსი-ბექემისა მადგას. ეცვა და არც ეცვა — დაახლოებით იმ გარდერობში იყო, როგორშიც პელე დატოვეს ბრაზილიელმა ქომაგებმა 1970 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალის შემდეგ — სადა ვარ? — მეორედ უფრო განწირული ხმით ვიკითხე და ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად თვალები რაც შემეძლო მაგრად მოვხუჭე.

მისის ბექემმა რაღაც წაიბუტბუტა წყეული იმპოტენტების შესახებ და სადღაც გასულმა ისე მოაჯახუნა კარები, კინაღამ მეორედ წავედი ბურანში...

### თავი მესამე

იმ, ბუფონისმაისურისფერდივნიანი ოთახიდან მეორეში გამიძღვა ვიქტორია — ზურგი რომ მაჩვენა, პატარა, სულ პააატარა ფრთები შევნიშნე ზედ. ამან კი დამაინტერესა, მაგრამ ცოტა ხანში ისეთ ადგილას აღმოვჩნდი, სულ დამავიწყდა ყველაფერი — სავარძელში სპეტაკწვერიანი, უსიმპათიურესი ჭარმაგი მოხუცი იჯდა, ყელზე „მანჩესტერის" შარფით, ტორსზე „ლაციოს" ფორმითა და „იუვეს" (კი, კი, ნამდვილად) შორტებით. ესაა, მამაზეციერი?! გავიფიქრე. მერე რაა, რომ აჭრელებულა კამპოსის...

— არ დაამთავრო — მომაძახა კომბინირებულფორმიანმა მოხუცმა — ღვთის გმობაში ჩაგეთვლება და დაგერხევა, ესენგეზე „დინამოს" რომ დაერხა, ისე.

— მართლა შეძლებია ფიქრების გამოცნობა — ის იყო გამიელვა გონებაში და პასუხიც არ დამიგვიანეს — დალოცვილო, პენალტების გამოცნობა და იქით გატანა ისწავლა „ჰამბურგის" მეკარემ და ჩემი რა გიკვირს? — რა მეთქმოდა, მართალი იყო.

— არ მჭირდება მე შენი დასტური. ამოიღე აწი ხმა და იმაზე მიპასუხე, რასაა, რომ დაამსგავსეთ ქართული ფეხბურთი?

— მე რა შუაში ვარ? — ავიჩეჩე მხრები.

— ასე იძახით თქვენ ყველანი. აბა, ვინაა შუაში, მითხარი, მაგ უტიფრობის გამოა, „ზიმბრუს" შარფით და „ბაიერის" მაისურით რომ შეგახვედრე ბექემის ცოლი, „შლემა უონდერერსის" გეტრები დამეკარგა სადღაც, თორემ...

### თავი მეოთხე

მერე, კარგა ხნის საუბრის მერე, როცა გავარკვიე, რომ მოხუცი მართლა მამაზეციერი იყო, ვიქტორია მართლა ანგელოსი და მეც მართლა მათთან ვიყავი...

— რას გვერჩი, უფალო? — რაზე მეკითხები, ბიჭო? — ისე მიამიტად მკითხა მამაზეციერმა, თითქოს ორზე მეტი კოსმოსური საათი ფეხბურთზე კი არა, გოგრის ჯიშებზე გვესაუბროს.

— ღმერთო, თქვენ მე სულელი ხომ არ გგონივართ?

— არა, ბიჭო, საქართველოს ჩემპიონატის თამაშზე რომ კაცი ინფარქტს მიიღებს, ნორმალურია ის? — იქედნურად ჩაიცინა ღმერთმა. დაცინვამ ამაპილპილა.

— მოგვხედე მერე და აგვიმაღლე დონე

— წნევას აგიმაღლებთ — დამამშვიდა მამაზეციერმა — თქვენ ფეხი ფეხზე გადადებულები ფიფა-უეფას ფულებს ელოდეთ და მე დონეს აგიმაღლებთ.

— ერთბაშად კი არ გთხოვთ, უფალო, პატარა წამოგვიკარი ხელი. რაა თქვენთვის ერთი ადგილი ჩემპიონთა ლიგაში და ერთიც მსოფლიოს ჩემპიონატზე, ეს უცებ და მერე ნელ-ნელა...

— ეეუუჰ! ეს ალან სმიტზე თავხედი ყოფილა — შეიცხადა ღმერთმა — შენ სკოლაში საღმრთო სჯულს არ გასწავლიდნენ? იცი, რამდენი ხანი მოვანდომე სამყაროს შექმნას?

— აბა, საიდან, გაკვეთილების მაგიერ ქუჩაში ფეხბურთს ვთამაშობდით ბიჭები — დავიმორცხვე აშკარად.

— ჰო-ჰო-ჰო, შენც კოპაკაბანას პლაჟებზე თამაშობდი, ზედ გეტყობა, რა ფეხბურთელიც იქნებოდი.

— ყველა ფეხბურთელი ვერ იქნება — ჩავიბურტყუნე მე — სხვათა შორის, არავის დასაცინი არაფერი გვჭირს ქართველებს.

— წავიდა მაგ დრო, ზოგი პაოკ-საც ჰკითხეთ — ისევ გაეცინა უფალს.

— „ბილბაოს" რომ მოვუგეთ? — ვითომ ჯიბრში ჩავუდექი ბოლომდე. მამაზეციერმა ერთხანს გამჭოლად მიცქირა, მერე ღილაკს თითი დააჭირა და ოთახში მისის ბექემი შემოფრთხიალდა.

— ვიკა, მიდი ერთი, სადღაც „ვარზობის" გეტრები უნდა ეგდოს და იმით პირი აუკარი ამას — ამ სიტყვებით მოხუცი... ზიდანად არ გადაიქცა?! ნამდვილ, იუვენტუსელ ზიდანად.

— ზიზუ — წავიბუტბუტე თავზარდაცემულმა და...

...გონზე რომ მოვედი, „ეროვნულზე", პლასტიკატის სკამებზე ვიწექი. მემზესუმზირე წიგნის ფურცლებით მინიავებდა და — ადე, შინ წადი, მორჩა ფეხბურთიო — მეუბნებოდა.

იმან რა იცოდა...

**კონსტანტინე გოგიშვილი**

# ქართული ფეხბურთი ხუთ ლარად



გამოვიდა რევაზ შენგელიას ქართული ფეხბურთის ყოველწლიური წიგნი. რიგით მერვე გამოცემაში გაეცნობით ათი ეროვნული ჩემპიონატის სრულ სტატისტიკას, პირველი და რეგიონალური ლიგის კლუბთა განაცხადებსა და იხილავთ მათ გუნდურ ფოტოებს.

1998-99 წლების ჩემპიონატის შედეგები და თასის გათამაშების ყველა მატჩი, საქართველოს ნაკრები გუნდების შეხვედრები, ევროპის საკლუბო ტურნირები და ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის თამაშები — ეს ყველაფერი და კიდევ სხვა ბევრი საინტერესო ქართული ფეხბურთის შესახებ სულ რაღაც 5 ლარად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხურცილავას ოქროს სიტყვამ ანჟი და მიქაძე დააქორწინა

## დავითნიძე დაიწუნეს, ტყუპებს კვლავ აკვირდებიან

„ლოკომოტივი“ — „დინამოს“ სკანდალური მატჩის ანტიგმირი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ დისკვალიფიცირებული ლევან მიქაძე ამიერიდან რუსეთის უმაღლეს დივიზიონში ითამაშებს.

თვენახევრიანი დაკვირვების შემდეგ მახაჩყალის „ანჟის“ ხელმძღვანელობამ ჩვენებურს კონტრაქტი გაუფორმა:

— მოხარული ვარ, რუსეთში რომ ვითამაშებ. აქ არც ისე ადვილია სამუშაოს პოვნა და ამიტომ განსაკუთრებით ფასობს ჩემი პატარა წარმატება. ჩვენ, ქართველები, კავკასიაში ყოველთვის კომფორტულად ვგრძნობთ თავს. ვლადიკავკაზის შემდეგ სწორედ მახაჩყალა გახდება ის ქალაქი, სადაც ქართველი ფეხბურთელები სიამოვნებით გაეშურებიან.

რაც არ უნდა იყოს, სამშობლოდან ახლოს ვიქნებით — განუცხადა მიქაძემ „სპორტ ექსპრესის“ კორესპონდენტს.

„ანჟიში“ გადაბარგებით კმაყოფილმა ჩვენებურმა არც მურთაზ ხურცილავას დაუვიწყა ამაგი და ცალსახად აღნიშნა: „ტრანსფერის განხორციელებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის ბატონ მურთაზს. სწორედ მან გამიწია რეკომენდაცია მახაჩყალურ კლუბის თავკაცებთან. ხურცილავას დარი სპეციალისტის სიტყვას ოქროს ფასი აქვს. კარგია, რომ ნდობა გავამართლე და „ანჟიში“ ჩავირიცხე“.

მაშ ასე, ლევან მიქაძე ალექსანდრე გოგობერიშვილთან ერთად რომ მახაჩყალელთა ღირსებას დაიცავს, უკვე ოფიციალურად გაცხადდა. რა ბედი ეწევათ დანარჩენ ჩვენებურებს, რომლებიც დაღესტანში გასინჯვაზე იმყოფებიან — კოლხ გიორგი დავითნიძესა და „იბერიის“ ტყუპ გიგიაძეებს?

პირველის საკითხი უკვე გაირკვა. მოსკოვის „ტორპედოს“ თავკაცის, ვიტალი შევჩენკოს მიერ დაწუნებული დავითნიძის გუნდში აყვანა „ანჟის“ მთავარმა მწვრთნელმა გადჟი გადჟიევმაც იუარა:

— ჩემი კლუბი რომ ზონურ დაცვას პერსონალური მეურვეობის პრინციპს არჩევდეს, მაშინ სხვაგვარად მოვიქცეოდი. დავითნიძე ჩვენს სათამაშო სქემას არ ერგება. სწორედ მის მიერ დაშვებულ შეცდომებს მოჰყვა ის ორი გოლი, თურქულ შეკრებაზე რუმინეთის „სპორტულმა“ რომ გაგვიტანა. ეს ფეხბურთელი შინ გაემგზავრება — პირდაპირ თქვა გადჟიევმა.

რაც შეეხებათ გიგიაძეებს, ისინი კვლავაც განაგრძობენ „ანჟისთან“ ერთად ვარჯიშს. როგორც ამბობენ, ტყუპებს კარგი შანსი აქვთ, ლევან მიქაძის ბედი გაიზიარონ.

**ხვიჩა სანიკიძე**



გურამ ასკაროლლიზე გაწეულ ლევან მიქაძეს (№15) გაჭირვებით აკავებენ

# საშუასეზონო მიდი-მოდი

| I–VIII | გასხვისებულები | ახალწვეულები | მატჩები |
|---|---|---|---|
| **ტორპედო** *დავით ყიფიანი* | მაზანიშვილი (სიონი), კ. ჯანაშია, ჩხაბერიძე (სამგურალი), ვ. მაისურაძე (თბილისი) | გ. გოგოლაძე, თავბერიძე, ვადაჭკორია, კვერნაძე, ბაბუნაშვილი (ინტერი), ქადაგიძე (ნორჩი დინამოელი) | ქოიზმეთესფორი (თურქეთი) 5:0, შინიკი (რუსეთი) 0:1, ნოსტა (რუსეთი) 2:2, ვენტსპილსი (ლატვია) 2:1, ანთალია 2 (თურქეთი) 3:1, იესილი (ყაზახეთი) 0:0, ლევსკი (სოფია, ბულგარეთი) 1:2, ყაზახეთი 2:2, დუსტლიკი (უზბეკეთი) 4:3, სპარტაკი (ვარნა, ბულგარეთი) 1:3 |
| **დინამო** *ოთარ კორღალიძე* | აშვეთია (ალანია, რუსეთი), ალექსიძე (ჩელსი, ინგლისი), ლომაია (ლოკომოტივი), ზირაქიშვილი (ბელასიცა, პეტრიჩი, ბულგარეთი), ხომერიკი (ბათუმი), თ. კობიაშვილი (ვიტ ჯორჯია), ვ. გოგიაძე, ს. გოგიაძე (ანჟი, რუსეთი) | გოგიჩაიშვილი (ლოკომოტივი), კერძევაძე (ქიაფაზი, აზერბაიჯანი), ქემოკლიძე, ო. გველესიანი, ზამთარაძე, რუხაძე, გ. მიქაძე, ა. ჩიხრაძე (თბილისი), დათუაძე (სიონი), შელია (მანჩესტერ სიტი, ინგლისი), რ. არველაძე (ობერჰაუზენი, გერმანია), გონჩაროვი (არსენალი), ჩხეიძე (არ თამაშობდა) | ვიტ ჯორჯია 3:2, ლოკომოტივი 1:2, საქართველო U21 2:2, ცაგ დინამო (ყირგიზეთი) 5:2, ვარზობი (ტაჯიკეთი) 3:5, ირტიშ ბასტაუ (ყაზახეთი) 5:2, მერანი 0:0, დებრეცენი (უნგრეთი) 0:1, რუბინი (რუსეთი) 2:3 |
| **კოლხეთი** *გია ტყებუჩავა* | დ. გოგოლაძე (ვენტსპილსი, ლატვია), ჭოხონელიძე (დილა), ბულუხია, გ. გიორგაძე (თამაში მიატოვა), მელაძე, დავითნიძე (?) | მ. ქობულაძე, შავგულიძე (ლოკომოტივი), გ. ჩიტაია (დილა), ფანჩულიძე, შ. ჩხენკელი (ტრავმის გამო არ თამაშობდნენ), დ. კვირკველია, კრასოვსკი (კოლხეთი 2), რ. ახალკაცი (თუმენი, ბულგარეთი) | ნივა (ტერნოპოლი, უკრაინა) 1:1, სტალი (ალჩევსკი, უკრაინა) 0:1, 1:1, პოლიგრაფტეხნიკა (ალექსანდრია, უკრაინა) 2:1, 1:2, 0:2, ობოლონ პპო (კიევი, უკრაინა) 0:0 |
| **ბათუმი** *ჯანი კარნეველი* | პაპიძე (თბილისი), კანტიძე (თამაში მიატოვა), გადელია (თბილისი), უვაკვე (?) | ხომერიკი (დინამო), ჩლაიძე, თარგამაძე (არსენალი), პეტრიაშვილი (სამგურალი), ბარნოვი (ლოკომოტივი), ბოკიჩი (ნაციონალი, ბუქარესტი, რუმინეთი) | რეშიცა (რუმინეთი) 1:2, არეცო (იტალია) 3:1, სტიაუა (რუმინეთი) 3:4, არჯეში (რუმინეთი) 1:2, ზაგლებიე (პოლონეთი) 4:1, ვისლა (პოლონეთი) 3:2 |
| **ვიტ ჯორჯია** *სერგო კუტივაძე* | კ. ალადაშვილი (გორდა), მაზიაშვილი (თსუ) | ლ. მელქაძე (თბილისი), ი. ხაჭაპურიძე (სამგურალი), მერლანი (თსუ), თ. კობიაშვილი (დინამო) | ზოოვეტი 5:0, დინამო 2:3, თსუ 6:4, დილა 1:0, მერანი 0:0, სიონი 1:0, საქართველო U21 1:0, არსენალი 2:1, ფენდიქსფორი (თურქეთი) 3:1, სპორტული (რუმინეთი) 1:1, სლოგა (მაკედონია) 3:0, ნოიდორფი (ავსტრია) 0:0, პოგონი (პოლონეთი) 1:1 |
| **სიონი** *სპარტაკ არჩვაძე* | დათუაძე (დინამო), დ. გოდერძიშვილი, ნ. მინდიაშვილი, მ. მინდიაშვილი (ლოკომოტივი) | მაზანიშვილი (ტორპედო), ისიანი (თბილისი), დაუშვილი (არსენალი) | ვიტ ჯორჯია 0:1, არსენალი 1:1, 1:3, გორდა 1:1, 0:0 |
| **დილა** *მერაბ კოჭლოშვილი* | გ. ჩიტაია (კოლხეთი), თაყაძე (შერიფი, მოლდოვა) | საყვარელიძე (დილას სკოლა), ჭოხონელიძე (კოლხეთი) | ვიტ ჯორჯია 0:1, ლოკომოტივი 3:1, თსუ 0:0, თბილისი 0:2, 1:0, მერანი 0:0, 0:5, არსენალი 1:1 |
| **იბერია** *სოსო ფრუიძე* | კ. მეტრეველი (დნეპრი, უკრაინა), ზ. მეტრეველი (ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა), დარსაძე (სამგურალი), ქველაძე (?) | | |

| IX–XVI | გასხვისებულები | ახალწვეულები | მატჩები |
|---|---|---|---|
| **ლოკომოტივი** *რევაზ ძოძუაშვილი* | გოგიჩაიშვილი (დინამო), მ. ქობულაძე, შავგულიძე (კოლხეთი), ბარნოვი (ბათუმი), ლ. მიქაძე (ანჟი, რუსეთი), ქებაძე (ირაკლისი, საბერძნეთი), ბარამიძე (პიერიკოსი, საბერძნეთი), დ. ჯანელიძე, ნივნივაძე (არსენალი), ჩომახიძე (ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა), კ. მელქაძე, ამაშუკელი (თბილისი), ნემსაძე, დოლაბერიძე (?) | ლომაია (დინამო), კვარაცხელია, აბრამიძე, ზ. ხიზანიშვილი (თბილისი), ხუროძე (სკონტო, ლატვია), ძოძუაშვილი (სამგურალი), დ. გოდერძიშვილი, პარამონოვი (თბილისი 2), ჭიჭვეიშვილი (ალანია, რუსეთი), თოლორდავა (მერანი), ა. ჯულაძე (ალ იტიჰადი, საუდეთი), გ. გვაზავა (თსუ), ონიანი (ხობი), ნიკურაძე, გულორდავა (გურია), მორჩილაძე, არეშიძე (ლოკომოტივი 2), დევდარიანი (ცხუმი), გამცემლიძე (არ თამაშობდა) | დინამო 2:1, დილა 1:3, მერანი 2:2, 0:1, თსუ 1:0, 2:2, ასკ (ხაბაროვსკი, რუსეთი) 2:1, აეკ (ლარნაკა, კვიპროსი) 1:0, შერიფი (მოლდოვა) 0:2 |
| **გორდა** *იასონ ალადაშვილი* | ინასარიძე (თორი), ლ. ალადაშვილი (აპოლონი, საბერძნეთი), თელიაშვილი (?) | კ. ალადაშვილი (ვიტ ჯორჯია), ბედიაშვილი (თბილისი), გაბარაევი (მამული), დ. ნიკლაური, სულაშვილი, ძებისაშვილი, ლ. კაპანაძე (ხალიბი), ლ. სილაგაძე (სკონტო 2, ლატვია), ბურნაძე, შ. მეტრეველი (არ თამაშობდნენ) | ხალიბი 4:3, 3:2, სიონი 1:1, 0:0 |
| **თსუ** *თენგიზ კაცია* | მერლანი (ვიტ ჯორჯია), ნინუა (ბელასიცა, პეტრიჩი, ბულგარეთი), გ. გვაზავა (ლოკომოტივი) | მაზიაშვილი (ვიტ ჯორჯია), ფუტკარაძე (ინტერი), ჯავახიშვილი (განთიადი), ნანიშვილი (ცხუმი), სულავა (ნორჩი დინამოელი) | ვიტ ჯორჯია 4:6, ლოკომოტივი 0:1, 2:2, მერანი 1:0, ზოოვეტი 4:2, დილა 0:0 |
| **მერანი** *სერგო გაბელაია* | ხარებავა, ე. ალადაშვილი (არსენალი), დავითაშვილი (არსენალი, ტულა, რუსეთი), ბ. ამბიძე, ლ. ამბიძე (დინამო, ასტრახანი, რუსეთი) | კოშკაძე, ავალიანი, მელიქია, კვანტალიანი, მიკუჩაძე (ამირანი), გ. ილურიძე, აბულაძე (განთიადი), ბოლქვაძე (გურია), ა. ხორხელი (არ თამაშობდა) | ვიტ ჯორჯია 0:0, ლოკომოტივი 2:2, 1:0, დინამო 0:0, თსუ 0:1, ქაბუკიანი 1:1, ცხუმი 6:0, 3:1, დილა 0:0, 5:0 |
| **თბილისი** *რამაზ შუშლაძე* | ქემოკლიძე, ო. გველესიანი, ზამთარაძე, რუხაძე, გ. მიქაძე, ა. ჩიხრაძე (დინამო), კვარაცხელია, აბრამიძე, ზ. ხიზანიშვილი (ლოკომოტივი), ისიანი (სიონი), ლ. მელქაძე (ვიტ ჯორჯია), ვალერი გაგუა (სკონტო, ლატვია), ბედიაშვილი (გორდა) | ვ. მაისურაძე (ტორპედო), პაპიძე (ბათუმი), ნორაკიძე, ჩივაძე, ახალაია (თბილისი 2), კოხრეიძე (სამგურალი), კ. მელქაძე, ამაშუკელი (ლოკომოტივი), ხუციშვილი (შერიფი, მოლდოვა), გადელია (ბათუმი), გ. ლუდუშაური (არ თამაშობდა) | დილა 2:0, 0:1, საქართველო U18 0:0, ს.ა. იბერია 0:0 |
| **სამგურალი** *იასონ ბზიკაძე* | ძოძუაშვილი (ლოკომოტივი), ი. ხაჭაპურიძე (ვიტ ჯორჯია), პეტრიაშვილი (ბათუმი), კოხრეიძე (თბილისი), კოპალიანი (XXI საუკუნე) | კ. ჯანაშია, ჩხაბერიძე (ტორპედო), გაბუნია (მეტალურგი), გ. ჯანელიძე (ტრავმის გამო არ თამაშობდა), გიორგობიანი (ლუჩი, ვლადივოსტოკი, რუსეთი), დარსაძე (იბერია) | ინტერი 8:0, გაგრა 5:2 |
| **ხობი** *უმწვრთნელოდ* | ლ. გვაზავა (ზიმბრუ, მოლდოვა), ონიანი (ლოკომოტივი), ნიქაბერიძე, ბაბუაძე, გოგიტაძე, ზ. კვეკვესკირი, თორია (?) | | |
| **არსენალი** *ჯონი ჯანელიძე* | ჩლაიძე, თარგამაძე (ბათუმი), გონჩაროვი (დინამო), დაუშვილი (სიონი), მ. მაისურაძე (?); მამუკა გეგეჭკორი (მწვრთნელი, დაითხოვეს) | ხარებავა, ე. ალადაშვილი (მერანი), დ. ჯანელიძე, ნივნივაძე (ლოკომოტივი), ქოიავა (არაგვი), ტულეში (?); ჯონი ჯანელიძე (მწვრთნელი) | სიონი 3:1, 1:1, ვიტ ჯორჯია 1:2, არსენალი 2 3:0, აკადემია 3:0, დილა 1:1 |

**შენიშვნა: საბოლოოდ მხოლოდ დახრილი ტრანსფერებია**

## საფრანგეთი

XXVI ტური

**ნანტი 6:1 ლიონი**

1:0 და როშა (6), 2:0, 3:0 სიბიერსკი (8, 9), 3:1 ვერელი (34), 4:1, 5:1 დევინო (42, 52), 6:1 შანელე (87)

**მარსელი 4:1 პსჟ**

0:1 კრისტიანი (7), 1:1 პერესი (24), 2:1 პუჟე (59), 3:1 აბარდონადო (67), 4:1 მორისი (78)

**ნანსი 0:0 მეცი**

**მონაკო 1:0 ბორდო**

1:0 რიისე (84)
მონაკო: ბარტეზი, სანიოლი, ჯეტუ, კრისტენვალი, კონტრერასი, ჟიული, და კოსტა, პრსო (რიისე 74), ლამუში, ტრეზეგე, სიმონე (დიაო 90)
ბორდო: რამე, გრენე, აფანუ, ალიკარტე, ბონისელი, ზიანი (მარტენსი 59), ლეგვინსკი, მ. პავონი, მიკუ, დიუგარი, ლასლანდი
გაფრთხილება: ჟიული, აფანუ, პავონი
მსაჯი: დუამელი

**ოსერი 0:1 სტრასბური**

0:1 ლუინდულა (2)

**ლანსი 4:0 ბასტია**

1:0, 2:0 სახო (4, 27), 3:0 ნუმა (69), 4:0 ბრუნელი (88)

**სენტ ეტიენი 5:4 მონპელიე**

0:1 ვალემი (10ს.კ.), 0:2 ლოკო (22), 1:2 პედრონი (26), 2:2 ალოიზიო (323), 3:2 ალექსი (36), 4:2 კაროტი (43), 4:3 ლოკო (47), 4:4 რუი პატაკა (51), 5:4 ალოიზიო (81)

**ლე ავრი 2:0 ტრუა**

1:0, 2:0 დენიო (20, 87)

**სედანი 2:1 რენი**

1:0 დი როკო (6), 1:1 დიატა (52), 2:1 ჰუარდი (59)



REUTERS ოსერიდან

ოსერი — სტრასბური 0:1. მასპინძელი სირილ ჟენეშანი (№14) და სტუმარი მამადუ ბაგაიოგო ბურთისთვის იბრძვიან

**ჩემპიონატის** დასრულებამდე რვა ტური დარჩა. ლიდერი „მონაკო" კი უახლოეს მდევარ ტრიოს — პსჟ-ს, „ოსერსა" და „ლიონს" მთელი 13 ქულით უსწრებს. ასე რომ, თუ სასწაული არ მოხდა, „მონაკო" ჩემპიონი გახდება. ქულათა სხვაობის გაზრდას უკანასკნელი ტურის შედეგებმა დიდად შეუწყო ხელი.

მეორეადგილოსანი პსჟ სამშაბათს მარსელის „ოლიმპიკთან" განადგურდა 1:4, გუნდთან, რომელსაც თავისი საუკეთესო დღეები ნამდვილად არ უდგას და გათამაშების ცხრილის შუა პოზიციებზე იმყოფება. იმავე დღეს „ლიონმაც" წააგო, ოღონდ უკვე სამარცხვინო ანგარიშით — 1:6. ლიონელები სტუმრად „ნანტთან" დამარცხდნენ.

წააგო „ოსერმაც" შინ „სტრასბურთან" მინიმალური ანგარიშით 0:1. „ოსერის" თავკაცმა გი რუ კი აშკარა უკმაყოფილება ვერ დამალა: „სამწუხაროა, მატჩი წავაგეთ. თუმცა ეს ლოგიკური იყო. გუნდს ჩემპიონობის მოტივი აღარ აქვს, მაგრამ ჩემპიონთა ლიგის ადგილისთვის აუცილებლად უნდა ვიბრძოლოთ".

ტურის ალბათ მთავარ მატჩში კი „მონაკო" ამჟამინდელ ჩემპიონ „ბორდოს" მასპინძლობდა. მონაკოელებმა, რა თქმა უნდა, „ლიონისა" და პსჟ-ს მარცხი წინასწარ იცოდნენ, ამიტომ „ბორდოსთან" გამარჯვება ერთიორად მოინდომეს.

მატჩი საკმაოდ დაძაბული გამოდგა და ორმხრივ შეტევებში მიილია. ერთადერთი გოლი შეხვედრის მიწურულს, 84-ე წუთზე გავიდა. შეცვლაზე შესულმა „მონაკოს" დანიელმა ფორვარდმა იონ რიისემ დაახლოებით 40 მეტრიდან ულამაზესი გოლი გაიტანა და თავის გუნდს მეტად საჭირო სამი ქულა მოუპოვა. შეხვედრის გადარჩენა „ბორდოს" უკანასკნელ წუთზე შეეძლო, მაგრამ ლილიან ლასლანდის დარტყმული მეკარე ფაბიენ ბარტეზმა სასწაულებრივ მოიგერია.

„მონაკოს" ჩემპიონობაში ეჭვი უკვე თითქმის აღარავის ეპარება. „ნათელია, რომ წლეულს „მონაკო" ჩემპიონია. ეს გუნდი დღეს ყველაზე ძლიერია. მათთან თამაშის დროს ამას აშკარად გრძნობ" — განაცხადა „ბორდოს" ნახევარმცველმა სტეფან ბიზინიმ.

თუმც თავად „მონაკოს" ხელმძღვნელობა ჯერჯერობით ყოველგვარი კომენტარისგან თავს იკავებს. გუნდის თავმჯდომარე ჟან ლუი კამპორა ამბობს: „რა თქმა უნდა, დიდი უპირატესობა გვაქვს, მაგრამ ჯერ 8 თამაში დარჩა, ეს კი 24 ქულაა. ასე რომ, დამშვიდების საბაბი არა გვაქვს. გამოგიტყდებით, „ბორდოსთან სამი ქულის მოპოვება გვსურდა და მივაღწიეთ კიდეც".

ტურში კიდევ ერთი აღსანიშნავი შეხვედრა ჩატარდა. „სენტ ეტიენმა" და „მონპელიემ" ჰოკეის შედეგი — 5:4 დააფიქსირეს. სენტეტიენელთა მესამე გოლის ავტორმა ალექსმა კი გუნდის ისტორიაში მესამიათასე გოლი გაიტანა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონაკო | 26 | 17 | 4 | 5 | 52:22 | 55 |
| პსჟ | 26 | 12 | 6 | 8 | 38:32 | 42 |
| ოსერი | 26 | 12 | 6 | 8 | 30:26 | 42 |
| ლიონი | 26 | 12 | 6 | 8 | 33:34 | 42 |
| სედანი | 26 | 12 | 5 | 9 | 36:34 | 41 |
| ლანსი | 26 | 10 | 6 | 10 | 30:28 | 36 |
| მეცი | 26 | 7 | 14 | 5 | 31:25 | 35 |
| მარსელი | 26 | 8 | 11 | 7 | 34:30 | 35 |
| ბორდო | 26 | 9 | 8 | 9 | 37:35 | 35 |
| ბასტია | 26 | 8 | 10 | 8 | 32:30 | 34 |
| რენი | 26 | 9 | 7 | 10 | 34:34 | 34 |
| სენტ ეტიენი | 26 | 9 | 6 | 11 | 37:42 | 33 |
| სტრასბური | 26 | 9 | 6 | 11 | 30:39 | 33 |
| ნანტი | 26 | 9 | 5 | 12 | 32:31 | 32 |
| ლე ავრი | 26 | 8 | 7 | 11 | 25:37 | 31 |
| ნანსი | 26 | 8 | 6 | 12 | 30:34 | 30 |
| ტრუა | 26 | 9 | 2 | 15 | 26:44 | 29 |
| მონპელიე | 26 | 5 | 7 | 14 | 29:39 | 22 |

### მეორე დივიზიონი

27-ე ტური. ლილი — ნიორი 1:0; სოშო — ლე მანი 3:1; ლორიანი — კანი 1:1; ნიცა — აიაჩო 0:1; ნიმი — შატორუ 1:1; ლავალი — ლუანი 1:0; ამიენი — ვასკეალი 4:1; ვალანსი — კრეტეი 3:1; გენიონი — კაენი გადაიდო უამინდობის გამო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლილი | 27 | 20 | 3 | 4 | 39:15 | 63 |
| ტულუზი | 26 | 14 | 6 | 6 | 41:17 | 48 |
| გენგამი | 26 | 12 | 8 | 6 | 45:32 | 44 |
| ლე მანი | 27 | 10 | 11 | 6 | 34:29 | 41 |
| კაენი | 26 | 9 | 13 | 4 | 32:19 | 40 |
| ლავალი | 27 | 10 | 10 | 7 | 30:27 | 40 |
| აიაჩო | 27 | 12 | 4 | 11 | 27:28 | 40 |
| ნიმი | 27 | 9 | 9 | 9 | 33:31 | 36 |
| სოშო | 27 | 10 | 6 | 11 | 32:33 | 36 |
| გენიონი | 26 | 7 | 13 | 6 | 30:25 | 34 |
| კანი | 27 | 8 | 10 | 9 | 21:24 | 34 |
| ლორიანი | 27 | 9 | 7 | 11 | 24:28 | 34 |
| კრეტეი | 27 | 8 | 8 | 11 | 25:32 | 32 |
| ნიცა | 27 | 5 | 16 | 6 | 18:23 | 31 |
| შატორუ | 27 | 7 | 10 | 10 | 26:33 | 31 |
| ნიორი | 27 | 6 | 12 | 9 | 24:31 | 30 |
| ამიენი | 27 | 5 | 13 | 9 | 24:29 | 28 |
| ვასკეალი | 27 | 5 | 11 | 11 | 20:31 | 26 |
| ვალანსი | 27 | 3 | 12 | 12 | 24:39 | 21 |
| ლუანი | 27 | 4 | 8 | 15 | 21:44 | 20 |

## ამხანაგური მატჩი

23 თებერვალი

**ინგლისი — არგენტინა**

*ინგლისის ნაკრების შემადგენლობა*

*მეკარეები: დევიდ სიმენი (არსენალი), ნაიჯელ მარტინი (ლიდსი), რიჩარდ რაიტი (იფსვიჩი);*

*მცველები: გარი ნევილი, ფილ ნევილი (ორივე მანჩესტერ იუნაიტედი), გარეთ ბერი, გარეთ საუთგეიტი (ორივე ასტონ ვილა), სოლ კემპბელი (ტოტენჰემ ჰოთსპური), მარტინ კიოუნი (არსენალი), რიო ფერდინანდი (ვესტ ჰემი);*

*ნახევარმცველები: დევიდ ბექემი, პოლ სქოულზი (ორივე მანჩესტერ იუნაიტედი), პოლ ინსი (მიდლსბრო), სტეფან ფროგატი (ქოვენთრი), ჯეისონ უილკოქსი (ლიდსი), კიერონ დაიერი (ნიუკასლი), სტივენ ჯერარდი (ლივერპული), რეი პარლოუ (არსენალი), ტრევორ სინკლერი (ვესტ ჰემი), დენის უაიზი (ჩელსი);*

*თავდამსხმელები: ენდი კოული (მანჩესტერ იუნაიტედი), კევინ ფილიპსი (სანდერლენდი), ემილ ჰესკი (ლესტერი), ალან შირერი (ნიუკასლი)*

## კონკაკაფის ოქროს თასი

**A ჯგუფი**

**ჰონდურასი 2:0 კოლუმბია**

1:0 კ. პავონი (71), 2:0 მილტონ ნუნიესი (78)

**B ჯგუფი**

**აშშ 1:0 პერუ**

1:0 კობი ჯონსი (59)

## ინგლისი

I დივიზიონი

გადადებული მატჩი

**ვულვერჰემპტონი 4:0 ტრანმერი**

1:0 აკინბი (36), 2:0 ნეილორი (45), 3:0 ბაზელი (69), 4:0 აკინბი (88)

## შოტლანდია

ლიგის თასის ნახევარფინალი

***სელტიკი* 1:0 კილმარნოკი**

1:0 მორავჩიკი (66)

*ფინალში შეხვდებიან გლაზგოს „სელტიკი" და „აბერდინი"*

## გერმანია

თასის ნახევარფინალი

***ვერდერი* 2:1დ.დ. (1:1) კიკერსი**

1:0 დაბროვსკი (2), 1:1 ოზქანი (82), 2:1 მაქსიმოვი (103)
ვერდერი: ფ. როსტი, ტიკუზუ, ბარტენი, ფ. ბაუმანი, ტრარესი, ფრინგსი, აილტსი (მაქსიმოვი 60), დაბროვსკი, ა. ჰერცოგი (ბოგდანოვიჩი 100), აილტონი, პიზარო (ფრაი 69)
კიკერსი: კლაუსი, კეულერი, ვან დე ლოი, პფუდერერი, ბლესინი (ოზქანი 69), ზიგნერი, რასპე, მინკვიცი, კევრიჩი, კასიო (კარნევალე 57, კუმერლე 86), ტ. მარიჩი
გაფრთხილება: აილტონი, ტრარესი, მარიჩი, პფუდერერი
გაძევება: მინკვიცი (84), მაქსიმოვი (103)
მსაჯი: იანსენი

***ბაიერნი* 3:2 ჰანზა**

1:0, 2:0 სანტა კრუზი (58, 66), 2:1 ვაილანდტი (75), 3:1 კუფური (76), 3:2 ვიბრანი (82)
ბაიერნი: კანი, მათეუსი (პ. ანდერსონი 82), კუფური, ბაბელი, სალიჰამიჯიჩი, იერემისი, ეფენბერგი, ლიზარაზუ, შოლი (ვოიჩეკოვსკი 76), სანტა კრუზი (პაულო სერჟიო 72), ელბერი
ჰანზა: პიკენჰაგენი, ბენკენი, ვაილანდტი, ჰოლეჩეკი, იასერი, ვიბრანი, ბრანდტი (ბრაიტკროიცი 62), ლანცი, მაიაკი, ბაუმგარტი (კოვაჩიჩი 62), არვიდსონი (აჰინფუფი 80)
მსაჯი: შტაინბორნი

**სამშაბათს** და ოთხშაბათს გერმანიის თასის ნახევარფინალური მატჩები გაიმართა. ბრემენის „ვერდერმა" შტუტგარტის „კიკერსი" 2:1 დაამარცხა, მიუნხენის „ბაიერნმა" კი როსტოკის „ჰანზას" 3:2 მოუგო. ასე რომ, გერმანიის თასის წლევანდელ მფლობელს შარშანდელი ფინალისტები გამოარკვევენ — 6 მაისს ბერლინში „ბაიერნი" „ვერდერს" დაუპირისპირდება. შეგახსენებთ, რომ წინა ფინალიც ბერლინში ჩატარდა, მაშინ ძირითადი და დამატებითი დრო ფრედ 1:1 დასრულდა, პენალტების სერიაში კი ბრემენელებმა იმარჯვეს და თასსაც დაეპატრონენ.

ფინალამში ორივე კლუბმა რთული ნახევარფინალის შემდეგ გააღწია.

„ბაიერნი" „ჰანზასთან" შეხვედრაში საგრძნობ ტერიტორიულ უპირატესობას ფლობდა, თუმც მომენტის შექმნა პირველ ტაიმში ვერ მოახერხა, სამაგიეროდ, სტუმრებმა, „ჰანზას" ფეხბურთელებმა, რამდენიმე მწვავე კონტრშეტევა განახორციელეს. 23-ე წუთზე კანმა მაიაკს აუღო, მერე არვიდსონს შეეძლო ორჯერ გატანა — პირველად ბაბელმა ცარიელი კარიდან გამოიტანა ბურთი, მეორედ კი ძელმა შეუშალა ხელი.

მეორე ნახევრის დასაწყისშივე 18 წლის პარაგვაელ როკე სანტა კრუზს შეეძლო მიუნხენის „ოლიმპიაშტადიონზე" თავშეყრილი 10 ათასი ქომაგის გახარება, მაგრამ როსტოკელთა მეკარე პიკენჰაგენმა ორჯერ დიდებულად ითამაშა, აი, მესამედ კი ველარაფერი გააწყო. 58-ე წუთზე სანტა კრუზმა ანგარიში გახსნა, რასაც სულ მალე მეორე გოლიც დაუმატა. 75-ედან 82-ე წუთამდე სამი გოლი გავიდა, ჯერ ვაილანდტმა შეამცირა სხვაობა, მერე კუფურმა აღადგინა ორბურთიანი უპირატესობა მდგომარეობა, ბოლოს კი ვიბრანმა 3:2 გახადა.

82-ე წუთზევე „ბაიერნის" რიგებში ცვლილება მოხდა — მათეუსის ნაცვლად მინდორზე ანდერსონი შევიდა. ათი ათასმა გულშემატკივარმა ლოთარ მათეუსს, რომელსაც ერთ თვეში 39 წელი უსრულდება, ოვაცია მოუწყო. ეს მათეუსისთვის გერმანიის თასზე ჩატარებული ბოლო მატჩი გახლდათ. 6 მაისისთვის იგი უკვე ამერიკული „მეტროსტარზის" ფეხბურთელი იქნება. ეს ამბავი ვინძლო „ბაიერნს" წაადგეს კიდეც, რადგან შარშანდელი ფინალი ბავარიელებმა სწორედ მათეუსის გაცუდებული პენალტის გამო წააგეს. შეგახსენებთ, „ბაიერნი" ზედიზედ მესამედ გავიდა ფინალში.

„ვერდერს" მეორებუნდესლიგელი „კიკერსის" დასამარცხებლად დამატებითი დრო დასჭირდა. არადა, ბოლო ხანებში ბრწყინვალე ფორმაში მყოფმა ბრემენელებმა ისე დაიწყეს თამაში, ბევრმა შტუტგარტელებს განადგურება უწინასწარმეტყველა. უკვე მე-2 წუთზე დაბროვსკიმ ფრინგსის პასი თავურ გოლად აქცია. ამის შემდეგ თამაში თანაბრად წარიმართა, სახიფათო მომენტები ორივე გუნდმა შექმნა, თუმცა მხოლოდ „კიკერსმა" გამოიყენა. 83-ე წუთზე თავი ოზქანმა გამოიჩინა. წუთის შემდეგ შტუტგარტელები ათნი დარჩნენ, მსაჯმა მინკვიცი უხეშობისთვის გააძევა. მიუხედავად ამისა, არავინ იცის, განმეორდებოდა თუ არა შარშანდელი ფინალი, 103-ე წუთზე უკრაინელ იური მაქსიმოვს რომ არ ევაჟკაცა. ტრარესის ჩაწოდებული მაქსიმოვმა თავით კლაუსის კარში გაგზავნა. გატანილმა გოლმა უკრაინელი ისე გაახარა, წუთის შემდეგ ველარ მოზომა და მეტოქეს ეუხეშა. შედეგად მსაჯმა გააძევა და რიცხობრივი თანაფარდობაც აღდგა. „კიკერსს" ამან ვერაფერში უშველა. ბრემენელებმა მატჩი გამარჯვებამდე მიიყვანეს.

ვნახოთ, რა მოხდება 6 მაისს. შეძლებს „ბაიერნი" რევანშის აღებას, თუ თასი კვლავ ბრემენელებს დარჩებათ.



REUTERS მიუნხენიდან

ბაიერნი — ჰანზა 3:2. მიუნხენელი იენს იერემისი სტუმართა ალყაში

**ვანო ოქროპირიძე**



# ტიერი ანრი: ისევ უარი?

23 თებერვალი საფეხბურთო ევროპაში ამხანაგური შეხვედრების დღეა. ბებერ კონტინენტზე მატჩებს ძირითადად ევროპის ჩემპიონატის მონაწილე გუნდები გამართავენ.

მსოფლიოს ჩემპიონი, საფრანგეთის ეროვნული ნაკრებიც, რა თქმა უნდა, ევრო 2000-ისთვის იწყებს მზადებას. სამფეროვანთა მწვრთნელმა როჟე ლემერმა გუშინ პარიზში დაასახელა ნაკრების შემადგენლობა, რომელიც 23 თებერვლისთვის სენ დენიში პოლონეთთან სათამაშოდ მოემზადება. ყველას გასაკვირად, ლემერის რჩეულთა შორის ვერ მოხვდა ლონდონის „არსენალის" ფორვარდი ტიერი ანრი, რომელიც ახლა კარგ ფორმაშია. მწვრთნელმა თავისი გადაწყვეტილება ასე ახსნა: „გუნდში ამჟამად 5 თავდამსხმელია — ჯორკაეფი, ტრეზეგე, გივარში, ვილტორდი და ვერელი. დღეისთვის, ჩემი აზრით, ისინი წინა ხაზზე საუკეთესონი არიან. ანრის კიდევ უფრო საფუძვლიანად მომზადება მართებს. ამასვე ვიტყვი ნიკოლა ანელკაზეც, მადრიდის „რეალის" ფორვარდი ახლა დაშავებულია და მას საკმაო დრო აქვს, რათა სრულიად გამოჯანმრთელდეს და სათამაშო ფორმაც აღიდგინოს".

ლემერმა ანრი ნაკრებს მიღმა დატოვა, არადა, ქომაგები ქვეყნის მთავარ გუნდში მის დაბრუნებას მოუთმენლად ელოდნენ.

ნაკრებში ადგილი დაკარგა ფაბიენ ბარტეზის მუდმივმა დუბლიორმა, მარსელის „ოლიმპიკის" მეკარე სტეფან პორატომაც. როჟე ლემერმა, გუნდში უდისციპლინო ფეხბურთელები არ მჭირდებაო. პორატო კი, იცით, არასპორტული საქციელისთვის 4 მატჩითაა დისკვალიფიცირებული, „მარსელში" კი მას ახალგაზრდა ტრევიზანი ცვლის. ნაკრების მწვრთნელს ბევრი არც უფიქრია, პოლონელებთან სათამაშოდ მეორე გოლკიპერად უყოყმანოდ უხმო „მეცის" კარის დარაჯ ლიონელ ლეტიზის, რომელმაც სამფეროვანთა ღირსება აქამდე 2-ჯერ დაიცვა.

ზემოხსენებულთა გარდა როჟე ლემერმა დღესდღეობით ყველა ის უძლიერესი ფრანგი ფეხბურთელი გამოიძახა, რომლებიც 23 თებერვალს პარიზის გარეუბან სენ დენიში პოლონელებს დაუხვდებიან.

*მეკარეები: ფაბიენ ბარტეზი (მონაკო), ლიონელ ლეტიზი (მეცი);*

*მცველები: ლილიან ტურამი (პარმა, იტალია), ბიქსენტ ლიზარაზუ (ბაიერნი, გერმანია), მარსელ დესაი, ფრანკ ლებეფი (ორივე ჩელსი, ინგლისი), ლორან ბლანი (ინტერი, იტალია), ვინსენ კანდელა (რომა, იტალია);*

*ნახევარმცველები: დიდიე დეშამპი (ჩელსი, ინგლისი); პატრიკ ვიეირა, ემანუელ პეტი (ორივე არსენალი, ინგლისი), რობერ პირესი (მარსელი), ზინედინ ზიდანი (იუვენტუსი, იტალია);*

*თავდამსხმელები: იური ჯორკაეფი (კაიზერსლაუტერნი, გერმანია), დავიდ ტრეზეგე (მონაკო), სტეფან გივარში (ოსერი), სილვენ ვილტორდი (ბორდო), ტონი ვერელი (ლიონი)*

**დათო ძოწალიანი**



**ბელგიის** ჩემპიონატის ერთ-ერთ აუტსაიდერ „გეელის" მთავარ მწვრთნელად უნგრელი შანდორ პოპოვიკსი დაინიშნა. მისმა წინამორბედმა, პოლ პუტმა გუნდი იანვარში დატოვა და მას დიმიტრი მბოუ ცვლიდა, რომელმაც ამჟამად პოპოვიკსის თანაშემწეობა იკისრა.

**რუსეთის ნაკრებისა და მოსკოვის „სპარტაკის" თავდამსხმელ ანდრეი ტიხონოვს რამდენიმე დღის წინ ავტომანქანა „ჯიპი" მოპარეს. ფეხბურთელმა განაცხადა, რომ ქვეყანაში გამეფებული კრიმინალის გამო, რუსეთში ცხოვრება აღარ სურს. ტიხონოვმა მანქანა ავტოფარეხთან შეაჩერა, თვითონ კი კარის გასაღებად გადავიდა. ავტომობილში 18 თვის ბავშვი დატოვა. სანამ ფეხბურთელი კარებს გააღებდა, ვიღაცამ დრო იხელთა, მისი ჩვილი ბავშვი გადმოაგდო და მანქანა გაიტაცა: „რუსეთს დავტოვებ და კარიერას უცხოეთში გავაგრძელებ. ყოველდღე ოჯახის უსაფრთხოებაზე ფიქრი აღარ მომიწევს" — განაცხადა ტიხონოვმა.**

**გერმანიის** მეორე დივიზიონში მოასპარეზე მიონხენგლადბახის „ბორუსიას" ჰოლანდიელი მცველი გვიდო ლანზაატს სისხლში ნარკოტიკის შემცველი ნივთიერება აღმოაჩნდა. ექიმების განცხადებით, ფეხბურთელი მარიხუანას ეტანებოდა. კლუბმა მოითხოვა, ფეხბურთელს ხელახალი ანალიზი ჩაუტარდეს. 20 წლის მცველი შაბათს „ჰანოვერის" წინააღმდეგ ალბათ ვერ იასპარეზებს.

**ინგლისის ჩემპიონი „მანჩესტერ იუნაიტედი" მოსკოვის „ლოკომოტივის" ნახევარმცველ ალექსეი სმერტინით დაინტერესდა. რუსული პრესის ცნობით, სერ ალექს ფერგიუსონი ფეხბურთელს რუსეთის და ისრაელის ამხანაგური შეხვედრის დროს დააკვირდება. „ჩვენთვის ცნობილია, რომ სმერტინის შეძენის სურვილი „მანჩესტერ იუნაიტედმა" და კიდევ რამდენიმე წამყვანმა კლუბმა გამოთქვა. ჯერჯერობით მეტი არაფერ ვიცით" — განაცხადა „ლოკომოტივის" თავკაცმა იური სიომინმა.**

**ესპანური** მადრიდის „რეალის" ყოფილი მწვრთნელის, ჯონ ტოშაკის გასამრჯელოს საკითხს 15 დღის მანძილზე სასამართლო გადაწყვეტს. უელსელი ფეხბურთის სპეციალისტი და „რეალის" ხელმძღვანელობა ხელფასზე ვერ შეთანხმდნენ. მადრიდული კლუბი ტოშაკს 144 მილიონ პესეტას (859 ათას დოლარი) სთავაზობს, თავად მწვრთნელი კი 172 მილიონ პესეტას (1,03 მილიონ დოლარს) ითხოვს.

FIFA WORLD RANKING

Coca-Cola

ფიფა-კოკა-კოლამ მორიგი, თებერვლის რეიტინგი გამოაქვეყნა. წინა რეიტინგთან შედარებით ცვლილებები უმნიშვნელოა, ხოლო საუკეთესო ათეულში საერთოდ ყველაფერი ძველებურად დარჩა. კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ, რომ აგერ მერამდენე წელია, ბრაზილიელები პირველობას არავის უთმობენ და მათი ლიდერობა სავარაუდოდ კიდევ დიდხანს გაგრძელდება. სერიოზული რომ არაფერი ხდება, ამაში საოცარი არაფერია. იანვარ-თებერვალი ხომ სანაკრებო თამაშების თვალსაზრისით მეტად მწირი თვეებია. საინტერესო მხოლოდ ისაა, რომ დანიამ და ინგლისმა ერთმანეთს ადგილები გაუცვალეს, რითაც ინგლისს ათეულამდე ერთი ნაბიჯილა აშორებს.

უფრო „მოძრავნი" აფრიკული გუნდები არიან, რადგან კონტინენტის პირველობა იქ ახლახან დასრულდა. საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ საუკეთესო მაჩვენებელი აფრიკელთაგან მაროკოს ჰქონდა. მაროკო აფრიკის თასის გათამაშებაში ჯგუფიდანაც ვერ გავიდა და ეს პატივი სამხრეთ აფრიკას დაუთმო. დიდი ნახტომი გააკეთა ჩემპიონმა კამერუნმა, რომელიც მთელი 24 ადგილით აღზევდა და 34-ეა. საოცარია, რომ ნიგერიელთა ძლიერი ნაკრები ერთი თვის წინ მხოლოდ 76-ე იყო. აფრიკის თასის ფინალში გასვლამ „სუპერარწივებსაც" კარგი სამსახური გაუწია და 51-ე ადგილზე უნგრეთსა და შვეიცარიის შორის მოაქცია.

2000 წელი ყველაზე იღბლიანად ჩინელებს დაებედათ. მათ 29 პოზიციით გაიუმჯობესეს მდგომარეობა, რასაც თავისი მიზეზი აქვს. საქმე ისაა, რომ აზიაში კონტინენტის თასის გათამაშების შესარჩევი ციკლი დაიწყო. ჩინელთა პირველი მეტოქე გუამი იყო. გუამელებს ერჩივნათ, ფეხბურთი სულაც არ ეთამაშათ. 19:0 — ჩინელებმა ამ ანგარიშით იმარჯვეს, რის შემდეგაც მათი აღზევება გაკვირვებას აღარ იწვევს. თუმცა 19:0 სარეკორდო სულაც არ არის. იმავე ტურნირზე კუვეიტმა ბუტანს 20:0 მოუგო, მაგრამ ეს რეიტინგის გამოქვეყნების შემდეგ მოხდა და შესაბამისად, ფიფას არ აუსახავს. თემას გადავუხვიოთ და დავამატოთ, რომ ასეთი ანგარიშები აზიის ფეხბურთის კონფედერაციას ერთობ აღშფოთებს. აზიელები მიიჩნევენ (და სამართლიანადაც), რომ სათამაშო კლასში ასეთი მკვეთრი განსხვავება მატჩებისუმეტესობას უინტერესოს ხდის. ამიტომ მათ შეჯიბრის რეორგანიზაცია განუზრახავთ.

ისევ რეიტინგს დავუბრუნდეთ. სად არის საქართველო? საქართველო და ჩინეთი 502 ქულით 59-ე ადგილს იყოფენ. ერთი თვის წინ ჩვენ 66-ენი ვიყავით, ესე იგი, 7 ადგილით წინ წავსულვართ. ასეთი წინსვლა კვიპროსის ტურნირზე ნაკრების გამოსვლას გამოუწვევია. ფიფამ სომხებთან მოგება და რუმინეთთან ფრე (პენალტებით წაგების სათვალავში არ აგდებენ) ჩაგვითვალა, სლოვენიასთან მატჩი კი ეროვნულ ნაკრებთა დონეზე ნათამაშევად არ მიიჩნია.

## ფიფა — კოკა-კოლას რეიტინგი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1 | (0) | ბრაზილია | 836 | 1 |
| 2 | (0) | ჩეხეთი | 772 | 2 |
| 3 | (0) | საფრანგეთი | 762 | 3 |
| 4 | (0) | ესპანეთი | 751 | 4 |
| 5 | (0) | გერმანია | 742 | 5 |
| 6 | (0) | არგენტინა | 718 | 6 |
| 7 | (0) | ნორვეგია | 717 | 7 |
| 8 | (0) | რუმინეთი | 713 | 8 |
| 9 | (0) | ხორვატია | 710 | 9 |
| 10 | (0) | მექსიკა | 704 | 10 |
| 11 | (1) | ინგლისი | 698 | 12 |
| 12 | (-1) | დანია | 694 | 11 |
| 13 | (0) | იუგოსლავია | 692 | 13 |
| 14 | (0) | იტალია | 682 | 14 |
| 15 | (0) | პორტუგალია | 673 | 15 |
| 16 | (0) | შვედეთი | 661 | 16 |
| 17 | (0) | პარაგვაი | 648 | 17 |
| 18 | (0) | რუსეთი | 641 | 18 |
| 19 | (0) | ჰოლანდია | 638 | 19 |
| 20 | (0) | შოტლანდია | 636 | 20 |
| 21 | (9) | სამხრეთ აფრიკა | 631 | 30 |
| 22 | (0) | აშშ | 628 | 22 |
| 23 | (2) | მაროკო | 625 | 25 |
| 24 | (0) | კოლუმბია | 624 | 24 |
| 24 | (-3) | სლოვაკეთი | 624 | 21 |
| 26 | (-3) | ჩილე | 616 | 23 |
| 27 | (1) | ტუნისი | 611 | 28 |
| 28 | (-2) | უკრაინა | 607 | 26 |
| 28 | (-2) | ისრაელი | 607 | 26 |
| 30 | (-1) | ავსტრია | 601 | 29 |
| 31 | (-1) | თურქეთი | 595 | 30 |
| 32 | (0) | პოლონეთი | 586 | 32 |
| 32 | (1) | ბელგია | 586 | 33 |
| 34 | (23) | კამერუნი | 583 | 57 |
| 35 | (3) | ეგვიპტე | 582 | 38 |
| 36 | (-2) | საბერძნეთი | 577 | 34 |
| 37 | (-2) | ირლანდია | 573 | 35 |
| 38 | (-2) | ზამბია | 569 | 36 |
| 38 | (-1) | ბულგარეთი | 569 | 37 |
| 40 | (-1) | საუდის არაბეთი | 554 | 39 |
| 41 | (-1) | სლოვენია | 543 | 40 |
| 42 | (4) | ურუგვაი | 540 | 46 |
| 42 | (1) | ისლანდია | 540 | 43 |
| 44 | (-2) | პერუ | 539 | 42 |
| 45 | (-4) | იამაიკა | 537 | 41 |
| 45 | (4) | კოტ დივუარი | 537 | 49 |
| 47 | (-4) | ირანი | 536 | 43 |
| 48 | (4) | კორეა | 535 | 52 |
| 49 | (-6) | ტრინიდადი და ტობაგო | 534 | 43 |
| 50 | (-4) | უნგრეთი | 532 | 46 |
| 51 | (25) | ნიგერია | 529 | 76 |
| 51 | (-3) | შვეიცარია | 529 | 48 |
| 53 | (-3) | განა | 526 | 50 |
| 53 | (-2) | ლიტვა | 526 | 51 |
| 55 | (1) | ფინეთი | 524 | 56 |
| 56 | (-3) | ანგოლა | 515 | 53 |
| 57 | (-3) | ემირატები | 513 | 54 |
| 58 | (-3) | უზბეკეთი | 511 | 55 |
| 59 | (29) | ჩინეთი | 502 | 88 |
| 59 | (7) | საქართველო | 502 | 66 |
| 61 | (1) | კვიპროსი | 500 | 62 |
| 62 | (-4) | იაპონია | 498 | 58 |
| 63 | (1) | კოსტა რიკა | 492 | 64 |
| 63 | (-4) | კონგოს დრ | 492 | 59 |
| 65 | (-5) | ტაილანდი | 490 | 60 |
| 66 | (-5) | ბოლივია | 488 | 61 |
| 67 | (-5) | ლატვია | 487 | 62 |
| 68 | (-3) | ეკვადორი | 475 | 65 |
| 68 | (-1) | ზიმბაბვე | 475 | 67 |
| 70 | (-2) | მაკედონია | 467 | 68 |
| 70 | (16) | ალჟირი | 467 | 86 |
| 72 | (-3) | ესტონეთი | 461 | 69 |
| 73 | (0) | გვატემალა | 458 | 73 |
| 74 | (-3) | ჰონდურასი | 457 | 71 |
| 75 | (-5) | მალი | 455 | 70 |
| 76 | (-2) | ბურკინა ფასო | 452 | 74 |
| 76 | (3) | სენეგალი | 452 | 79 |
| 78 | (-6) | გაბონი | 451 | 72 |
| 79 | (4) | ალბანეთი | 447 | 83 |
| 80 | (2) | ქუვეითი | 445 | 82 |
| 80 | (-5) | ბოსნია | 445 | 75 |
| 82 | (-5) | კუბა | 439 | 77 |
| 82 | (-4) | ერაყი | 439 | 78 |
| 84 | (3) | ტოგო | 438 | 87 |
| 85 | (-5) | კანადა | 435 | 80 |
| 86 | (-5) | ნამიბია | 434 | 81 |
| 87 | (-2) | სომხეთი | 431 | 85 |
| 88 | (-5) | ჩრდ. ირლანდია | 425 | 83 |
| 89 | (4) | მოლდოვა | 419 | 93 |
| 90 | (-1) | ინდონეზია | 409 | 89 |
| 91 | (-2) | ავსტრალია | 408 | 89 |
| 92 | (0) | ომანი | 405 | 92 |
| 93 | (-2) | გვინეა | 404 | 91 |
| 94 | (0) | კონგო | 401 | 94 |
| 95 | (7) | ვიეტნამი | 396 | 102 |
| 96 | (0) | ბელარუსი | 394 | 96 |
| 96 | (-2) | სალვადორი | 394 | 94 |
| 98 | (-1) | აზერბაიჯანი | 388 | 97 |
| 98 | (0) | უელსი | 388 | 98 |
| 100 | (-1) | ჰაიტი | 383 | 99 |

პირველ გრაფაში ადგილი, მეორეში — წინა და ახლანდელ ადგილებს შორის სხვაობა, მესამეში — ქვეყანა, მეოთხეში — საერთო ჯამური კოეფიციენტი, მეხუთეში — წინა წლის ადგილი

## იტალია

### თასის ნახევარფინალი

**ვენეცია 2:2 ლაციო (0:5)**

0:1 ინძაგი (2), 1:1 ვალტოლინა (52), 1:2 ინძაგი (72), 2:2 ნეგრო (90 ს.კ.)
ვენეცია: ბენუსი, კარნაშალი, ბილიკა, კარდონე, იბერტსბერგერი, ვალტოლინა (ორლანდინი 75), რ. ბერგი, ნგოტი (ვოლპი 63), ნანამი (ბრიოსკი 63), ბუდანი, ჯინესტრა
ლაციო: ბალოტა, ლომბარდო, ფერნანდო კოუტუ (ნეგრო 46), მიხაილოვიჩი (პინცი 71), გოტარდი, ნედვედი (სერჟიო კონსეისაო 46), რ. მანჩინი, სიმეონე, დ. მარკოლინი, ს. ინძაგი, რავანელი
გაფრთხილება: ბრიოსკი
გაძევება: რავანელი (91), კარდონე (91)
მსაჯი: ბრანცონი

რომის „ლაციომ“ იტალიის თასის ფინალის საგზური ერთი კვირის წინ გაინაღდა, როდესაც პირველივე შეხვედრაში შინ „ვენეცია“ დიდი ანგარიშით — 5:0 დაამარცხა. საპასუხო მატჩს ვენეციაში მხოლოდ ფორმალური სახე ჰქონდა. ამაზე სტადიონზე შეკრებილ გულშემატკივართა სარეკორდოდ მცირე რაოდენობაც მეტყველებს. შეხვედრას მხოლოდ 381 მაყურებელი დაესწრო.

რომაელები სერია A-ს მომავალ ტურში „მილანს“ სტუმრობენ. მატჩი საკმაოდ პრინციპულია და ბევრ კითხვას გასცემს პასუხს. ამიტომ სვენ გორან ერიკსონმა ძირითადი შემადგენლობის ბევრი ფეხბურთელი დაასვენა, რომელთა არყოფნაშიც „ლაციომ“ ფრედ 2:2 ითამაშა, რაც ფინალში მოსახვედრად სავსებით საკმარისი შედეგი გახლდათ.

ანგარიში შეხვედრის დებიუტშივე გაიხსნა. მეორე წუთზე სიმონე ინძაგიმ რომაელები დააწინაურა. გაყაიმება „ვენეციამ“ მეორე ტაიმში მოახერხა. 52-ე წუთზე ფაბიან ვალტოლინამ დაახლოებით 20 მეტრიდან ლამაზად და, რაც მთავარია, ზუსტად დაურტყა მეკარე მარკო ბალოტას, რომელმაც ვერაფერი იღონა. 72-ე წუთზე ინძაგიმ კვლავ წინ გაიყვანა „ლაციო“ და თავის ანგარიშზე დუბლი მიითვალა. შეხვედრის უკანასკნელ, 90-ე წუთზე კი რომაელმა პაოლო ნეგრომ ავტოგოლით გამოიჩინა თავი. რუნარ ბერგის ჩაწოდებულ ბურთს ფეხი შეუშვირა და თავის კარში შეაგდო, თუმც ამას დიდი ტრაგედია არ მოჰყოლია, „ლაციო“ ფინალში მაინც მოხვდა.

მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე საკმაოდ საინტერესო სცენა გათამაშდა, რომლის მთავარი მოქმედი პირები რომაელი ფაბრიციო რავანელი და ვენეციელი ჯუზეპე კარდონე იყვნენ. მათ ერთმანეთში რაღაც ვერ გაიყვეს და შეკამათდნენ, ამისთვის დაისაჯნენ კიდეც. ორივე გასახდელისკენ მიაბრძანეს, რამდენიმე წამში კი მატჩიც დასრულდა.

მეორე ფინალისტის ვინაობა წუხელ გვიან ღამით „სან სიროზე“ გაირკვა. „ინტერი“ „კალიარის“ მასპინძლობდა.

## ესპანეთი

### თასის მეოთხედფინალი

II მატჩები

**კომპოსტელა 1:0 ესპანიოლი (1:5)**

1:0 გუდელი (73 პ)
კომპოსტელა: პონკი, ბისკაი, ბელიდო, ანდრე ლუისი, ხუან მანუელი (პინიოლი 60), ვიედმა (რუბენი 46), ფაბიანო (მაურისიო 46), კაბრეო, მაურო, ჩანგული, გუდელი
ესპანიოლი: კავალიერო, პოჩეტინიო, სოლდევილა, კრისტობალი, დე ლუკასი (არტეაგა 60), გალკა, როხერი, მაურო ნავასი, მანელი, სერანო (ბენიტესი 77), მარტინ პოსე
გაფრთხილება: მაურო, დე ლუკასი, როხერი, მარტინ პოსე, ანდრე ლუისი, გუდელი, არტეაგა
მსაჯი: ესკინას ტორესი

**ბარ[illegible]ლონა 2:0 ოსასუნა (4:0)**

1:0 ლიტმანენი (1), 2:0 დანი (68)
ბარსელონა: ჰესპი, პუიოლი, ფ. დე ბური, აბელარდო, რ. დე ბური, კოკუ (მარიო 72), ზენდენი, ლუის ენრიკე, ლიტმანენი (დეუ 56), ფიგუ, დანი
ოსასუნა: ანტონიანა, სანსოლი, იბან პერესი, ხოსუე, აიტორი, არპონი (მუნიოსი 54), ორბაისი (ალფრედო 69), ვასილიევიჩი, სიგანდა, ანხელ ლუისი (ლუის პერესი 61), ისმაელი
გაფრთხილება: ვასილიევიჩი, ანხელ ლუისი, ფ. დე ბური
მსაჯი: ლოსანტოს ომარი

**რაიო ვალეკანო 2:2 ატლეტიკო (0:0)**

0:1 ჰასელბაინკი (3), 1:1, 2:1 მიჩელ II (27, 50), 2:2 ბარახა (88)
რაიო ვალეკანო: ლოპეტეგი, ლორენსი, პაბლო სანსი, ჰელდერი, კლოტე, ერნანდესი, ალკასარი (ვან დენ ბერგი 90), კოტა, მიჩელი I (ფერონი 55), მიჩელ II, კანაბალი (პოშნერი 82)
ატლეტიკო: ტონი ხიმენესი, ს. აიალა (პაუნოვიჩი 87), სანტი, აგილერა (ბარახა 65), გამარა, კაპდევილა, სოლარი, უგო ლეალი, ბეიბლი (ვალერონი 65), ჰასელბაინკი, კიკო ნარვაესი
გაფრთხილება: სოლარი, ალკასარი, კიკო ნარვაესი, ჰასელბაინკი
მსაჯი: მანუელ დიას ვეგა

თასის მეოთხედფინალურ ეტაპზე ოთხშაბათს სამი საპასუხო შეხვედრა ჩატარდა. აქედან ორ წყვილში გამარჯვებულის ვინაობა იმთავითვე გარკვეული იყო.

„ბარსელონამ“ მეორედივიზიონელ „ორსასუნას“ ერთი კვირის წინ სტუმრად 4:0 სძლია და ნახევარფინალის საგზური ნაადრევად გაინაღდა.

კატალონიელებმა მეტოქე არც საპასუხო მატჩიში დაინდეს, „კამპ ნოუზე“ იარი ლიტმანენისა და დანი გარსიას გატანილი ორი გოლის წყალობით 2:0 დაამარცხეს და მომდევნო ეტაპზეც დამსახურებულად მოხვდნენ.

თითქმის ასეთივე სიტუაცია იყო „კომპოსტელასა“ და „ესპანიოლის“ წყვილში. ნახევარფინალის საგზური „ესპანიოლსაც“ დაჯავშნული ჰქონდა. ამიტომ საპასუხო მატჩში თავი დიდად არ შეუწუხებია, ეტყობა, პრიმერადივიზიონის მორიგი ტურისთვის დაზოგა ძალა და მინიმალური ანგარიშით 0:1 დამარცხდა. თუმცა ორი მატჩის ჯამში 5:2 გაიმარჯვა და საუკეთესო ოთხეულშიც მოხვდა.

ყველაზე საინტერესო და პრინციპულ მატჩს გულშემატკივარი ორ მადრიდულ კლუბს — „რაიო ვალეკანოსა“ და „ატლეტიკოს“ შორის ელოდა. პირველი შეხვედრა „ვისენტე კალდერონზე“ უგოლო ფრით, 0:0 დასრულდა, რაც „რაიო ვალეკანოს“ მომდევნო ეტაპზე მოხვედრის შანსს ზრდიდა. მატჩი მართლაც დრამატული გამოდგა და ფრედ 2:2 დასრულდა. „ატლეტიკომ“ კი მეტოქის მინდორზე გატანილი გოლის წყალობით ნახევარფინალში გააღწია.

თუმცა ეს გამარჯვება „ატლეტიკოს“ იოლად არ მოუპოვებია. შეხვედრის დასრულამდე ორი წუთით ადრე ტაბლოზე ასახული 2:1 „რაიო ვალეკანოს“ აძლევდა ხელს. „ატლეტიკო“ რუბენ ბარახამ იხსნა, რომელმაც 88-ე წუთზე ანგარიში გაათანაბრა და თავისი გუნდი მომდევნო ეტაპზე გაიყვანა.

არადა, თავიდან, მეოთხე წუთზე ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკის გოლის წყალობით „ატლეტიკო“ დაწინაურდა, „რაიო ვალეკანო“ კი საკმაოდ რთულ სიტუაციაში აღმოჩნდა.

მასპინძლებს მოსაგებად მინიმუმ ორი ბურთის გატანა სჭირდებოდათ, მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ეს მოახერხეს კიდეც. 27-ე და 50-ე წუთებზე გუნდის სათადარიგო ფორვარდმა მიჩელ კარილერომ ორჯერ გამოიჩინა თავი და სტადიონზე შეკრებილი გულშემატკივრები ერთობ გაახარა.

თუმც, როგორც მოგახსენეთ, მათი იმედები საფინალო სასტვენამდე ორი წუთით ადრე ატლეტიკოელმა რუბენ ბარახამ გააქარწყლა, „რაიო ვალეკანო“ ნახევარფინალის მიღმა დატოვა, თავის გუნდს კი გამარჯვება მოუტანა.

სამი ნახევარფინალისტის ვინაობა უკვე ცნობილია — „ბარსელონა“, „ესპანიოლი“ და „ატლეტიკო“. მეოთხე კი გუშინ გვიან ღამით, მერიდაში, ადგილობრივი „მერიდასა“ და მადრიდის „რეალის“ შეხვედრაში გაირკვა

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია საქტელეკომ პლუსი
☎ 99 67 67, 98 30 20



მეფე შიშველია

# დიეგო მოკვდება?

ამ ბოლო დროს კუბას უამრავი ხალხი მიაწყდა. მათ ფიდელ კასტროს რევოლუციური მიღწევები ნაკლებად აღელვებთ. დღეს თავისუფლების კუნძულზე წვეროსან ლიდერზე მეტად დიეგო მარადონას აქვს სახელი გაგდებული. გენიოსი ფეხბურთელი ჰავანის ერთ-ერთ კლინიკაში კოკაინის ყნოსვის ტრფიალმა მიიყვანა. როგორ მიდის დიეგოს მკურნალობა? ლეგენდარული არგენტინის ძველი მეგობარი ხულიო ალბერტო, ვინაც მარადონა გუშინ მოინახულა ამბობს: „თუ ასე გაგრძელდა, მარადონა მოკვდება!“ რას გულისხმობს ალბერტო? „დიეგო სეირის მოყვარული ხალხით არის გარშემორტყმული. მას განუწყვეტლივ რეპორტიორები დასდევენ და მოსვენებას არ აძლევენ. საშინელი ჩვეულებისგან გათავისუფლება ასე შეუძლებელია! დიეგოს სიმშვიდე და სრული იზოლაცია სჭირდება. ეს მისი უკანასკნელი შანსია. ნუ მოვკლავთ დიეგოს!“

# მილანი თუ რეალი?

## საით, კლაუდიო...

ახალი წლის დღეებში იტალიური სუპერკლუბი „მილანი“ და ესპანური ფეხბურთის ერთ-ერთი გრანდი, მადრიდის „ატლეტიკო“ დაძმობილდნენ, მოდი, ვითანამშრომლოთო. ხელი ხელს დაჰკრეს და ტრანსფერ(ებ)იც შედგა. მადრიდიდან მილანში ჯერ ახალგაზრდა ესპანელი ფორვარდი, 19 წლის ხოსე მარი რომერო გაემგზავრა თითქმის 19 მილიონ დოლარად, შემდეგ კი იმავე გზას, ოღონდ ნაკლები თანხის სანაცვლოდ, 31 წლის არგენტინელი მცველი ხოსე ანტონიო შამოტიც დაადგა. „მილანმა“ ორივე ფეხბურთელი „ვისენტე კალდერონიდან“ („ატლეტიკოს“ მშობლიური სტადიონია) „სან სიროზე“ ჩაიყვანა.

რა მიიღო სანაცვლოდ „ატლეტიკომ“? ბევრიც არაფერი, დოლარებით ჯიბე გაისქელა, რითაც ალბათ თავის დაპატიმრებულ პრეზიდენტ ხესუს ხილი ხილს შეეწევა. გარდა ამისა, შეთანხმება — ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს მადრიდში „მილანი“ ჩავა და „ატლეტიკოს“ „ვისენტე კალდერონზე“ ამხანაგურად გაეჯიბრება.

ეს საახალწლოდ იყო, ახლა?

ახლა... მადრიდში ჯერ „მილანის“ მწვრთნელ-სელექციონერი, იტალიის ნაკრების ყოფილი თავკაცი ჩეზარე მალდინი იმყოფებოდა. მას „ატლეტიკოს“ კიდევ ერთი ფეხბურთელი, ნახევარმცველი რუბენ ბარახა მოეწონა, დიდებული ახალგაზრდაა, კარგი იქნება, თუ ჩვენთან, „სან სიროზე“ გადმოვაო, თუმცა ამ ტრანსფერს სერიოზულობისა არაფერი სცხია.

სერიოზულად კი „მილანში“ თურმე მწვრთნელის საკითხი აღელვებთ. ამბობენ, გუნდი ბრწყინვალედ კი ათამაშდა, მაგრამ ალბერტო ძაკერონის დღეები დათვლილია. თავად სილვიო ბერლუსკონიც მწვრთნელს ალმაცერად უყურებსო.

გახსოვთ, არიგო საკი, დიდი „მილანის“ მწვრთნელი? არა, საკი არ ბრუნდება. სინიორ არიგო ახლა „მილანის“ ტექნიკურ საკითხებს ხელმძღვანელობს და... მალდინის მსგავსად მანაც მადრიდში იმოგზაურა და „ატლეტიკოს“ იტალიელ მწვრთნელს, კლაუდიო რანიერის შესთავაზა, ახალი სეზონიდან ჩვენთან ხომ არ გადმოხვიდოდიო. რანიერის პასუხი ცალსახა ყოფილა, ვნახოთ, ვიფიქრებ, საინტერესო წინადადებაა, ერთი კი ვიცი, „ატლეტიკოში“ წლევანდელი წელი ჩემთვის ბოლოაო. ეს რომ მადრიდში გაუგიათ, ლორენცო სანსი დაფაცურებულა, ჩვენთან, „რეალში“ წამოდიო. ერთი სიტყვით, ჯერჯერობით გაურკვეველი სიტუაციაა, რანიერის ერთბაშად „მილანი“ და მადრიდის „რეალი“ ეპატიჟება. ორივე მხარე ცდილობს იტალიელი სპეციალისტის გადაბირებას, მაგრამ არაა გამორიცხული, მოხდეს როქი — რანიერი „მილანში“ წავიდეს, შავ-წითელთა ამჟამინდელმა მწვრთნელმა ალბერტო ძაკერონიმ კი მადრიდს მიაშუროს და „რეალის“ თავკაცის პოსტზე დროებით დანიშნული ვისენტე დელ ბოსკე შეცვალოს.

კლაუდიო რანიერის იტალიურ „მილანში“ გადასვლა ყველაზე მეტად თავდამსხმელ ხოსე მარის სურს: „მილანამდე“ რანიერისთან ვვარჯიშობდი. თუ იგი ჩემი გუნდის მწვრთნელად დაინიშნება, ბედნიერი ვიქნები. „ატლეტიკოში“ ხომ ხშირად მიწევდა თამაში, ძაკერონი კი უფრო შეცვლებზე მათამაშებს“.

ვინ არის კლაუდიო რანიერი? კაცი, რომელმაც სახელი ესპანური „ვალენსიას“ მწვრთნელობით გაითქვა. შემდეგ იტალიელი „ატლეტიკოში“ გადავიდა. სანამ რანიერი ესპანეთში წავიდოდა სამუშაოდ, სამშობლოში ფლორენციის „ფიორენტინას“ თავკაცობდა. ახლა კი კარგა ხნის შესვენების შემდეგ შესაძლოა იტალიაში დაბრუნდეს.

**გიორგი ვაშაკიძე**



კლაუდიო რანიერი: რომელი ჯობია

# სოკა გაკაის სანსკო

## დღეს რობერტო ბაჯოს დღეობაა

ᲞᲔᲚᲔ ბრაზილიელია, მარადონა არგენტინელი, კრუიფი ჰოლანდიელი, დი სტეფანო გაესპანელებული არგენტინელი, ბეკენბაუერი გერმანელი, პლატინი ფრანგი, ჩარლტონი ინგლისელი, ხოლო იტალია მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი გახლავთ. იტალიური კლუბები ყოველ წელიწადს რომელიმე ევროპულ თასს იგებენ, მაგრამ პელე ბრაზილიელია, მარადონა არგენტინელი, კრუიფი ჰოლანდიელი...

ამასწინათ ვიღაცამ თქვა, ყველაზე დიდი იტალიელი ფეხბურთელი ჯანი რივერა იყოო. მეორემ არა, პაოლო როსიო. შეიძლება, მაგრამ პელე მაინც ბრაზილიელი იყო, მარადონა არგენტინელი და ასე შემდეგ.

რობერტო ბაჯოს კი ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ათამაშებენ. მე თუ მკითხავთ, ყველაზე დიდი იტალიელი ფეხბურთელი იქნებ სწორედ რობერტო ბაჯო იყოს, მაგრამ იტალიელი მწვრთნელები არ მეთანხმებიან. ისინი ამბობენ, რომ მას თავიანთ სქემებში ადგილი ვერ მოუნახეს, დღეს კი ფეხბურთს სქემები თამაშობენ. კიდევ, ფეხბურთს კლუბის ბიუჯეტი თამაშობს, ინფრასტრუქტურა, მოედნის საფარი, სპონსორი, ციფრული ტელევიზია...

რობერტო ბაჯო კი ძირითადში ვერ ხვდება და დღეს, 2000 წლის 18 თებერვალს 33 წლისა გახდა.

„1993 წელს ჩემთვის, რვაშვილიანი ოჯახის მეექვსე ბავშვისთვის „ოქროს ბურთი" მოულოდნელობა გახლდათ. ხუმრობა ხომ არ არის, მივაღწიე იმას, რაც ჩემამდე მხოლოდ ჯანი რივერამ და პაოლო როსიმ შეძლეს. რა შეიძლება ითქვას? ვგონებ, ამას ბევრი ახსნა-განმარტება არც სჭირდება. ეს ისეთი სიხარული იყო, რომელსაც სრულყოფილად მხოლოდ ოჯახის წევრებს და ახლობლებს თუ გავუზიარებდი. „ოქროს ბურთი"... კაცმა რომ თქვას, ბურთი ჩემთვის ყოველთვის ოქროსი იყო. ამას ჩემი მშობლები დაგიდასტურებენ. ფეხი ბურთის დევნით ავიდგი, ხოლო ცოტა რომ წამოვიზარდე, ოთხშაბათობით ტელევიზორთან გვიანამდე ჯდომის ნებაც დამრთეს — სათასო შეხვედრებს ვუქცერდი. შედეგად, პირდაპირ სოფაზე მეყვინთებოდა და თან ისე, რომ უფროსი ძმების ღრიანცელი მხოლოდ იავნანად ჩამესმოდა ხოლმე. ჩემი ძმები „ინტერს" ქომაგობდნენ. თითქოს მეც „ინტერისკენ" ვიყავი, მაგრამ მათ ენთუზიაზმს ბოლომდე მაინც არ ვიზიარებდი. ვისაც უფროსი ძმები ჰყავს, გამიგებს.

მთავარი კი ის გახლდათ, რომ ვერანაირი ტრანსლაცია ვერ შეედრებოდა მეგობრებთან ერთად ბურთის თამაშს. ყველაფერზე მეტად სწორედ ეს მიყვარდა, რადგან სხვების შექცევისა და სიამოვნების მიღების უნარი თან მქონდა დაყოლილი. როდის მივაღწიე პირველ წარმატებას? იცით, დღესაც კი, როდესაც უდიდეს შეხვედრებში და უდიდესი კლუბების შემადგენლობებში მიღებული გამოცდილება მამძიმებს, „ვიჩენცას" ყმაწვილთა გუნდზე მინდა საუბარი.

იმხანად ზიკოს მეძახდნენ. ჩემმა მაშინდელმა მწვრთნელმა, სინიორ სავოინიმ შემარქვა ასე. ბედნიერი დრო იყო, რადგან ჩვენს ყოველ შეხვედრას 3 ათასი მაყურებელი ესწრებოდა, რაც იუნიორთა გუნდისთვის უჩვეულო რაოდენობა გახლდათ. ჩემთან ერთად უნიჭიერესი ბიჭები თამაშობდნენ. დღეს, როდესაც ვიხსენებ, რომ იმ „ვიჩენცადან" დიდ სარბიელზე მხოლოდ მე გავედი, გაოცებას ვეძლევი. ალბათ, ყველაფერი ოჯახმა და აღზრდამ განაპირობა. იცით, პირველი გოგონა, რომელსაც ცხოვრებაში ვაკოცე დღეს ჩემი შვილების დედაა, ახვა ბიჭებისგან განსხვავებით, ნარკოტიკების საშოვნელად არასდროს მირბენია.

ისე, არც ბედისწერა მინდა გამოვრიცხო, მაგრამ ნურავინ იტყვის, რომ რობერტო ბაჯოს მძიმე დღეები არ ჰქონია. მაგალითად, ფლორენციაში, „ფიორენტინას" ჯერ კიდევ უცნობმა ფეხბურთელმა ავტოკატასტროფაში ორივე მუხლი დავიმტვრიე.

ბედმა აქაც გამიღიმა. კლუბის მაშინდელმა პრეზიდენტმა ბარეტიმ და მწვრთნელებმა ყურადღება არ მომაკლეს. მოგვიანებით, როდესაც „იუვენტუსში" გადავედი, ფლორენციელებმა მოღალატე მიწოდეს, რაშიც, ალბათ, დამნაშავე ჩემი რამდენიმე ციტატა გახლდათ, მაგრამ ესეც ეტყობა ჩემი ბედია. თავიდან ხომ ვერც „იუვენტუსში" მიგებდნენ. ურთიერთობების დალაგებას დრო დასჭირდა".

1990 წელს, მსოფლიოს ჩემპიონატზე აძელიო ვიჩინიმ ბაჯო წაიყვანა, მაგრამ იმთავითვე სქემებს ვერ ერგებოდა თუ რა იყო, თავიდან სათადარიგოთა სკამზე დასვა. იგი მოედანზე მხოლოდ პირველი ეტაპის ბოლო მატჩში გამოჩნდა და ტოტო სკილაჩისთან ჩინებული პარტნიორობით ჩეხოსლოვაკიას სძლია.

ნახევარფინალში იტალიას არგენტინა შეხვდა. თამაშის წინ ვიჩინიმ ბაჯო გააფრთხილა, დაღლილი ჩანხარ და მხოლოდ მეორე ტაიმში უნდა შეგიყვანოო.

„23 წლის ვარ, თუ გინდათ ბალახს შევჭამ, ოღონდ თავიდანვე მათამაშეთ".

არ გაჭრა. ბაჯო მეორე ტაიმში შეუშვეს, შემდეგ საქმე პენალტებამდე მივიდა. მან ერთი კი გაიტანა, მაგრამ... იტალია ფინალს მიღმა დარჩა.

თუმცა, ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი სისულელეა. თოფს და ცოლს ხომ ვერავინ წაგართმევს და მთავარი სწორედ ეს არის.

„ადრეინა 15 წლისამ გავიცანი, ზაფხულის ერთ ცხელ დღეს. მეორე დილით საწვრთნელ შეკრებაზე უნდა წავსულიყავი. გული დამწყდა. გავიდა ხანი და როგორღაც, ვხედავ, ჩემი სახლის წინ მოედანზე მეგობართან ერთად მოტოროლერით დაქრის. ძალიან მომეწონა, მაგრამ გამოლაპარაკება ვერ გავბედე. მთელი შუადღე ვყოყმანობდი, საღამოთი კი როგორც იქნა, მივედი. ხუმრობით, სამახსოვროდ პატარა ოქროს ბეჭედი მაჩუქა. ამ ამბიდან ოთხი წლის შემდეგ სანაცვლოდ საქორწინო ბეჭედი ვუძღვენი".

თოფზე: „მამაჩემივით მონადირედ ვარ დაბადებული. ბაბუაც მონადირე იყო, მისი მამაც. ბავშვობაში მამას უდინეს მახლობლად ტყეებში დავყავდი. სამოთხე იყო, იარაღის კოლექცია კი ვერ შევაგროვე, მხოლოდ ავტომატური თოფი და ერთი-ორი რაღაც მაქვს".

1994 წელს, მსოფლიოს ჩემპიონატზე რობერტო ბაჯომ და მისმა კიკინამ არიგო საკისეული იტალიის ნაკრები ფინალში გაიყვანეს, მაგრამ იქ, ბრაზილიასთან, პენალტების სერიაში გადამწყვეტი დარტყმა ვაგლახ, ძალიან, ძალიან აცდა მიზანს.

და სქემებს, როგორც იქნა მორგებული ბაჯო კვლავ სქემებსა და ძირითად შემადგენლობებს გარეთ დარჩა.

„სულიერი წონასწორობა ჩემთვის გადამწყვეტი გახლდათ და ამიტომაც ვეზიარე ბუდიზმს. მაგრამ ბანალურობის მოძულემ რიგითი ბუდისტობა ვერ ვიგუე. რიგითი ბუდისტი ხომ სქელი კაცის ქანდაკების წინ ლოცულობს და მეტი არაფერი, მე კი იაპონურ სკოლას, „სოკა გაკაის" მივსდევ. ამ მიმდინარეობას ერთი ფლორენციელი მეგობრის წყალობით გავეცანი. რელიგიამ ცხოვრების სტილი გამომიკეთა და მაჩვენა, რომ ნებისმიერი ადამიანი საკუთარ ცხოვრებაზე მხოლოდ სულიერი თვალსაზრისით როდი აგებს პასუხს. ჩვენთვის, ვისაც ხელახლა დაბადებისა გვწამს, ცხოვრება დაუსრულებელი ციკლია.

როდესაც თამაშის წინ ვლოცულობ შთაგონებას სულაც არ ვეშურები. ასე ფიქრი ძალიან იოლია. პირიქით, მედიტაცია სულიერად გაძლიერებს. სპირიტუალურ ვარჯიშს სანსკო ჰქვია. მისი წყალობით უმაღლეს კონცენტრაციასა და შესაბამისად შედეგებს ვაღწევ. იაპონიაში ყოფნისას სამი აბრეშუმის ზონარი მაჩუქეს. ისინი „სოკა გაკაის" ფერებად გახლავთ შეღებილი — ლურჯად, ყვითლად და წითლად. მათზე იაპონური იდეოგრამებია გამოსახული — ჩვენ გავიმარჯვებთ, ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ".

ჩვენ სკამიდან წამოვდგებით, ორსამ თამაშს ვითამაშებთ, გოლებს გავიტანთ და ისევ სკამზე დაგვსვამენ.

ჩეზარე მალდინის 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე რობერტო ბაჯოს წაყვანა სულ არ უნდოდა, მაგრამ ხალხმა აიძულა. საფრანგეთის სტადიონებზე ბაჯომ კარგად ითამაშა, „სკუადრა აძურას" გოლების დიდი ნაწილი ან გაატანინა ან თავად გაიტანა, მაგრამ მაინც იჯდა. წამოდგებოდა — დასვამდნენ, წამოდგებოდა — დასვამდნენ...

იჯდა „მილანში", ზის „ინტერშიც".

არ იჯდა „ბოლონიაში", მაგრამ „ბოლონია" „ბოლონიაა", თან იქ მხოლოდ ერთი სეზონი დაჰყო.

დღეს რობერტო ბაჯო 33 წლის გახდა. კარიერა ჯერ არ დაუსრულებია და მომავალ ევროპის ჩემპიონატზე ფიქრობს. სათადარიგოთა სკამიდან.

ის მართლაც ყველაზე დიდი ბუდისტი ფეხბურთელია, პელე კი ბრაზილიელი იყო...

ᲞᲐᲞᲣᲜᲐ ᲫᲔᲓᲘᲐ



რობერტო ბაჯო

## ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲣᲠᲘ ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘᲡ ᲤᲘᲤᲐᲡᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲠᲘᲒᲘ

| | | |
|---|---|---|
| 19.02 | მუსკატი | ᲡᲚᲝᲕᲔᲜᲘᲐ — ᲔᲛᲘᲠᲐᲢᲔᲑᲘ |
| 19.02 | მუსკატი | ᲝᲛᲐᲜᲘ — ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐ |
| 20.02 | ბანგკოკი | ᲢᲐᲘᲚᲐᲜᲓᲘ — ᲤᲘᲜᲔᲗᲘ |
| 21.02 | მუსკატი | ᲔᲛᲘᲠᲐᲢᲔᲑᲘ — ᲝᲛᲐᲜᲘ |
| 21.02 | მუსკატი | ᲡᲚᲝᲕᲔᲜᲘᲐ — ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐ |
| 23.02 | მუსკატი | ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐ — ᲔᲛᲘᲠᲐᲢᲔᲑᲘ |
| 23.02 | მუსკატი | ᲝᲛᲐᲜᲘ — ᲡᲚᲝᲕᲔᲜᲘᲐ |
| 23.02 | ბრიუსელი | ᲑᲔᲚᲒᲘᲐ — ᲞᲝᲠᲢᲣᲒᲐᲚᲘᲐ |
| 23.02 | კალამატა | ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲘ — ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐ |
| 23.02 | სპლიტი | ᲮᲝᲠᲕᲐᲢᲘᲐ — ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘ |
| 23.02 | ამსტერდამი | ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲐ — ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ |
| 23.02 | ლონდონი | ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ — ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲐ |
| 23.02 | პარიზი | ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ — ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘ |
| 23.02 | ბანგკოკი | ᲢᲐᲘᲚᲐᲜᲓᲘ — ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲐ |
| 23.02 | ბანგკოკი | ᲛᲐᲠᲝᲙᲝ — ᲤᲘᲜᲔᲗᲘ |
| 23.02 | დუბლინი | ᲘᲠᲚᲐᲜᲓᲘᲐ — ᲩᲔᲮᲔᲗᲘ |
| 23.02 | თელ ავივი | ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘ — ᲠᲣᲡᲔᲗᲘ |
| 23.02 | ლუქსემბურგი | ᲚᲣᲥᲡᲔᲛᲑᲣᲠᲒᲘ — ᲩᲠᲓ. ᲘᲠᲚᲐᲜᲓᲘᲐ |
| 23.02 | პალერმო | ᲘᲢᲐᲚᲘᲐ — ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘ |
| 23.02 | დოჰა | ᲧᲐᲢᲐᲠᲘ — ᲣᲔᲚᲡᲘ |
| 23.02 | იზმირი | ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘ — ᲜᲝᲠᲕᲔᲒᲘᲐ |
| 23.02 | ბუდაპეშტი | ᲣᲜᲒᲠᲔᲗᲘ — ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ |
| 25.02 | ბანგკოკი | ᲢᲐᲘᲚᲐᲜᲓᲘ — ᲛᲐᲠᲝᲙᲝ |
| 12.03 | ბირმინგემი | ᲐᲨᲨ — ᲢᲣᲜᲘᲡᲘ |
| 15.03 | ტოკიო | ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐ — ᲩᲘᲜᲔᲗᲘ |
| 23.03 | სანტიაგო | ᲩᲘᲚᲔ — ᲒᲐᲜᲐ |
| 28.03 | ლა ვალეტა | ᲛᲐᲚᲢᲐ — ᲩᲠᲓ. ᲘᲠᲚᲐᲜᲓᲘᲐ |
| 29.03 | ვენა | ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐ — ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘ |
| 29.03 | ბრიუსელი | ᲑᲔᲚᲒᲘᲐ — ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲐ |
| 29.03 | პრაღა | ᲩᲔᲮᲔᲗᲘ — ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ |
| 29.03 | ბუქარესტი | ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘ — ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲘ |
| 29.03 | ლისაბონი | ᲞᲝᲠᲢᲣᲒᲐᲚᲘᲐ — ᲓᲐᲜᲘᲐ |
| 29.03 | გლაზგო | ᲨᲝᲢᲚᲐᲜᲓᲘᲐ — ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ |
| 29.03 | ბარსელონა | ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘ — ᲘᲢᲐᲚᲘᲐ |
| 29.03 | ზაგრები | ᲮᲝᲠᲕᲐᲢᲘᲐ — ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ |
| 29.03 | ბერნი | ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐ — ᲜᲝᲠᲕᲔᲒᲘᲐ |
| 29.03 | კარდიფი | ᲣᲔᲚᲡᲘ — ᲤᲘᲜᲔᲗᲘ |
| 29.03 | ბუდაპეშტი | ᲣᲜᲒᲠᲔᲗᲘ — ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘ |
| 21.04 | ერ რიადი | ᲡᲐᲣᲓᲘᲡ ᲐᲠᲐᲑᲔᲗᲘ — ᲚᲘᲑᲐᲜᲘ |
| 26.04 | ვენა | ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐ — ᲮᲝᲠᲕᲐᲢᲘᲐ |
| 26.04 | კოპენჰაგენი | ᲓᲐᲜᲘᲐ — ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘ |
| 26.04 | კაიზერსლაუტერნი | ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ — ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐ |
| 26.04 | ქალაქი უცნობია | ᲘᲢᲐᲚᲘᲐ — ᲞᲝᲠᲢᲣᲒᲐᲚᲘᲐ |
| 26.04 | პარიზი | ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ — ᲡᲚᲝᲕᲔᲜᲘᲐ |
| 26.04 | ოსლო | ᲜᲝᲠᲕᲔᲒᲘᲐ — ᲑᲔᲚᲒᲘᲐ |
| 26.04 | ლუქსემბურგი | ᲚᲣᲥᲡᲔᲛᲑᲣᲠᲒᲘ — ᲔᲡᲢᲝᲜᲔᲗᲘ |
| 26.04 | არნემი | ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲐ — ᲨᲝᲢᲚᲐᲜᲓᲘᲐ |
| 26.04 | ქალაქი უცნობია | ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘ — ᲘᲣᲒᲝᲡᲚᲐᲕᲘᲐ |
| 19-21.05 | ბალტიის თასი | ᲚᲐᲢᲕᲘᲐ, ᲔᲡᲢᲝᲜᲔᲗᲘ, ᲚᲘᲢᲕᲐ |
| 27.05 | ლონდონი | ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ — ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲐ |
| 27.05 | ამსტერდამი | ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲐ — ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘ |
| 27.05 | ოსლო | ᲜᲝᲠᲕᲔᲒᲘᲐ — ᲡᲚᲝᲕᲐᲙᲔᲗᲘ |
| 28.05 | ზაგრები | ᲮᲝᲠᲕᲐᲢᲘᲐ — ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ |
| 31.05 | ლონდონი | ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ — ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐ |
| 03.06 | კოპენჰაგენი | ᲓᲐᲜᲘᲐ — ᲑᲔᲚᲒᲘᲐ |
| 03.06 | ლა ვალეტა | ᲛᲐᲚᲢᲐ — ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ |
| 03.06 | | ᲞᲝᲠᲢᲣᲒᲐᲚᲘᲐ — ᲛᲔᲢᲝᲥᲔ ᲣᲪᲜᲝᲑᲘᲐ |
| 03.06 | ლუქსემბურგი | ᲚᲣᲥᲡᲔᲛᲑᲣᲠᲒᲘ — ᲡᲚᲝᲕᲔᲜᲘᲐ |
| 03.06 | ოსლო | ᲜᲝᲠᲕᲔᲒᲘᲐ — ᲘᲢᲐᲚᲘᲐ |
| 03.06 | ქალაქი უცნობია | ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘ — ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘ |
| 03.06 | ნიურნბერგი | ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ — ᲩᲔᲮᲔᲗᲘ |
| 04.06 | ეინდჰოვენი | ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲐ — ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘ |
| 04.06 | ქალაქი უცნობია | ᲛᲐᲠᲝᲙᲝ — ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ |
| 07.06 | ლუქსემბურგი | ᲚᲣᲥᲡᲔᲛᲑᲣᲠᲒᲘ — ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘ |
| *11.06* | *ტალინი* | *ᲔᲡᲢᲝᲜᲔᲗᲘ — ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ* |
| 27.07 | ლაუგარდალსვიოლური | ᲘᲡᲚᲐᲜᲓᲘᲐ — ᲛᲐᲚᲢᲐ |
| 16.08 | ჰანოვერი | ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ — ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘ |
| 16.08 | ლაუგარდალსვიოლური | ᲘᲡᲚᲐᲜᲓᲘᲐ — ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘ |
| 22.08 | ბუქარესტი | ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘ — ᲘᲣᲒᲝᲡᲚᲐᲕᲘᲐ |

## ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲣᲠᲘ ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ

23 თებერვალი

**ᲑᲔᲚᲒᲘᲐ — ᲞᲝᲠᲢᲣᲒᲐᲚᲘᲐ**

*პორტუგალიის ნაკრების შემადგენლობა*

*მეკარეები: პედრო ეშპინია (გიმარაეში), ჟოაკიმ სამპაიო სილვა (ბრაგა);*

*მცველები: კარლოს სეკრეტარიუ, ჟორჟე კოშტა (ორივე პორტუ), ფერნანდო კოუტუ (ლაციო, იტალია), დიმაშ ტეიშეირა (სტანდარდი, ბელგია), რობერტო სევერო, რუი ჟორჟე (ორივე სპორტინგი);*

*ნახევარმცველები: პაულო სოუზა (პარმა, იტალია), პაულო ბენტუ (ოვიედო, ესპანეთი), ჟოზე ლუიშ ვიდიგალი (სპორტინგი), რუი კოშტა (ფიორენტინა, იტალია), ლუიშ ფიგუ (ბარსელონა, ესპანეთი), სერჟიო კონსეისაო (ლაციო, იტალია), ნუნო კაპუჩო (პორტუ), დანი კარვალიო (აიაქსი, ჰოლანდია);*

*თავდამსხმელები: ჟოაო პინტუ, ნუნუ გომეში (ორივე ბენფიკა), რიკარდო სა პინტუ (სოსიედადი, ესპანეთი);*

23 თებერვალი

**ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲐ — ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ**

*ჰოლანდიის ნაკრების შემადგენლობა*

*მეკარეები: ედვინ ვან დერ სარი (იუვენტუსი, იტალია), სანდერ ვესტერველდი (ლივერპული, ინგლისი);*

*მცველები: ფრენკ დე ბური, უინსტონ ბოგარდი, მიხაელ რაიციგერი (ყველა ბარსელონა, ესპანეთი), ბენტ კონტერმანი (ფეიენოორდი), არტურ ნუმანი (გლაზგო რეინჯერსი, შოტლანდია), იაპ სტამი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი);*

*ნახევარმცველები: რონალდ დე ბური, ფილიპ კოკუ, ბუდევინ ზენდენი (ყველა ბარსელონა, ესპანეთი), პოლ ბოსველტი (ფეიენოორდი), ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი (გლაზგო რეინჯერსი, შოტლანდია), ედგარ დავიდსი (იუვენტუსი, იტალია), კლარენს ზეედორფი (ინტერი, იტალია), არონ ვინტერი (აიაქსი);*

*თავდამსხმელები: დენის ბერხკამპი (არსენალი, ინგლისი), ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი (ატლეტიკო, ესპანეთი), პიერ ვან ჰოიდონკი (ვიტესი), პატრიკ კლუივერტი (ბარსელონა, ესპანეთი), როი მაკაი (დეპორტივო, ესპანეთი), რუუდ ვან ნისტელროი (პსვ ეინდჰოვენი)*

# ზებგერითის დაბრუნება



კიმ კლაისტერსი

როტერდამი. ჰოლანდია. **ABN/AMRO**-ს პირველობა.
დაბაზი, ხალიჩა.
საპრიზო 800 ათასი $

სამთვიანი იძულებითი შესვენების შემდეგ მისტერ ზებგერითი მოწოდება — გრეგ რუზეცკი როტერდამში დაუბრუნდა ასპარეზობას.

ბოლო ორ სეზონია ტრავმებით გატანჯული ინგლისელის ესოდენ ხანგრძლივი არყოფნა ფეხზე გადატანილი ოპერაციით იყო გამოწვეული. თავიდან ექიმებმა ჩოგბურთელს უბრალოდ დასვენება ურჩიეს, მაგრამ დიდი ხნის გელფრენდ ლუსისთან 4 დეკემბერს დაქორწინებულ გრეგს ტკივილებმა ყველაზე შეუფერებელ მომენტშიც კი შეახსენეს თავი.

„თაფლობის თვეში პლაჟზე სირბილის დროს მწვავე ტკივილებს ვგრძნობდი. როდესაც უკან დავბრუნდი, დაწვრილებითი გამოკვლევა ჩავიტარე და აღმოჩნდა, რომ ძვალზე გამონაზარდი გამჩენოდა — განაცხადა რუზეცკიმ, რომელმაც ქირურგის დანას გემო მიუნხენში, 22 დეკემბერს გაუგო — თავიდან მითხრეს, რომ ორი თვე ვერ ვითამაშებდი, ასე რომ, გრაფიკს ცოტათი გავუსწარი."

ინგლისელმა ვარჯიში ორი კვირის წინ განაახლა და ჰოლანდიაში უკვე ჯეროვნად მომზადებული გამოიყურებოდა. პირველ წრეში გრეგს საკმაოდ უსიამოვნო მეტოქე — სლოვაკი კაროლ კუჩერა ერგო, თუმც წლეულს ვერც ეს უკანასკნელი დაიკვეხნის დიდი მიღწევებით.

რუზეცკის აქა-იქ აშკარად ეტყობოდა სათამაშო პრაქტიკის ნაკლებობა, ზოგჯერ მეტად შეუფერებელ გადაწყვეტილებებს იღებდა და ბავშვურადაც ცდებოდა, თუმცა უნებლიე ხარვეზებს ეფექტურად ანაზღაურებდა ტყვიასავით მოწოდებებითა და აგრესიული განწყობით.

მეორე სეტში ინგლისელი 1:4-ით ჩამორჩა, თუმცა კუჩერას ორმაგი შეცდომების ხელშეწყობით ანგარიშის გათანაბრება მოახერხა, საბოლოოდ 6:2, 7:5 მოიგო და პირველი გამოცდა ჩაბარებულიაო, განაცხადა.

„იმედი მაქვს, რომ ეს სეზონი მაინც წარმატებული იქნება ჩემთვის. როგორც ადრეც არაერთხელ მითქვამს, განსაკუთრებით დიდი სლემის ტურნირის მოგება მსურს და ამისთვის ყველაფერს ვილონებ. თუმცა ამ ტრავმამ ისიც მასწავლა, რომ საკუთარ სხეულს უფრო მეტი ყურადღება უნდა მივაქციო და პროფესიონალურად მოვუარო."

ყველაზე მეტად ტურნირის პირველ წრეში შარშანდელ ჩემპიონ ევგენი კაფელნიკოვს გაუმართლა. სოჭელ ჟენიას (1) წესით მისთვის ერთ-ერთ ყველაზე მოუხერხებელ მეტოქესთან, მარკ როსესთან უნდა ეთამაშა, რომელთანაც პირად შეხვედრებში 3:9-ს აგებს.

გიგანტი შვეიცარიელი შესანიშნავ ფორმაში გახლავთ, კვირას მარსელის ღია პირველობაც მოიგო, თუმცა ოთხშაბათ დილით გრიპის ნიშნები აღმოაჩნდა და თამაშზე უარის თქმა მოუხდა. კაფელნიკოვმა კი ბედის წყალობა შესანიშნავად შეირგო და „იღბლიან წაგებულ" ნიკლას კულტის 6:2, 6:2 გადაუარა.

სამაგიეროდ, ნაკლებად გაუმართლათ ტურნირის სხვა ფავორიტებს — ეკვადორელ ნიკოლას ლაპენტისა და ტომას ენკვისტს.

ლაპენტის (4) ერთ დროს მსოფლიოს მეოთხე ჩოგანმა, ახლა კი ტურნირზე კვალიფიკაციის გავლით მოხვედრილმა შვედმა იონას ბიორკმანმა მოუგო 7:6 (7:5), 6:2.

კიდევ უფრო მოულოდნელი იყო ავსტრალიის ღია პირველობის ყოფილი ფინალისტის, შვედი ენკვისტის (6) წაგება მასპინძელ იან სიმერინკთან. სიმერინკი წლეულს იმდენად ცუდად თამაშობდა, რომ თავდაჯერებადაკარგულმა დევისის თასის კაპიტანს ათიოდ დღის წინ სთხოვა, ერთეულებში არ ეთამაშებინა.

მაგრამ თანამემამულეთა მხურვალე მხარდაჭერამ ჰოლანდიელზე წამალივით იმოქმედა და სიმერინკმაც 6:3, 7:6 (7:5) მოიგო.

პირველი წრე: **ნიკოლას კიფერი** (2, გერმანია) — დანიელ ვაცეკი (ჩეხეთი) 6:2, 6:4; **მაგნუს ნორმანი** (3, შვედეთი) — სხენგ შალკენი (ჰოლანდია) 6:2, 6:7 (4:7), 6:3; **ტიმ ჰენმანი** (5, ინგლისი) — ალბერტო მარტინი (ესპანეთი) 6:2, 6:2; **სედრიკ პიოლინი** (8, საფრანგეთი) — ადრიან ვოინეა (რუმინეთი) 6:2, 6:3; **დომინიკ ჰრბატი** (სლოვაკეთი) — მარატ საფინი (რუსეთი) 4:6, 6:1, 7:6 (9:7); **ფილიპ დევულფი** (ბელგია) — გორან ივანიშევიჩი (ხორვატია) 6:3, 2:6, 6:4; **სებასტიან გროსჟანი** (საფრანგეთი) — ანდრეი მედვედევი (უკრაინა) 7:5, 6:3; **ირჟი ნოვაკი** (ჩეხეთი) — ტომას იოჰანსონი (შვედეთი) 6:3, 6:2; **ჟერომ გოლმარი** (საფრანგეთი) — მარიანო ზაბალეტა (არგენტინა) 6:2, 6:3

მემფისი. აშშ. **KROGER ST. JUDE**-ის პირველობა.
დარბაზი, ჰარდი.
საპრიზო 750 ათასი $

ტურნირის შარშანდელმა ფინალისტმა, ჯიმ კურიემ წლეულს მემფისში თავისი ხანგრძლივი კარიერის, ალბათ ყველაზე უჯიგრო მატჩი ჩაატარა.

მებრძოლი ხასიათის გამო „კლდედ" წოდებულმა ამერიკელმა მეორე წრის შეხვედრაში (პირველი წრიდან 16-ვე განთესილი გათავისუფლებული იყო) იტალიელ ლორენს ტილმანთან დაძაბული პირველი სეტი ტაი-ბრეიკზე წააგო, მერე კი თეთრი ბაირაღი გადმოფინა და მაყურებლებისაც არ შერცხვა, ისე დამარცხდა მშრალზე 6:7 (2:7), 0:6.

„აშკარად შევატყვე, რომ მეორე სეტში თამაშისადმი ინტერესი დაეკარგა. ოდნავადაც აღარ ცდილობდა" — ამხილა მეტოქე ბელგიური წარმოშობის იტალიელმა.

თუმცა თავად კურიეს გული დიდად არ დასწყვეტია და არც სინდისის ქენჯნას შეუწუხებია მაინცდამაინც. „ხვალ მზე ისევ ამოვა და ცხოვრებაც ჩვეულებრივ გაგრძელდება. ასეთი დღეები ყველას შეიძლება ჰქონდეს" — ასეთი იყო მისი კომენტარი.

მეორე წრე: **მარკ ფილიპუსისი** (1, ავსტრალია) — ბრაიან მაკფი (აშშ) 6:2, 6:4; **ტომი ჰაასი** (2, გერმანია) — ჯეფ ზალცენშტაინი (აშშ) 6:2, 2:6, 6:4; **ანდრე სა** (ბრაზილია) — ვინს სპედეა (3, აშშ) 6:4, 6:3; **კრის ვუდრაფი** (4, აშშ) — მარკ ვუდფორდი (ავსტრალია) 3:6, 7:5, 6:3; **მაიკლ ჩანგი** (5, აშშ) — აქსელ პრეჰი (გერმანია) 5:7, 6:2, 6:1; **უეინ ფერერა** (7, სამხრეთ აფრიკა) — ალექსანდრ პოპი (გერმანია) 7:5, 7:5; **რაინერ შუტლერი** (9, გერმანია) — პარადორნ სრიჩაპანი (ტაილანდი) 5:7, 6:3, 6:3; **სარგის სარგისიანი** (11, სომხეთი) — ჰარელ ლევი (ისრაელი) 6:2, 6:3.

ჰანოვერი. გერმანია. ფაბერის გრან პრი. დარბაზი, ჰარდი.
საპრიზო 540 ათასი $

თუ ბორის ბეკერის წასვლით გამოწვეული დანაკლისი ნიკოლას კიფერმა და ტომი ჰაასმა ასე თუ ისე აანაზღაურეს, ლეგენდარული შტეფი გრაფის პენსიაზე გასვლამ გერმანიის ქალთა ჩოგბურთში დიდი კანიონისხელა ნაპრალი დატოვა.

აგერ, ჰანოვერის ტურნირზეც მეორე წრეში გასვლა ერთმა მასპინძელმაც ვერ მოახერხა. გერმანელებს ყველაზე მეტად თავიანთი პირველი ჩოგნის, ანკე ჰუბერის (5) ეიმედებოდათ, მაგრამ ეს უკანასკნელი ამომავალმა ვარსკვლავმა კიმ კლაისტერსმა იმსხვერპლა — 6:1, 6:7 (2:7), 6:3.

16 წლის კლაისტერსი სულ ნახევარი წელია, პროფესიონალებში გადაბარგდა, მაგრამ ამასობაში ორი ტურნირის მოგება მოასწრო. ჯანიანი ბელგიელი ბავშვობაში გრაფს ალმერთებდა და თავისი კერპის მსგავსად, მეტოქეებს მკვლელი ფორჰენდით უსწორდება.

„აშკარაა, რომ მას დიდი მომავალი აქვს. კლაისტერსი კორტზე თავისი ასაკისთვის უჩვეულოდ საზრიანად მოქმედებს და მარტო მე კი არა, სხვებსაც შავ დღეს დააყრის" — თავი იმართლა ჰუბერმა.

პირველი წრე: **რუქსანდრა დრაგომირი** (6, რუმინეთი) — კარინა ჰაბსუდოვა (სლოვაკეთი) 6:3, 7:6 (7:5); **ენ კრემერი** (ლუქსემბურგი) — სილვია ტალაია (7, ხორვატია) 7:5, 6:3; **პატი შნიდერი** (8, შვეიცარია) — რალუკა სანდუ (რუმინეთი) 6:2, 7:6 (7:1); **მირიამ ორემანსი** (ჰოლანდია) — ირინა სპირლეა (რუმინეთი) 6:3, 6:3.

**ავთანდილ სვანიძე**

REUTERS როტერდამიდან



გრეგ რუზეცკი



REUTERS მადრიდიდან



ტომი დიისი და ჯოელ ერნანდესი

# ატომ ირბინა, ოტიმ შეძირა

მადრიდის სამძლეოსნო დარბაზში მიმდინარე შეჯიბრზე მასპინძლები ურიგოდ არ გამოიყურებოდნენ. მაგალითად, მამაკაცთა 400-მეტრიანი და ქალთა კილომეტრიანი დისტანციების პრიზიორებში არაესპანური გვარი არც კი ურევია. ესპანელები უებრო მორბენლები კი არიან, მაგრამ, ისიც ვთქვათ, რომ მადრიდში ყველა წარჩინებული მძლეოსანი არ ჩასულა, ჩასულთაგანაც ზოგიეთს სარბიელზე არ გაესვლება. ასეთია, იამაიკელი მერლინ ოტი, რომელიც გუშინწინ დალონებული იყურებოდა ტრიბუნებიდან და კოლეგების ლალობას შურიანი მზერით უჭვრეტდა. ოტის სპორტიდან დროებითი ან იქნებ სამუდამო მოკვეთის მიზეზებზე უკვე გაუწყეთ, ამიტომ ახლა იმ ვარსკვლავებზე ვთქვათ, რომლებსაც მადრიდში განავარდების საშუალება მიეცათ. ესპანური ბენეფისი მოიწყო ბაჰამელმა სავათედა ფაინსმა, რომელსაც სამძლეოსნო სამყარო გასული წლიდან იცნობს. მაშინ ბაჰამელმა კიდევ სამ თვისტომთან ერთად სევილიის მსოფლიოს ჩემპიონატის 4X100 მეტრიანი გარბენი მოიგო, შემდეგ კი მიჰყვა და კარლსრუეს გარდა ყველა ტურნირიდან ოქროს მედალი გაიყოლა შინ. მადრიდში ფაინსმა 60 მეტრის დასაფარავად 7,01 წამი დახარჯა, გარბენი მოიგო, წლის საუკეთესო შედეგი უჩვენა, პირადი რეკორდი დაამყარა და მეშვიდე ქალიც შეიქნა მსოფლიოს ყველა დროის უსწრაფესად მორბენალ მდედრთა შორის. ცოტა ვერ გაუმართლა ბრიტანელ ჯეისონ გარდნერს, რომელიც ორიოდე დღით ადრე იქადნებოდა, მადრიდში ევროპის ჩემივე რეკორდი უნდა გავაუმჯობესო 60-მეტრიან დისტანციაზეო. რეკორდს ვინ ჩივის, გარდენერმა ისეთი ცუდი სტარტი აიღო, 10 მეტრის შემდეგ ოდენ მესამე იყო და ისეთმა ხალხმა გაუსწრო, ბიჭი იყავი და დასწეოდი. მე თქვენ გეტყვით და ტრინიდადელი ატო ბოლდონი იმის კაცია, გამარჯვება გარდნერზე ნაკლებად სურდეს და ეკუთვნოდეს... ბრიტანელმა მაინც თავისი გააკეთა, სადებიუტო მარცხის შემდეგ მეტოქეებს რაკეტასავით ჩაუქროლა და ფინიშთან ყველას მიასწრო. გარდნერმა რომ შუა გზაზე გადაასწრო, ბოლდონი წაზდა და კუბელი ფრედი მაიოლაც გაუშვა წინ. გამარჯვებულის შედეგი 6,48 წამი გახლდათ, ანუ ევრორეკორდზე ორი მეასედი წამით მეტი, ასე რომ, გარდნერს თავისი სარეკორდო პატივმოყვარეობის დაკმაყოფილება მომავალში მოუწევს. მისგან განსხვავებით, მადრიდში ძლიერ გაიხარა ჭარმაგმა ამერიკელმა ტონი დიისმა, რომელსაც 60 მეტრზე თარჯრბენში კუბელ ახალგაზრდობასთან ჭიდილში გამარჯვების იმედი მაინცდამაინც არ ჰქონდა, რადგან სოციალიზმის კუნძულელთაგან ერთ-ერთს, ანიერ გარსიას, ერთი კვირის წინ ამავე საქმის გასაკეთებლად სულ რაღაც 7,37 წამი დასჭირდა და ახლაც დიდ გულზე იყო. გარსიამ არა და მეორე კუბელმა, ჯოელ ერნანდესმა კი გამოიდო თავი. მან და ამერიკელმა სიამის ტყუპებივით ერთად გადაკვეთეს ფინიში (გარსიამ სტარტი ცუდად აიღო და ზურგში დარჩა). მხოლოდ ფოტოფინიშმა უჩვენა, რომ დიისი ოდნავ წინ იყო და 36 წლის ვეტერანმა გამარჯვება იზეიმა.

**დავით გულუა**



ჯეისონ გარდნერი



# აი, ვინა ზის ნავში!

„ეს ადამიანი, მგონი, ქვესკნელისკენ გამგზავრებას აპირებს" — თქვა ცოტა ხნის წინ აფროსანთა საოკეანო საზოგადოების ერთმა ხელმძღვანელთაგანმა, რომლმაც ვინაობის გამხელისგან თავი შეიკავა. ნათქვამის ადრესატი, 42 წლის გმირული სულისკვეთების პატრონი, ბრიტანელი ენდრიუ ჰესლი გახლავთ. მას ეპილეფსია სტანჯავს და მუხლის ძლიერი ტკივილებიც აწუხებს, ამ დროს კი აკეთებს იმას, რაც ჯანმრთელ ადამიანსაც გაუჭირდება: ჩამჯდარა ათმეტრიან იახტაში, პატრიოტული მოსაზრებებით მისთვის „ბრიტანული ვარდი" დაურქმევია და წყნარი ოკეანის მარტოდმარტო გადალახვა განუზრახავს. არ გამეკაროთ ახლოსო, უკვე რამდენჯერმე შეუძახა ჰესლიმ იმ კეთილშობილ ადამიანებს, რომელთაც მისი სურსათის მარაგის შევსება განუზრახავთ. არადა, ჯერ მხოლოდ 3,5 ათასი კილომეტრით მიუახლოვდა ავსტრალიას, რომელიც სამხრეთ ამერიკიდან ამოიღო მიზანში. ჰესლის არ აკმაყოფილებს ატლანტის ოკეანის გადამლახველი პირველი ინვალიდის ტიტული, რომელიც სამი წლის წინ მოიპოვა, ამ წუთებშიც ნავში ზის და მიცურავს ავსტრალიისკენ. ღმერთმა ხელი მოუმართოს!

**დავით გულუა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შენ ჩემთან, მე შენთან!

შვიდკაცას მსოფლიოს თასის მეექვსე ტურნირს ფიჯიმ უმასპინძლა. შეჯიბრი ძალიან საინტერესო უნდა ყოფილიყო. მასპინძლებს ზედიზედ მეორე გამარჯვება და საერთო ჩათვლაში გვარიანად დაწინაურება სურდათ. ახალზელანდიელებს კი წინა ტურნირში შინაურ კედლებში განცდილი მარცხისთვის შურისძიების წყურვილი ჰკლავდათ. დანარჩენ გუნდებს კი ტრადიციულად მესამე ადგილისთვის ბრძოლა მოუწევდათ. ავსტრალიელები ძალიან კი იქადნებოდნენ, ფიჯისა და ახალი ზელანდიის ბატონობას ბოლოს მოვუღებთო, მაგრამ...

ტურნირში თექვსმეტი გუნდი ჩაება, რომლებიც ჯგუფებში ასე განაწილდნენ. A ჯგუფი: ფიჯი, აშშ, საფრანგეთი, ურუგვაი; B ჯგუფი: ახალი ზელანდია, ახალი გვინეა, არგენტინა, ხორვატია; C ჯგუფი: სამოა, იაპონია, კანადა, ტონგა; D ჯგუფი: ავსტრალია, კუკის კუნძულები, ვანუატუ, სამხრეთ აფრიკა.

პირველ ორ დღეს მორაგბეებს მძიმე კლიმატურ პირობებში მოუწიათ თამაშმა. ჰაერის ტემპერატურა პლუს 32 გრადუსი იყო, ტენიანობა კი 91 პროცენტი. თუმცა ამას მათთვის ხელი არ შეუშლიათ, ლაღი ბურთაობით დაეტკბოთ სუვას სტადიონზე შეკრებილი მაყურებელი. ქომაგებმაც სათანადოდ დააფასეს მორაგბეთა გარჯა და ყოველი მატჩის დამთავრების შემდეგ „ოლას“ ძახილით აცილებდნენ მობურთალთ. ჯგუფების მთავარი მოულოდნელობა ურუგვაის მიერ საფრანგეთის ძლევა იყო. მეოთხედფინალში დანარჩენი ფავორიტები იოლად გავიდნენ. საინტერესო იყო აგრეთვე ავსტრალიის მიერ სამხრეთ აფრიკის 26:0 დამარცხება. „ვოლაბები“ სულ უფრო და უფრო უკეთ შვიდკაცობენ და იქნებ მომავალ ტურნირზე, რომელიც მათთან, ბრისბენში გაიმართება, მართლაც შეძლონ ფინალში გასვლა მაინც.

მეოთხედფინალებმა და ნახევარფინალებმა სიურპრიზების გარეშე ჩაიარა. ახალ ზელანდიას ეტყობოდა, რომ მშვენიერ ფორმაში იყო და ფინალში ფიჯის წინააღმდეგ რევანშის აღება არ უნდა გასჭირვებოდა. ასეც მოხდა. თამაშის დაწყებიდან მსაჯის საფინალო სასტვენამდე მათ ინიციატივა ხელიდან არ გაუშვიათ, პირველი ტაიმი 12:5 მოიგეს და საბოლოოდაც იოლად გაიმარჯვეს. გუნდის მწვრთნელმა გორდონ ტიეტიენსმა განაცხადა, რომ მისმა მორაგბეებმა ყველა დავალება პირნათლად შეასრულეს და წარმატების მიზეზიც ეს იყოო. აღსანიშნავია, რომ ტიეტიენსი აქცენტს დაცვაზე აკეთებს და სწორედ ამის გამო გაუშვა ახალმა ზელანდიამ მთელ ტურნირში მხოლოდ სამი ლელო — ორი არგენტინასთან და ერთიც ფინალში, ფიჯისთან.

**გაგი გურული**



სამი კაპიტანი: ახალზელანდიელი ერიკ რუში, ფიჯელი ვაისალე სერევი და ავსტრალიელი ჯეკ ისააკი

| შვიდკაცა. მსოფლიოს თასი |
|---|
| მეოთხედფინალი |
| ახალი ზელანდია 49:0 ურუგვაი |
| სამოა 28:21 სამხრეთ აფრიკა |
| ავსტრალია 15:7 კანადა |
| ფიჯი 28:12 არგენტინა |
| ნახევარფინალი |
| ახალი ზელანდია 45:0 სამოა |
| ფიჯი 26:12 ავსტრალია |
| ფინალი |
| ახალი ზელანდია 31:5 ფიჯი |

| საერთო ჩათვლა ექვსი ტურნირის შემდეგ | |
|---|---|
| 1. ახალი ზელანდია | 108 ქულა |
| 2. ფიჯი | 108 |
| 3. სამოა | 66 |
| 4. ავსტრალია | 60 |
| 5. სამხრეთ აფრიკა | 50 |
| 6. კანადა | 32 |
| 7. არგენტინა | 24 |
| 8. საფრანგეთი | 14 |
| 9. საქართველო | 12 |
| 10. ტონგა | 10 |
| 11. მაროკო | 4 |
| 12. ურუგვაი | 4 |
| 13. შოტლანდია | 2 |
| 14. ახალი გვინეა | 2 |

# ბრეზიანუს ვერ გააბრაზებენ

## ჩვენი მეტოქე რუმინეთი იცლება

ექვსი ერის პირველობის „ბ“ ჯგუფში ქართველთა მეტოქე, რუმინეთის ეროვნული გუნდი მოთამაშეებისგან იცლება. იანვარში ბუქარესტის „სტიაუა“ მოსამზადებელ ეტაპს ირლანდიაში გადიოდა. რუმინელები ნაყოფიერად მოემზადნენ მომავალი ეროვნული ჩემპიონატისთვის და სამშობლოში დაბრუნდნენ, მაგრამ გზად სამი მორაგბე გაექცათ — დანიელ ლაზარესკუმ, რიან ჯიტამ და გაბრიელ ბრეზიანუმ კლუბი თვითნებურად მიატოვეს და ირლანდიაში დარჩნენ. მათი საქციელით აღშფოთებული „სტიაუას“ პრეზიდენტი, გენერალი გეორგ ჩერნატი მორაგბეებს სამხედრო ტრიბუნალით დაემუქრა. საქმე ისაა, რომ „სტიაუა“ არმიული კლუბია და გუნდის წევრთა უმეტესობა არმიის ოფიცრად ითვლება. ბრეზიანუ უფრო იოლად გადარჩება, რადგან იგი მხოლოდ კონტრაქტით იყო დაკავშირებული კლუბთან და სასამართლო არ ელის. ახლახან გაირკვა, რომ სამხედრო ტრიბუნალმა რაიან ჯიტა და დანიელ ლაზარესკუ დეზერტირებად გამოაცხადა. შესაბამისად, ამ ორ მორაგბეს რუმინული კანონების თანახმად, სასჯელის მოხდა მოუწევს, გაბრიელ ბრეზიანუს საკითხს კი რუმინეთის რაგბის კავშირის ხელმძღვანელობა განიხილავს. ეს ამბავი ჩვენთვის უფრო იმიტომაა საინტერესო, რომ სამივე მოთამაშე რუმინეთის ეროვნული ნაკრების კანდიდატია. აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ ბრეზიანუმ მსოფლიოს თასის შესარჩევ მატჩში ლელოც გაუტანა „ბორჯღალოსნებს“.

უფროს კოლეგებს ცხრამეტ წლამდე ნაკრების წევრმა ნიკოლ დობრემაც მიბაძა. რუმინეთის ჭაბუკთა ნაკრები უელსში ამხანაგური მატჩების ჩასატარებლად იმყოფებოდა, უკან დაბრუნებისას გაირკვა, რომ დობრე გუნდიდან გაპარულიყო. „ნიკოლ დობრემ თვითნებურად მიატოვა ნაკრები და სადღაც გაიპარა, არავინ იცის სად იმყოფება ახლა, მას ამ თავხედობას არ ვაპატიებთ და საკმაოდ გრძელვადიანი დისკვალიფიკაციითაც დავსჯით“ — განაცხადა რუმინეთის რაგბის კავშირის პრეზიდენტმა დიმიტრიუ მიხალაშმა. ნიკოლ დობრე სამშობლოში იმედის მომცემ მორაგბედ ითვლება. მას ეროვნული ნაკრების კანდიდატობასაც უწინასწარმეტყველებდნენ. უელსური ტურნეს დროს, დობრეთი რამდენიმე იქაური კლუბი დაინტერესდა, შესაძლოა, მაღალ დონეზე თამაშის პერსპექტივამ აიძულა ახალგაზრდა მორაგბე თვითნებურად მიეტოვებინა ნაკრები და კარიერა ბრიტანეთში გაეგრძელებინა.

**გაჩო სვანიძე**



# ბავარიული გული

## ძრავიც თუ ლუდივითაა...

### უილიამს–BMW

დაარსდა 1968 წელს
გენერალური დირექტორი: სერ ფრენკ უილიამსი
ტექნიკური დირექტორი: პატრიკ ჰედი
მთავარი კონსტრუქტორი: გევინ ფიშერი
დებიუტი ფორმულა 1-ში: 1972, ბრიტანეთის დიდი პრიზი
პირველი გამარჯვება: 1979, დიდი ბრიტანეთი, კლეი რეგაცონი
ჩემპიონი კონსტრუქტორთა შორის: 1980, 1981, 1986, 1987, 1992, 1993, 1994, 1996, 1997
ჩემპიონი პირად პირველობაში: 1980 (ალან ჯონსი), 1982 (კეკე როსბერგი), 1987 (ნელსონ პიკე), 1992 (ნაიჯელ მენსელი), 1993 (ალენ პროსტი), 1996 (დეიმონ ჰილი), 1997 (ჟაკ ვილნევი)
404 რბოლა, 103 გამარჯვება, 108 პოული, 110 სწრაფი წრე
1999, მე-5 ადგილი, 35 ქულა
შასი: უილიამს FW 22, ძრავი BMW-V 10



რალფ შუმახერი

გერმანია
დაიბადა 1975 წლის 30 ივნისს პოერტ-ჰარმოლცჰაიმში
სიმაღლე 178 სმ, წონა 73 კგ
უცოლო
ცხოვრობს კერპენში (გერმანია)
დებიუტი ფორმულა 1-ში: 1997, ავსტრალიის დიდი პრიზი (ჯორდანი)
49 რბოლა, 1 სწრაფი წრე, 62 ქულა
1999, მე-6 ადგილი, 35 ქულა
ასპარეზობდა: ჯორდანი — 1997-98 წწ, უილიამსი — 1999



ჯეისონ ბატონი

დიდი ბრიტანეთი
დაიბადა 1980 წლის 19 იანვარს
ჩემპიონატის დებიუტანტი

„რკინის ფრენკიმ“ შარშან BMW-სთან გააფორმა ხელშეკრულება და „უილიამსი“ წლეულს, სწორედ ამ სახელოვანი ფირმის ძრავითა და თეთრ-ცისფერი ფერებით იასპარეზებს.

კონსტრუქტორის, გევინ ფიშერის თქმით, შარშანდელი მოდელის სუსტი ადგილები გაუმჯობესებულია. გაზრდილია შეჭიდულობა, უფრო იოლად რეგულირდება ბოლიდი, რამაც გასულ წელს ასე დატანჯა პილოტები და მომსახურე პერსონალი.

BMW-ს ძრავი სუპერტეკზე უკეთესი უნდა იყოს. ბავარიელებმა თავიანთი ქმნილება შარშან ზაფხულშივე გამოსცადეს, მაგრამ პირველი ტესტები არცთუ სახარბიელო გამოდგა. ძრავი საკმაოდ მძიმე გახლდათ და სიმძლავრითაც ვერ დაიკვეხნიდა. თუმცა მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და აგრეგატიც უფრო დაიხვეწა. BMW-ს სპორტული პროგრამის დირექტორს გერჰარდ ბერგერს იმედი აქვს, რომ გუნდი სასურველ შედეგს მალე მიაღწევს და მოწინავეთა შორის დაიკავებს ადგილს.

გუნდის პირველი პილოტი რალფ შუმახერი გახლავთ, მეორე მრბოლის ვინაობა კი კარგა ხანს კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა. ძანარდის 2-წლიანი კონტრაქტი აკავშირებდა გუნდთან, მაგრამ საბოლოოდ მისი ხელშეკრულება გაუქმდა და რალფის გვერდით 20 წლის, გამოუცდელი ჯეისონ ბატონი იასპარეზებს. აქ, როგორც ჩანს, BMW-მაც თქვა თავისი სიტყვა. ინგლისელი პილოტის კანდიდატურას ბერგერიც უჭერს მხარს. მისი თქმით, ბატონი შარშანდელ პილოტზე ცუდად არ გამოვა და ეს გუნდის შედეგებს არ დაეტყობა. მართლაც, შარშან ძანარდიმ ქულის მოპოვებაც ვერ შეძლო და ამაზე უარესი რაღა უნდა იყოს. ეტყობა, უმცროს შუმახერს წლეულსაც მარტოს მოუწევს მეტოქეებთან ბრძოლა.

ასეა თუ ისე, „უილიამს BMW“ პირველ ტესტებს ატარებს და ახალ ბოლიდს ხედნის, ჩემპიონატის დებიუტანტი კი ახალ მძლავრ ტექნიკას ითვისებს (იგი პირდაპირ ფორმულა 3-დან მიუჯდა ფორმულა 1-ის საჭეს) და მართალია, შეცდომებსაც უშვებს, მაგრამ მისი შედეგები არცთუ ხელწამოსაკრავია.

**ალეკო ჭაბუკიანი**




რალფ შუმახერი, ჯეისონ ბატონი და უილიამსის ტესტ-პილოტი ბრუნო ჟუნკეირა

# ღმერთი სამობითაა

დაბა ულრიხენში, შვეიცარიის ალპების მყუდრო ფერდობებს რომ შეჰფენია, მოთხილამურეებმა მსოფლიოს თასის მეთორმეტე ეტაპზე იასპარეზეს და ამით ეტაპთა საერთო რაოდენობის ორი მესამედი გაასრულეს. თავისი კარიერის მესამე, 10-კილომეტრიანი რბოლა მოიგო ფინელმა იარი იზომეტამ, რომელმაც ეს დისტანცია 23 წუთსა და 47,7 წამში დაფარა და შვედ პერ ელოფსონს 8 წამი მოუგო, ხოლო ფინიშთან მესამე შედეგით მისული გერმანელი, რენე ზომერფელდტი 20,2 წამით მოიტოვა უკან. მესამედ გაიმარჯვა ესტონელმა კრისტინა შმიგუნმაც, ოღონდ არა მთელი კარიერის, არამედ მიმდინარე სეზონის მანძილზე და საერთო ჩათვლაშიც განიმტკიცა პირველობა. შმიგუნი ახლა მთელ 95 ქულას უგებს მასზე ბევრად სახელიან რუსს, ლარისა ლაზუტინას, რომელიც, სხვა თუ არაფერი, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონია. ლაზუტინა შვეიცარიუში მხოლოდ მერვე იყო, სამაგიეროდ, მეორე ვეტერანი — იტალიელი სტეფანია ბელმონდო იდგა მოწოდების სიმაღლეზე, თუმცა შვეიცარიელმა მეორე ადგილმა იგი საერთო ჩათვლის ლიდერებს მაინცდამაინც ვერ დაუახლოვა, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ჯერჯერობით მხოლოდ მეექვსეა.

ბოლოს ისევ მამაკაცებზე ვთქვათ. იზომეტამ მეთორმეტე ეტაპის მოგებით საერთო ჩათვლაში მესამე პოზიცია განიმყარა და მეორეობაზეც თავს დებს, რადგან ნორვეგიელი ტომას ალსგარდისგან სულ ცოტა აშორებს. ლიდერი კი გაესპანელებული გერმანელი იოჰან მულეგია.

**დავით გულუა**

**საერთო ჩათვლა**

ქალები
1. კრისტინა შმიგუნი (ესტონეთი) — 722
2. ლარისა ლაზუტინა (რუსეთი) — 627
3. ბენტე მარტინსენი (ნორვეგია) — 616

კაცები
1. იოჰან მულეგი (ესპანეთი) — 572
2. ტომას ალსგაარდი (ნორვეგია) — 461
3. იარი იზომეტა (ფინელი) — 445



# რევანში მერე



ინტერნეტში მიმდინარე საჭადრაკო სუპერტურნირის ოთხივე ნახევარფინალისტის ვინაობა გაირკვა. ერთი მათგანი რომ კასპაროვი იყო, ადრევე გაუწყეთ და შემდეგ ბევრი იმედოვნებდა, იქნებ მოჭადრაკე კომპიუტერმა, „დიიპ ჯუნიორმა" მეოთხედფინალში მაიკლ ადამსი დაამარცხოს და მსოფლიოს ჩემპიონთან დამაინტრიგებელი შეხვედრაც გაახერხოსო, მაგრამ ამაოდ. კასპაროვს თავადაც მეტად აინტერესებდა ამგვარი დაპირისპირება, რადგან „დიიპ ჯუნიორი" სახელოვანი „დიიპ ბლუს" შთამომავალია, ხოლო ამ უკანასკნელისგან შარშანწინდელი ბრიყვული წყენა ჩემპიონს ჯერაც ახსოვს და თავისი ერთადერთი დამმარცხებლის, თუნდაც მემკვიდრესთან რევანშის ალების წყურვილს შეუპყრია. და მაინც, ეს შეხვედრა ჯერჯერობით არ შედგება, რადგან კომპიუტერი მეოთხედფინალიდან გამოეთიშა ბრძოლას, თუმცა არა ადამსის ბრწყინვალე თამაშის, არამედ ისრაელის შიდასაკომუნიკაციო ხაზებში გაჩენილი ხარვეზების მეოხებით. ადამს — „დიიპ ჯუნიორის" პირველი პარტია დაძაბულად წარიმართა და სწორედ მაშინ, როცა შავებით მოთამაშე მანქანას თითქოს თავისი ზედმეტი პაიკის გამოყენება უნდა დაეწყო, 42-ე სვლაზე „დიიპ ჯუნიორის" ნათამაშევი ადამსის მონიტორზე ვერ დაფიქსირდა. აწრიალდნენ ებრაელი სპეციალისტები, დიდხანს ირბინეს აქეთ-იქით, მაგრამ არაფერი. მოსალოდნელი ისიც იყო, რომ თვითონ პროგრამამ აურია, შეცდომების გასწორების დრო კი მაშინ სად იყო და თუმცა პირველ პარტიაში კეთილშობილურად ყაიმი ალინუსხა, მეორედ ქულა უკვე ადამსმა მიიღო, ამასთან ერთად კასპაროვთან თამაშის უფლებაც. აქ კიდევ ერთხელ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მედალს ორი მხარე აქვს, ანუ ინტერნეტით ჭადრაკის თამაშს, ღირსებებთან ერთად ნაკლოვანებებიც მოეძებნება.

მოკლე დროში დასრულდა მესამე მეოთხედფინალი, სამაგიეროდ, მეოთხე გაიწელა. მასში ჰოლანდიელი იერუნ პიკეტი და რუსთა ახალი იმედი, ალექსანდრ მოროზევიჩი მტრობდნენ ერთმანეთს და ორის ნაცვლად ექვსი პარტიის თამაშმა მოუწიათ. ბოლო ორი ბლიცპარტია ჰოლანდიელმა თავისი ნების კარნახით წარმართა და ორივე მოიგო, ამის საზღაურად კი ნახევარფინალში რუს პიოტრ სვიდლერთან თამაშის უფლებას დაეპატრონა.



მაიკლ ადამსი

ეს უკანასკნელი, ეტყობა, ჭადრაკში თავისი ადგილის დაბრუნებას ცდილობს და წარმატებითაც. მეოთხედფინალში სვიდლერის მეტოქე ბრიტანელი ნაიჯელ შორტი იყო, მსოფლიოს აწ უკვე არცთუ ურჩეულესი მოჭადრაკეთაგანი, რომელიც ასეთი სასიამოვნო რეპუტაციით სარგებლობს: „კაცი, რომლისგანაც ყველაფერს უნდა ელოდე". სვიდლერმა მოიგო პირველი პარტია, სადაც თეთრებით თამაშობდა. პარტია ტაქტიკური ბრძოლის ნიშნით წარიმართა, ბევრი იყო მრავალსაფეხურიანი გაცვლები. ენდშპილში შორტმა ლაზიერის ფრთაზე ორი გამსვლელი პაიკი მიიღო და მათი გაყვანის გარდა სხვა საზრუნავი არ ჰქონია. გაიყვანა კიდეც ერთ-ერთი და როცა პირველ ჰორიზონტალზე ცინცხალი ლაზიერი ამოიზარდა, გაირკვა, რომ ამასობაში სვიდლერს მოუსვია ხელი და მეფის ფრთაზე ერთი შავი ფიგურა არ დაუტოვებია წამლად. ფინალურ პოზიციაში, როცა ადამსი დანებდა, დაფაზე მისი დასვენებული ლაზიერისა და ორი პაიკის წინააღმდეგ ამდენივე თეთრი ეტლი და ორი იმდენი პაიკი იდგა, ანუ წინააღმდეგობა მართლაც უაზრო გამხდარიყო. მეორე პარტიაში სვიდლერმა სასურველი ნახევარი ქულა მოიპოვა და ახლა ფინალისთვის ბრძოლაში პიკეტს დაეტაკება. იმავდროულად კასპაროვისა და ადამსის მეორე ნახევარფინალური მატჩიც დაიწყება.

**დავით გულუა**










REUTERS

ამ ზედახორაში ყველაზე ყოჩაღი ის კაცია, რომელიც, ფაქტობრივად, არ ჩანს: ნეშვილის მეკარემ ტომაშ ვოკუონმა, რომელსაც სხვებიც და თავისიანებიც თავზე აყრიან, შაიბა მოიძია და დაიჭირა კიდეც

# ბოუმენი კურდღლების ბუდეში: ორივე დაიჭირა



16 თებერვალი

**ატლანტა — მონრეალი 1:5**

0:0 1:2 0:3

0:1 სტივენსონი 30'08 (4); სტეპლტონი 37'03 (7); 1:2 კორსონი 39'49 (4); 1:3 სტივენსონი 49'22 (5); 1:4 ჟოლტოკი 53'33 (18); 1:5 პულენი 55'19 (8)

**დეტროიტი — ვანკუვერი 5:2**

3:0 1:0 1:2

1:0 აიზერმანი 4'26 (23); 2:0 აიზერმანი 13'49 (24); 3:0 ფიოდოროვი 19'39 (17); 4:0 ჯილკრისტი 35'02 (1); 4:1 კესელსი 47'17 (11); 5:1 შენაჰანი 53'10 (3); 5:2 ბენრუცი 58'14 (13)

**ფლორიდა — რეინჯერსი 3:0**

1:0 1:0 1:0

1:0 პ. ბურე 7'46 (41), 2:0 შეპარდი 35'25 (6); 3:0 მელანბი 47'57 (12)

**პიტსბურგი — ბუფალო 1:1**

0:0 0:1 1:0 0:0

0:1 სენდერსონი 39'38 (10); 1:1 კოვალიოვი 54'37 (17)

**ტორონტო — ბოსტონი 3:3**

1:2 2:0 0:1

0:1 ტორნტონი 6'16 (15); 1:1 ხრისტიჩი 11'34 (11); 1:2 ბეიტსი 16'50 (3); 2:2 ანტროპოვი 23'55 (7); 3:2 პერი 36'27 (9); 3:3 სავაჟი 46'32 (5)

**ჩიკაგო — ლოს ანჯელესი 1:4**

0:1 0:2 1:1

0:1 სმოლინსკი 18'14 (17); 0:2 რობიტაილი 32'12 (29); 0:3 რ. ბლეიკი 34'04 (15); 1:3 ამონტე 47'05 (27); 1:4 გ. მიური 58'44 (19)

**დალასი — ნეშვილი 3:0**

1:0 0:0 2:0

1:0 მოდანო 1'17 (23); 2:0 მოდანო 55'37 (24); 3:0 კინი 58'33 (7)

**ანაჰაიმი — კალგარი 6:5**

2:1 2:2 1:2 1:0

0:1 უილმი 8'26 (9); 1:1 ჰალერი 8'41 (2); 2:1 რუჩინი 13'54 (12); 2:2 რეჟე 25'04 (3); 3:2 კარია 30'15 (35); 3:3 იგინლა 37'02 (16); 4:3 რუჩინი 39'31 (13); 4:4 უიმერი 40'33 (6); 4:5 უიმერი 49'28 (7); 5:5 ოლაუსონი 54'00 (9); 6:5 ტვერდოვსკი 61'40 (8)

როგორ შევაჩეროთ ბურე? ეს უკვე არაერთი მწვრთნელის თავსატეხია. ვერც სხვადასხვა ტაქტიკურმა ჩანაფიქრმა შეუშალა ხელი „რუსულ რაკეტას" და ვერც პერსონალურმა მეურვეობამ. მას თითქმის ყველა თამაშში გოლი გააქვს და 50-შაიბიან ზღვარს სულ უფრო და უფრო უახლოვდება.

რეინჯერსის თავკაცმა ჯონ მაკლერმა, ოთხშაბათს ბურეს შეჩერების მორიგ და ერთობ მოულოდნელ ხერხს მიმართა. საამისოდ მან თავის ერთადერთი, მუდმივად შედეგიანი „ჩეხური ხაზიც" კი არ დაზოგა — იან ჰლავაჩის ნაცვლად ფრთაზე თვით ბრაიან ლიჩი (!) დააყენა. თითქოს კარგი ჩანაფიქრი იყო. ლიჩი მშვენიერი მცველია, თანაც ჩინებულად სრიალებს და ის რომ ბურეს აედევნებოდა, ამას შედეგი უნდა გამოეღო. მართლაც ბურე ჩვეულად ვერ აქტიურობდა, მაგრამ ერთხელ გაექცა იგი მდევარს და თავისი საქმე მაინც გააკეთა. ეს ბურესთვის გამარჯვების მეათე გოლი გახლდათ, რაც ლიგაში საუკეთესო შედეგია. ამასობაში ამ ტაქტიკურმა სვლამ გაცილებით მეტი ზიანი რეინჯერსის შეტევას მიაყენა — დაშლილი პირველი სამეული ერთობ უნიათოდ მოქმედებდა. ამიტომაც ფლორიდელთა მეკარე მაიკ ვერნონმა, კარიერაში 23-ე შათაუტი სულ იოლად შეასრულა.

რეინჯერსის მარცხმა ერთბაშად ორ გუნდს მისცა ნიუიორკელებთან მიახლოებისა და პლეი ოფში გასვლის შანსი, მაგრამ ეს შესაძლებლობა ერთმაც ვერ გამოიყენა — ფრეებს დასჯერდნენ.

ბუფალომ საკუთარ თავს უნდა დააბრალოს. პიტსბურგთან მატჩის მეორე პერიოდში სტუმრებს დიდი უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ მხოლოდ ერთ გოლს დასჯერდნენ და ბოლო მესამედში ლამის დაისაჯნენ ამის გამო — პიტსბურგმა გაათანაბრა, მერე კი იარომირ იაგრიმ დაარტყა და დომინიკ ჰაშეკს სასწაული რომ არ მოეხდინა და ზედ პირით ხაზზე არ შეეჩერებინა შაიბა, ცუდი დღე დაადგებოდათ.

ბოსტონს კი დღესდღეობით საქმე არცთუ კარგად მისდის. გუნდში მომხდარი კონფლიქტის შემდეგ პრესაში რამდენჯერმე გავრცელდა ინფორმაცია, რომ თითქოს მწვრთნელ პეტ ბერნსაც მოუწევს პოსტის დატოვება. ახლა თითოეული თამაში „დათვების" მწვრთნელისთვის შესაძლოა ბოლო აღმოჩნდეს, ამიტომაც მის შეგირდებს მაქსიმალური თავგამოდება მართებთ. ტორონტოსთან ორი მარცხის შემდეგ ფრე კარგი შედეგია, მაგრამ ბოსტონმა კვლავ არადამაჯერებლად იასპარეზა და მხოლოდ ანდრე სავაჟის შემთხვევითმა გოლმა გადაარჩინა. წინ კი გუნდს კიდევ ოთხი მატჩი ელის სტუმრად. ტორონტოში საუკეთესო ანტროპოვი-ხრისტიჩი-ტაკერის სამეული იყო. თანაც პირველი ორი დიდი ხანია, ერთად თამაშობს, ხოლო ახალშეძენილმა ტაკერმა (1 პასი) ეს ტრიო უფრო აგრესიული გახადა.

კიდევ უფრო ხანგრძლივი, 7-მატჩიანი გასვლითი სერია ლოსანჯელესმა ჩიკაგოში დაიწყო და ერთობ დამაჯერებლადაც. „მეფეთა" შორის საუკეთესო რობ ბლეიკი (1+2) იყო.

ძალიან წარმატებული გამოდგა დეტროიტის ხამი მატჩი სტუმრად. მან ზედიზედ სენტ ლუისს, კოლორადოსა და ფინიქსს სძლია და ვანკუვერი როგორლა გაუმკლავდებოდა. თუმც ბრძენი სკოტი ბოუმენი მაინც არ მშვიდდება და მოთამაშეთა ცვლით გამარჯვებას ცდილობს. ამჯერად ბრენდან შენაჰანის პირველიდან მესამე ხაზში გადაყვანით ორი კურდღელი დაიჭირა. აიზერმანის (2+0) ტრიომ საქმე წამოიწყო, ხოლო შენაჰანმა იგორ ლარიონოვის (0+2) დახმარებით დაასრულა. სეზონში პირველი გოლი ბრენტ ჯილკრისტმა მიითვალა, რომელმაც 56 თამაში გამოტოვა ტრავმის გამო.

ბოლო ხანს ბედმა ზურგი აქცია კალგარის. აგერ უკვე 10 მატჩია, ვერ იგებს. ამას კიდევ ოვერტაიმებში უიღბლობა დაემატა. სეზონის დაწყებიდან დამატებით დროში ჩინებულად მოთამაშე „ალები" ბოლო ხუთი ოვერტაიმიდან ოთხში დამარცხდნენ და მათი პლეი ოფში გასვლა ერთობ საეჭვო შეიქნა. თუმც მის მეტოქეზეც უნდა ითქვას. გადამწყვეტი გოლი ხომ ულამაზესი გამოუვიდა ანაჰაიმს — პოლ კარიამ მოედნის შუაგულში რამდენიმე მოძრაობით მეურვეები ჩამოიშორა და შაიბა ოლეგ ტვერდოვსკის გადააწოდა, მერე რუსმაც ივარგა, მცველი და მეკარე დაიბრიყვა. ასე ეფექტურად დასრულდა თამაში, რომელშიც ორივე გუნდი იმსახურებდა მოგებას. პოლ კარიამ 5 (1+4) ქულა მიითვალა და პერსონალური რეკორდი გაიმეორა, ხოლო მისმა პარტნიორმა ტეემუ სელიანემ (2 პასი) კარიერაში მე-700 ქულა მიითვალა.

ამასობაში ერთობ გამძაფრდა ნჰლსა და იიჰფ-ს (საერთაშორისო ფედერაცია) შორის ურთიერთობა. მიზეზი 2002 წლის ოლიმპიადაზე ლიგის მონაწილეობის თაობაზე მიმდინარე მოლაპარაკება გახლავთ. თავიდან ლიგა ყოყმანობდა, სხვადასხვა მიზეზს ასახელებდა, მაგრამ თებერვალში კლუბების მესვეურებმა ნება დართეს ნჰლის კომისიონერ გერი ბეტმენს, დაეწყო მოლაპარაკებები, მაგრამ ახლა ევროპული ფედერაციები გაჯიუტდნენ. საქმე ისაა, რომ ლოს ანჯელესის მფლობელმა ფილიპ ანაშუცმა უკვე სამი ევროპული კლუბი შეისყიდა და მეოთხის, ფინეთის „იოკერტის" შეძენასაც აპირებს, რაც კონტინენტის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდს, „მეფეთა" ფარმკლუბად ქცევის საფრთხეს უქმნის. წინა სეზონში ევროპამ 56 ჰოკეისტი დაკარგა — ისინი სწორედ ნჰლ-ში გადავიდნენ. ამიტომ იიჰფ-ს არ სურს, ოკეანისგაღმელთა ერთგვარ მომმარაგებლად იქცეს, მით უფრო, რომ ევროპული ფედერაციები საამისოდ მხოლოდ გროშებს იხდიან.

**სამველ ლარიბიანი**

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### გერმანია. ბუნდესლიგა. 21-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 18 თებერვალი | | | |
| 043 | ჰერტა-ჰამბურგი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 044 | შალკე-ლევერკუზენი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | 19 თებერვალი | | | |
| 045 | კაიზერსლაუტერნი-ვერდერი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 046 | შტუტგარტი-უნტერჰახინგი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 047 | ფრაიბურგი-დორტმუნდი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 048 | აინტრახტი-მიუნხენ 1860 | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 049 | ბაიერნი-დუისბურგი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 050 | ბაიერნი-დუისბურგი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | 20 თებერვალი | | | |
| 051 | ვოლფსბურგი-არმინია | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 052 | ულმი-ჰანზა | 2,0 | 2,9 | 3,4 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. მე-19 ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 18 თებერვალი | | | |
| 053 | ქემნიცი-ვალდჰოფი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 054 | ნიურნბერგი-ოფენბახი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 055 | კიოლნი-ფიურტი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | 19 თებერვალი | | | |
| 056 | ჰანოვერი-მიონხენგლადბახი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| | 20 თებერვალი | | | |
| 057 | კარლსრუე-ბერლინი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 058 | მაინცი-ფორტუნა | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 059 | ალემანია-ბოხუმი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 060 | ზანქტ პაული-კიკერსი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | 21 თებერვალი | | | |
| 061 | კოტბუსი-ობერჰაუზენი | 1,5 | 3,4 | 5,6 |

### ინგლისი. პრემიერლიგა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 19 თებერვალი | | | |
| 062 | მიდლსბრო-ქოვენთრი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | 20 თებერვალი | | | |
| 063 | ლიდსი-მანჩესტერი ($15^{30}$) | 2,6 | 2,9 | 2,4 |

### ინგლისი. I დივიზიონი. 32-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 18 თებერვალი | | | |
| 064 | ჰადერსფილდი-მანჩ.სიტი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | 19 თებერვალი | | | |
| 065 | ბარნსლი-ქუინზ პარკი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 066 | ქრიუ-იფსვიჩი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| 067 | ფულემი-უოლსოლი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 068 | ნორვიჩი-გრიმსბი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 069 | ნოტინგემი-კრისტალ პალასი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 070 | შეფილდი-ვესტ ბრომვიჩი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| 071 | სტოკპორტი-ბლექბერნი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 072 | სუინდონი-ბირმინგემი | 4,0 | 3,0 | 1,8 |

### ინგლისი. II დივიზიონი. 32-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 19 თებერვალი | | | |
| 073 | ბრენტფორდი-უიკომბი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 074 | ბრისტოლი-ნოტსი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 075 | ბარნლი-უიგანი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| 076 | კემბრიჯი-ბლეკპული | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 077 | კოლჩესტერი-სტოკი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 078 | ლუტონი-როვერსი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 079 | მილუოლი-ბორნმუთი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 080 | ოქსფორდი-ჩესტერფილდი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 081 | პრესტონი-ბერი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 082 | სკანთორპი-რედინგი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 083 | რექსემი-ოლდემი | 2,3 | 2,9 | 2,8 |

### ინგლისი. III დივიზიონი. 32-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 18 თებერვალი | | | |
| 084 | სუონსი-ჩესტერი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 085 | სუონსი-ჩესტერი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| | 19 თებერვალი | | | |
| 086 | ბარნეტი-პიტერბრო | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 087 | დარლინგტონი-საუთენდი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 088 | ჰარტლპული-მაკლსფილდი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 089 | ჰალი-შრიუსბერი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 090 | ლეიტონი-ჩელტენემი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 091 | მენსფილდი-ჰალიფაქსი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 092 | ნორთჰემპტონი-ბრაიტონი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 093 | პლიმუთი-იორკი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 094 | როჩდეილი-ლინკოლნი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 095 | როტერჰემი-კარლაისლი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 096 | როტერჰემი-კარლაისლი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 097 | ტორკი-ექსეტერი | 1,7 | 3,2 | 4,2 |

### იტალია. სერია "ა". მე-22 ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 19 თებერვალი | | | |
| 098 | რეჯინა-პერუჯა | 2,1 | 2,7 | 3,4 |
| 099 | რომა-ფიორენტინა | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| | 20 თებერვალი | | | |
| 100 | ლეჩე-ბოლონია | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| 101 | პიაჩენცა-ინტერი | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| 102 | ტორინო-კალიარი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 103 | უდინეზე-ბარი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| 104 | ვენეცია-იუვენტუსი | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| 105 | ვერონა-პარმა | 3,8 | 2,8 | 1,9 |
| 106 | მილანი-ლაციო | 2,2 | 2,8 | 3,1 |

### იტალია. სერია "ბ". 23-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 18 თებერვალი | | | |
| 107 | ტერნანა-კიევო | 2,0 | 2,5 | 3,8 |
| | 20 თებერვალი | | | |
| 108 | ალძანო-ვიჩენცა | 2,7 | 2,5 | 2,7 |
| 109 | ბრეშა-ფერმანა | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 110 | ბრეშა-ფერმანა 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 111 | კოზენცა-პესკარა | 2,0 | 2,5 | 3,8 |
| 112 | ემპოლი-მონცა | 1,9 | 2,4 | 4,7 |
| 113 | ჯენოა-ჩეზენა | 1,9 | 2,5 | 4,4 |
| 114 | პისტოიეზე-სალერნიტანა | 2,7 | 2,5 | 2,7 |
| 115 | რავენა-სამპდორია | 2,6 | 2,5 | 2,8 |
| 116 | ტრევიზო-სავოია | 1,5 | 3,0 | 7,5 |
| | 21 თებერვალი | | | |
| 117 | ნაპოლი-ატალანტა | 2,1 | 2,5 | 3,6 |

### იტალია. სერია "ც1/ა"

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 19 თებერვალი | | | |
| 118 | ბრეშელო-ჩიტადელა | 2,3 | 2,4 | 3,3 |

### ესპანეთი. I დივიზიონი. 25-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 19 თებერვალი | | | |
| 119 | დეპორტივო-ბილბაო | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | 20 თებერვალი | | | |
| 120 | რაიო ვალეკანო-რასინგი ($15^{00}$) | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 121 | მალიორკა-სელტა | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 122 | სოსიედადი-სარაგოსა | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 123 | ატლეტიკო-ესპანიოლი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 124 | სევილია-ალავესი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 125 | ოვიედო-ბეტისი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 126 | ვალენსია-რეალი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 127 | მალაგა-ნუმანსია | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| 128 | ბარსელონა-ვალიადოლიდი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 129 | ბარსელონა-ვალიადოლიდი 0:1 | [illegible] | [illegible] | [illegible] |

### ესპანეთი. II დივიზიონი. 27-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 19 თებერვალი | | | |
| 130 | ხეტაფე-ლევანტე | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 131 | ლას პალმასი-ატლეტიკო | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| | 20 თებერვალი | | | |
| 132 | ბადახოსი-ტენერიფე ($15^{00}$) | 2,0 | 2,6 | 3,8 |
| 133 | ესტრემადურა-ელჩე | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 134 | ეიბარი-ვილიარეალი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 135 | ალბასეტე-სპორტინგი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 136 | სალამანკა-უელვა | 1,3 | 4,2 | 7,0 |
| 137 | სალამანკა-უელვა 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 138 | ლეიდა-ტოლედო | 1,4 | 4,0 | 5,6 |
| 139 | ლეიდა-ტოლედო 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |
| 140 | ლოგრონიესი-მერიდა | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| 141 | კორდობა-ლეგანესი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 142 | კომპოსტელა-ოსასუნა | 2,1 | 2,8 | 3,3 |

### პორტუგალია. 22-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 18 თებერვალი | | | |
| 143 | ბელენენსეში-ბრაგა | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| | 19 თებერვალი | | | |
| 144 | კამპომაიორენსე-პორტუ | 4,7 | 3,0 | 1,7 |
| 145 | სპორტინგი-ჟილ ვისენტე | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 146 | სპორტინგი-ჟილ ვისენტე 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 147 | სანტა კლარა-რიუ ავე | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | 20 თებერვალი | | | |
| 148 | მარიტიმუ-ამადორა | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 149 | სალგეირუში-სეტუბალი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 150 | ლეირია-ალვერკა | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 151 | ბენფიკა-ფარენსე | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 152 | ბენფიკა-ფარენსე 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 153 | გიმარაეში-ბოავიშტა | 2,0 | 2,9 | 3,4 |

### ჰოლანდია. 22-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 18 თებერვალი | | | |
| 154 | სიტარდი-ტვენტე | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| | 19 თებერვალი | | | |
| 155 | დენ ბოსხი-როდა | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| 156 | მაასტრიხტი-სპარტა | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 157 | ნაიმეგენი-ვალვაიკი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 158 | პსვ-ვიტესი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | 20 თებერვალი | | | |
| 159 | უტრეხტი-ჰერენვენი ($17^{30}$) | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 160 | აიაქსი-გრააფსხაპი ($17^{30}$) | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 161 | აიაქსი-გრააფსხაპი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 162 | ტილბურგი-ფეიენოორდი ($17^{30}$) | 2,8 | 2,9 | 2,3 |

### ბელგია. მე-24 ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 18 თებერვალი | | | |
| 163 | სტანდარდი-მუსკრონი | 1,6 | 3,3 | 4,7 |
| 164 | გენტი-ლიერსი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | 19 თებერვალი | | | |
| 165 | მეხელენი-ბრიუგე | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| 166 | ანდერლეხტი-ლოკერენი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 167 | ანდერლეხტი-ლოკერენი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 168 | ვესტერლო-ლომელი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 169 | შარლერუა-გეელი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| | 20 თებერვალი | | | |
| 170 | ჰარელბეკე-სენტ ტრუიდენი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 171 | აალსტი-ბეერსხოტი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 172 | გენკი-ბევერენი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 173 | გენკი-ბევერენი 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |

### საბერძნეთი. მე-20 ტური

20 თებერვალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 174 | ქსანთი-კალამატა (17$^{00}$) | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 175 | ქსანთი-კალამატა 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 176 | პაოკ-პანათინაიკოსი (17$^{00}$) | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 177 | ოფი-პანაჰაიკი (17$^{00}$) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 178 | ოფი-პანაჰაიკი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 179 | აეკ-ეთნიკოსი (17$^{00}$) | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 180 | აეკ-ეთნიკოსი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 181 | არისი-პროდეფტიკი (17$^{00}$) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 182 | არისი-პროდეფტიკი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 183 | ტრიკალა-ირაკლისი (17$^{00}$) | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| 184 | იონიკოსი-პანიონიოსი (17$^{00}$) | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 185 | კავალა-პანილიაკოსი (17$^{00}$) | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 186 | ოლიმპიაკოსი-აპოლონი (17$^{00}$) | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 187 | ოლიმპიაკოსი-აპოლონი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |

### ჩეხეთი. მე-17 ტური

18 თებერვალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 188 | ბანიკი-სლავია | 3,4 | 2,9 | 2,0 |

19 თებერვალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 189 | ლიბერეცი-დუკლა (17$^{00}$) | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 190 | ბრნო-დრნოვიცე (17$^{00}$) | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 191 | ბუდეიოვიცე-ვიკტორია (17$^{00}$) | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 192 | სპარტა-ოპავა (17$^{00}$) | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 193 | სპარტა-ოპავა 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 194 | ტეპლიცე-იაბლონეცი (17$^{00}$) | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| 195 | ჰ.კრალოვე-ბლშანი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 196 | ბოჰემიანსი-სიგმა | 1,7 | 3,2 | 4,2 |

### თურქეთი. მე-21 ტური

18 თებერვალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 197 | ბეშიქთაში-ვანი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 198 | ბეშიქთაში-ვანი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |

19 თებერვალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 199 | სამსუნი-დენიზლი (15$^{30}$) | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 200 | ფენერბაჰჩე-ისთანბული | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 201 | ფენერბაჰჩე-ისთანბული 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |
| 202 | ქოჯაელი-გენჩლერბირლიგი | 2,0 | 3,0 | 3,3 |
| 203 | გიოზთეფე-გაზიანთეფი | 2,8 | 2,9 | 2,3 |

20 თებერვალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 204 | ერზურუმი-ალთაი(14$^{00}$) | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 205 | ბურსა-ტრაბზონი(15$^{30}$) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 206 | ანთალია-ანკარა(15$^{30}$) | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 207 | გალათასარაი-ადანა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 208 | გალათასარაი-ადანა 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |

### ინგლისი. თასის 1/4 ფინალი

19 თებერვალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 209 | ბოლტონი-ჩარლტონი | 2,5 | 2,9 | 2,5 |

20 თებერვალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 210 | ტრანმერი-ნიუკასლი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| 211 | ჩელსი-ჯილინგემი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 212 | ევერტონი-ასტონ ვილა | 2,4 | 2,8 | 2,7 |

### საფრანგეთი. ლიგის თასის 1/4 ფინალი

19 თებერვალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 213 | გენიონი-სტრასბური | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 214 | ლიონი-ბასტია | 1,5 | 3,3 | 6,0 |

20 თებერვალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 215 | სედანი-რედ სტარი (17$^{45}$) | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 216 | პსჟ-ნანსი | 1,35 | 3,8 | 7,0 |

### კალათბურთი

18 თებერვალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 857 | ნიუ ჯერსი-მაიამი | 2,5 | 12,0 | 1,35 |
| 858 | ფილადელფია-კლივლენდი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 858 | ორლანდო-ლეიკერსი | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| 859 | შარლოტი-კლიპერსი | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 860 | ტორონტო-დენვერი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 861 | მინესოტა-ვანკუვერი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 862 | სან ანტონიო-ჰიუსტონი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 863 | ფინიქსი-ატლანტა | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 864 | გოლდენ სტეიტი-ბოსტონი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 865 | საკრამენტო-სიეტლი | 1,45 | 12,0 | 2,1 |
| 866 | პორტლენდი-ვაშინგტონი | 1,05 | 12,0 | 7,5 |

19 თებერვალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 867 | ნიუ იორკი-ინდიანა | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 868 | ჩიკაგო-კლიპერსი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 869 | მილუოკი-ვანკუვერი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 870 | იუტა-დეტროიტი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 871 | სიეტლი-ბოსტონი | 1,2 | 12,0 | 3,5 |

20 თებერვალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 872 | ფილადელფია-ლეიკერსი | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| 873 | შარლოტი-მაიამი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 874 | ტორონტო-დალასი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 875 | მინესოტა-ნიუ ჯერსი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 876 | ჰიუსტონი-სან ანტონიო | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 877 | გოლდენ სტეიტი-ვაშინგტონი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 878 | საკრამენტო-პორტლენდი | 1,8 | 12,0 | 1,6 |

21 თებერვალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 879 | ნიუ იორკი-კლიპერსი | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 880 | კლივლენდი-ვანკუვერი | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 881 | დეტროიტი-მაიამი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 882 | ინდიანა-დალასი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 883 | სან ანტონიო-ფინიქსი | 1,45 | 12,0 | 2,1 |
| 884 | დენვერი-საკრამენტო | 1,9 | 12,0 | 1,55 |
| 885 | იუტა-ატლანტა | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 886 | პორტლენდი-ბოსტონი | 1,1 | 12,0 | 5,0 |

### ჰოკეი

18 თებერვალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 887 | რეინჯერსი-კოლორადო | 1,9 | 4,0 | 2,1 |
| 888 | დეტროიტი-ლოს ანჯელესი | 1,5 | 4,0 | 3,0 |
| 889 | ნეშვილი-სენტ ლუისი | 2,4 | 4,0 | 1,7 |
| 890 | დალასი-ფინიქსი | 1,7 | 4,0 | 2,4 |
| 891 | ჩიკაგო-ვაშინგტონი | 2,2 | 4,0 | 1,8 |
| 892 | კალგარი-ედმონტონი | 1,9 | 4,0 | 2,1 |
| 893 | ანაჰაიმი-სან ხოსე | 1,9 | 4,0 | 2,1 |

19 თებერვალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 894 | ნიუ ჯერსი-აილენდერსი | 1,25 | 4,0 | 4,4 |
| 895 | ოტავა-ვანკუვერი | 1,4 | 4,0 | 3,4 |
| 896 | ბუფალო-ლოს ანჯელესი | 1,9 | 4,0 | 2,1 |
| 897 | მონრეალი-ტორონტო | 2,1 | 4,0 | 1,9 |
| 898 | ფილადელფია-ვაშინგტონი | 1,6 | 4,0 | 2,7 |
| 899 | კაროლინა-ტამპა ბეი | 1,4 | 4,0 | 3,4 |
| 900 | ფლორიდა-პიტსბურგი | 1,6 | 4,0 | 2,7 |
| 901 | ედმონტონი-კალგარი | 1,6 | 4,0 | 2,7 |

20 თებერვალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 902 | კოლორადო-დალასი | 1,9 | 4,0 | 2,1 |
| 903 | ჩიკაგო-დეტროიტი | 2,4 | 4,0 | 1,7 |
| 904 | რეინჯერსი-ფილადელფია | 2,0 | 4,0 | 2,0 |
| 905 | ფინიქსი-ატლანტა | 1,3 | 4,0 | 4,0 |

21 თებერვალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 906 | კაროლინა-ვაშინგტონი | 2,0 | 4,0 | 2,0 |
| 907 | აილენდერსი-დეტროიტი | 2,7 | 4,0 | 1,6 |
| 908 | ფლორიდა-ოტავა | 1,6 | 4,0 | 2,7 |
| 909 | ტამპა ბეი-პიტსბურგი | 2,4 | 4,0 | 1,7 |
| 910 | ბუფალო-ნიუ ჯერსი | 2,1 | 4,0 | 1,9 |
| 911 | ნეშვილი-დალასი | 2,2 | 4,0 | 1,8 |
| 912 | ედმონტონი-ლოს ანჯელესი | 1,9 | 4,0 | 2,1 |
| 913 | ანაჰაიმი-სენტ ლუისი | 2,2 | 4,0 | 1,8 |
| 914 | ვანკუვერი-ბოსტონი | 2,0 | 4,0 | 2,0 |

### რაგბი. ექვსი ერის თასი. II ტური

19 თებერვალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 915 | საფრანგეთი-ინგლისი (17$^{00}$) | 1,7 | 6,0 | 1,9 |
| 916 | უელსი-იტალია | 1,1 | 6,0 | 6,0 |
| 917 | ირლანდია-შოტლანდია | 2,0 | 6,0 | 1,6 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩააბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

საქართველოს ჩემპიონატი

# 17 ტური

## საუკეთესო მოთამაშე

**გიორგი ნიკოლაძე**
**-დინამო-**

*საქართველოს პირველ ჩემპიონ თბილისის „დინამოს“ სსუ-სთან შეხვედრაში მხსნელად ამჯერადაც გუნდის ლიდერი გიორგი ნიკოლაძე მოევლინა, რომლის შეუპოვრობამ და შედეგიანმა თამაშმა გადაწყვიტა კიდეც მატჩის ბედი დინამოელთა სასარგებლოდ. ეულად მებრძოლი თბილისელთა კაპიტანი თანაბარი სიძლიერით გამოირჩა დაცვასა და თავდასხმაში. სტუდენტების წინააღმდეგ „დინამოს“ მიერ დაგროვილი 75 ქულიდან 50 პროცენტზე მეტი, კონკრეტულად კი 41 ქულა ნიკოლაძის ანგარიშზე მოდის. იგი ყველაზე შედეგიანი იყო ტურში, ხოლო პირადი რეკორდის გასამეორებლად ქულა დააკლდა.*



**— გიორგი, სსუ-სთან „დინამომ“ მხოლოდ ერთი სათადარიგო კალათბურთელით ითამაშა. ხომ შეიძლებოდა, რომელიმე თქვენგანს ხუთი ჯარიმა მიეღო და მოედანზე კაცნაკლული დარჩენილიყავით. მოთამაშეები აღარ ჰყავს „დინამოს“ თუ...**

— მართალია, „დინამომ“ დიდი დანაკლისი განიცადა, მაგრამ იმდენი მოთამაშე კი ჰყავს, რომ შეხვედრა სრული შემადგენლობით ჩაატაროს. რაც შეეხება მატჩს, რამდენიმე ჩვენიანს ტრავმა აწუხებს, მოედნიდან გაძევებული ვახტანგ უჩუმბეგაშვილის ჯარიმის ფული გუნდს ჯერაც არ გადაუხდია და ამიტომაც ვერ გადის იგი მოედანზე. სსუ-სთანაც ექვსი კალათბურთელით მოგვიწია თამაშმა.

**— ერთხელ „სარბიელთან“ საუბრისას თქვენ თქვით, რომ დიდი სიამოვნებით ითამაშებდით უცხოეთის რომელიმე გუნდში. ინდივიდუალურადაც ვარჯიშობდით და სერიოზულად გქონდათ გადაწყვეტილი კარიერის საზღვარგარეთ გაგრძელება. თქვენი სამომავლო გეგმები ხომ არ შეცვლილა?**

— ინდივიდუალურად ახლაც ვვარჯიშობ და უცხოეთში თამაშიც ძალიან მსურს, ოღონდ ზუსტად არ ვიცი, დასახულ მიზანს როდის განვახორციელებ.

**— კონკრეტული ქვეყანა ან გუნდი ხომ არ შეგირჩევიათ, სადაც თამაშის გაგრძელებას ისურვებდით?**

— მარტო ფულის გამო საზღვარგარეთ არ წავალ. თუ იქნება, აუცილებლად საქართველოზე მაღალი დონის საკალათბურთო ქვეყანა უნდა იყოს, რადგან ძალიან მინდა, დავოსტატდე. ქვეყანა ან გუნდი ჯერჯერობით არ შემირჩევია.

**— საქართველოში არავის მიუწვევიხართ?**

— იყო რამდენიმე წინადადება.

**— მერე სხვაგან რატომ არ გადახვედით? ამჟამინდელი „დინამო“ ის გუნდი არ არის, ოსტატობა რომ აიმაღლოთ.**

— თსუ-ში თამაში არ ვისურვე. სდასუ-ს პრეზიდენტ თემურ ქორიძეს სურდა ჩემი აყვანა, მაგრამ მთავარმა მწვრთნელმა ლევან მოსეშვილმა მთხოვა, „დინამოში“ დავრჩენილიყავი. ბატონ ლევანს მაინც შესტკივა გული თავის ყოფილ გუნდზე. „ბასკოში“ ჩემს გადასვლაზეც იყო საუბარი, მაგრამ ზურაბ ტომარაძის მთავარ მწვრთნელად დანიშვნის შემდეგ აღარ შემხმიანებიან.

**— კვლავ რომ შეგეხმიანონ, თუ გადახვალთ „ბასკოში“?**

— სიამოვნებით. ჩემი აზრით, საქართველოში „ბასკო“ ერთადერთი გუნდია, სადაც სპორტსმენებს ნორმალურ პირობებს უქმნიან.

**— „დინამო“ თუ უხდის ხელფასებს თავის კალათბურთელებს?**

— მე ვიღებ და სხვები, მგონი, არა.

**— მართალია, თქვენ არ ხართ ის პიროვნება, ვინც „დინამოს“ სამომავლო გეგმებში ჩახედულია, მაგრამ იქნებ მაინც იცით რაიმე ამის შესახებ?**

— ზუსტად ვერაფერს გეტყვით, მაგრამ საგაისოდ აპირებენ ისეთი გუნდის შექმნას, რომელიც საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლას შეძლებს.

**— „დინამოს“ წლევანდელი გეგმები როგორიღაა?**

— ვიბრძოლებთ მეშვიდე-მერვე ადგილებისთვის.

**— გუნდში პარტნიორობას ვინ გიწევთ?**

— შეიძლება ითქვას, რომ თამაში მარტოს მიწევს.

**— თქვენ ადრე სიმაღლეს და ფიზიკურ სისუსტეს უჩიოდით. ახლა როგორღა გაქვთ საქმე?**

— გამაღლებით არ გავმაღლებულვარ, ისევ 188 სანტიმეტრი ვარ. წონაში კი თანდათან ვიმატებ და, ალბათ, ჩემთვის სასურველ 88 კილოგრამსაც მალე მივაღწევ.

**— სსუ-სთან თამაშის შესახებ რას იტყვით. თქვენი აზრით, რატომ დაგასახელეს ტურის საუკეთესო მოთამაშედ?**

— ალბათ იმიტომ, რომ სროლა წამივიდა და ჩემმა შედეგიანობამ მატჩის ბედი გადაწყვიტა.

**— ოთხი სამქულიანიდან ყველა მეორე ტაიმში ჩააგდეთ. შესვენების შემდეგ შეტევაში თქვენს გააქტიურებას რით ახსნით?**

— რადგან გუნდში ბურთის მეტოქის ნახევარზე გადმომტანი არ გვყავს, ძირითადად გამთამაშებლობა მევალებოდა. როდესაც თავდასხმაში პრობლემები შეგვექმნა, მწვრთნელის დავალებით მსროლელის ფუნქციაც შევითავსე და სამქულიანებიც ამიტომ მომიმრავლდა.

**— როდის დარწმუნდით, რომ „დინამო“ გაიმარჯვებდა?**

— როდესაც სსუ-ს ლიდერმა ბუბა ბკრიშვილმა ჩემს წინააღმდეგ თამაშისას მიღებული მეხუთე ჯარიმის გამო მოედანი დატოვა. ამის მერე სტუდენტები ჩვენი მომგებნი აღარ იყვნენ.

**— ვის ევალებოდა თქვენი მეურვეობა?**

— მონაცვლეობით მიჭერდნენ რეზო თოდუა და ბუბა ბერიშვილი.

**— ნაკრებიდან ხომ არ შეგხმიანებიან?**

— ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ზურაბ ტომარაძემ გუნდში მოხვედრის ერთ-ერთ კანდიდატად მეც დამასახელა.

**— თქვენი აზრით, თუ მოხვდებით ნაკრებში?**

— ეს უკვე ტომარაძის გადასაწყვეტია.

**— კალათბურთის გარდა რას საქმიანობთ?**

— ვსწავლობ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსებისა და საბანკო საქმის განყოფილებაზე.

**— თქვენთვის უმთავრესი რა არის — კალათბურთი თუ ეკონომისტობა?**

— ისე მიყვარს კალათბურთი, რომ უიმისოდ ცხოვრება ვერ წარმომიდგენია და ძალიან მინდა, პროფესიონალი გავხდე. თუ დასახულ მიზანს ვერ მივაღწიე, ეკონომისტობას, ალბათ, მერე გავიხსენებ.

**როლანდ ლაგუჩიძე**

*ორიოდ წლის წინ თბილისში კალათბურთის ბავშვთა აკადემია დაარსდა. ამით ერთბაშად ორი კარგი საქმე გაკეთდა. ჯერ ერთი, ახალგახსნილმა აკადამეიამ უმალ მიიზიდა კალათბურთის ტრფიალი ნორჩები. მეორეც, ისეთი მოთამაშეები, როგორებიც იყვნენ ნიკოლოზ დერიუგინი, გელა დარსაძე და გია სანაძე, აქტიური კარიერის დასრულებას შემდეგ კალათბურთშივე დარჩნენ, მწვრთნელობას მოკიდეს ხელი და თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას ახლა სწორედ აკადემიის აღსაზრდელებს უზიარებენ.*

*ყოველივეს მოთავე და მთავარი ორგანიზატორი კი ბესიკ ლიპარტელიანი გახლავთ. იგია აკადემიის დირექტორი და ერთი შეხედვითაც კარგად ჩანს, რომ უნარიანად უძღვება საქმეს.*

*ამას წინათ ბატონმა ბესომ თავისთან მიგვიწვია და აკადემიის უახლოეს და სამომავლო გეგმებზე გვესაუბრა. სხვაც ბევრი ითქვა, უფრო კი იმ მანკიერებებზე, რაც ბავშვთა კალათბურთში არსებობს და მნიშვნელოვნად აფერხებს მთლიანად ქართულ კალათბურთს...*



ბესიკ ლიპარტელიანი

# მალე საქართველოში ასაკმოკლებული კალათბურთელები აღარ ითამაშებენ

**— მალე ორი წელიწადი გახდება, რაც აკადემია მოქმედებს. რის თქმა შეიძლება სადღეისოდ?**

— უპირველესად აღვნიშნავ, რომ ჩვენმა იდეამ, დაგვეარსებინა ბავშვთა კალათბურთის კიდევ ერთი კერა, სრულიად გაამართლა. აკადემია თვითდაფინანსებაზეა და როგორც ხედავთ, არც არაფერი უჭირს. ამით იმის თქმა მინდა, რომ რაც უფრო მეტი კალათბურთის სკოლა იქნება საქართველოში, მით უკეთესი. ჯანსაღი კონკურენცია ხომ საერთო საქმესაც სასიკეთოდ წაადგება.

უფრო კონკრეტულად კი გეტყვით, რომ სადღეისოდ 230-მდე ბავშვი ვარჯიშობს ჩვენთან. მათთან მუშაობს ექვსი მწვრთნელი. ყველაზე უფროსები 13 წლისანი არიან, პატარები კი — 1993 წელს დაბადებულნი. ვარჯიშები ტარდება სპორტის დეპარტამენტისა და ფიზკულტურის აკადემიის დარბაზში.

**— თუ არ ვცდები, სხვა ქალაქებშიც დააარსეთ ფილიალები...**

— ზესტაფონში, თელავსა და ხონში ჩვენი ფილიალები გავხსენით. იქაც იგივე პროგრამით ვარჯიშობენ ბავშვები, როგორითაც თბილისში.

**— თანამედროვე ლიტერატურა სად მოიძიეთ?**

— მთავარია მოინდომო, თორემ ეს არ არის პრობლემა. ლიტერატურა უცხოეთიდან ჩამოგვაქვს, ვთარგმნით, ვამუშავებთ და მერე საბოლოო პროგრამას ვაყალიბებთ. გარდა ამისა, კავშირები გვაქვს მსგავსი ტიპის სკოლებთან ამერიკასა და ლიტვაში. შარშან ჩემი მოადგილე სასწავლო დარგში, როლანდ ხომერიკი და მწვრთნელი გელა წულაძე ლიტვაში გავგზავნეთ. მათ ერთი კვირა დაჰყვეს მარჩულიონისის სკოლაში და ძალიან ბევრი საინტერესო ინფორმაცია ჩამოიტანეს. გაეცნენ იქაურ მეთოდიკას და მერე ნანახი ჩვენ გაგვიზიარეს. აუცილებელია, უცხოელებისგან ავიღოთ მაგალითი. მარტო საკუთარ თავში ჩაკეტვა და აქაური დონით დაკმაყოფილება შედეგს რომ არ მოგვიტანს, ვფიქრობ, დღესავით ნათელია.

**— უცხოეთში კალათბურთელთა მივლინება თუა შესაძლებელი?**

— თებერვლის ბოლოს ამერიკაში ვართ მიწვეულნი. ფლორიდის ქალაქ კოკუაში 26-28 თებერვალს ტარდება ტურნირი სახელწოდებით „პრეზიდენტის თასი“. იქ 1987-88-89 წლებში დაბადებულ ნორჩებს წავიყვანთ. სულ თექვსმეტი მონაწილე იქნება, ჩვენს აკადემიას ორი გუნდით წარვადგენთ. თუ არ ვცდები, იქ ბრაზილიისა და არგენტინის გუნდებიც დაგვხვდებიან. დანარჩენები კი ადგილობრივი სკოლების ბავშვები არიან. მწვრთნელებად დარსაძე და დერიუგინი მიგვყავს.

მარტო ტურნირით არ შემოვიფარგლებით, სამი დღის განმავლობაში ჩვენი ბავშვები იქაურ მწვრთნელებთან ივარჯიშებენ. გადაწყვეტილია, რომ ყველანი დავესწრებით „ორლანდო“ — „სიეტლის“ თამაშს, სადაც ვლადიმერ სტეფანიასაც ვნახავთ. ეს ძალიან დიდი სტიმული იქნება პატარებისთვის. გარდა ამისა, ბავშვების გასართობად პროგრამაში დისნეილენდის მონახულებაც შევიტანეთ.

**— ამერიკელებთან ვინ დაგაკავშირათ?**

— თავად ორჯერ გახლდით კოკუაში. ამ ხუთი წლის წინ „ვითა“ გვყავდა წაყვანილი, შარშანწინ — ახალგაზრდული „ვითა“. მას შემდეგ მუდმივი კავშირი გვაქვს მათთან და როცა ამ ტურნირის ჩატარება გადაწყდა, თავად მიგვიწვიეს. სხვათა შორის, წლეულს პირველად აწყობენ ასეთი სახის შეჯიბრს, ამბობენ, მომავალში ტრადიციული გახდებაო.

**— რამდენადაც ვიცი, ლიტვიდანაც გაქვთ მოწვევა...**

— ეს გაზაფხულზე იქნება. 31 მარტს დაიწყება და 3 აპრილამდე გასტანს ტურნირი კაუნასში. საბონისის სკოლა 1989 წელს დაბადებულთა შეჯიბრს მართავს, სადაც ჩვენს გარდა მონაწილეობას მიიღებენ ლიტვის სამი, რუსეთის, ფინეთის, შვედეთის, ლატვიისა და ესტონეთის გუნდები. ამ ტურნირს გაცილებით სერიოზულად ვეკიდებით. კაუნასში საუკეთესო ბავშვებს წავიყვანთ.

**— ევროპის მინიკალათბურთის ფედერაციასთან თუ გაქვთ ურთიერთობა?**

— რა თქმა უნდა. მათ გამოგვიგზავნეს ერთწლიანი პროგრამა, სადა ჩამოთვლილია ყველა ის ტურნირი, რომლებიც სხვადასხვა ასაკის ბავშვთა შორის ტარდება მთელი ევროპის მასშტაბით. თუ სადმე მონაწილეობს სურვილი გაგიჩნდება, მათ უნდა აცნობო და ყოველგვარ ოფიციალურ საკითს მოგიგვარებენ. ჩვენ მინიკალათბურთის ფედერაციას ვთხოვეთ, თუ შესაძლებელია, საქართველოც ჩასვით ამ კალენდარშიო, რაზეც დადებითი პასუხი მივიღეთ. გადაწყდა, რომ 21-24 ივნისს თბილისი 1987 წელს დაბადებულთა ოფიციალურ ტურნირს უმასპინძლებს, რომელიც ოთარ ქორქიას სახელობისა იქნება და ყოველწლიურად გაიმართება. ივნისამდე ჯერ დიდი დროა და ზუსტად ვერ გეტყვით, თუ რომელი ქვეყნის გუნდები ჩამოვლენ. ვფიქრობ, რუსეთის, თურქეთისა და ბალტიისპირეთის წარმომადგენლები გვესტუმრებიან.

გარდა ამისა, მინიკალათბურთის ფედერაციამ გადაწყვიტა, ჩაატაროს ევროპის ჩემპიონატი 13-14 წლის ყმაწვილთა შორის. ამ ასაკში ადრე არასდროს გამართულა მსგავსი შეჯიბრი, რაც დიდი შეცდომა გახლდათ, რადგან მოზარდს კადეტთა ტურნირამდე თითქმის არსად უწევდა თამაში. ამ ჩემპიონატს დაარქვეს „პასარელა“, რაც ქართულად „ხიდს“ ნიშნავს. მონაწილეობა ჩვენც შემოგვთავაზეს და ცხადია, დავთანხმდით, როგორც ამბობენ, წინასწარი თამაშები გეოგრაფიული პრინციპით ჩატარდება და 15 სექტემბრამდე დამთავრდება, ფინალური ეტაპი კი წლის ბოლოს გაიმართება.

**— თქვენ ადრე ბრძანეთ, აკადემიის ბაზაზე ისეთი გუნდი უნდა ჩამოვაყალიბოთ, საქართველოს უმაღლეს ლიგაში თავის სიტყვას რომ იტყვისო...**

— ამას კვლავაც ვაპირებთ, თუმცა ეს უფრო მომავლის საქმეა. 4-5 წელიწადში მოიზრდებიან ჩვენი ბავშვები და მერე კონკრეტულ ქმედებას შევუდგებით. ამასობაში იქნებ ჩვენი ჩემპიონატიც დაემსგავსოს რაღაცას. ერთი კი ნაღდია, თავის დროზე აკადემიას უმაღლეს ლიგაში ეყოლება გუნდი, რომელიც სერიოზული მიზნებისთვის იბრძოლებს. ბიჭებს ექნებათ სტაბილური ანაზღაურება და ყველანაირი პირობა მოსამზადებლად.

**— რა ბედი ელით მათ, ვინც ამ გუნდში ვერ მოხვდება?**

— ასეთები სხვა გუნდებში გადანაწილდებიან, ოღონდ ისე, რომ მისი აღმზრდელი მწვრთნელი აუცილებლად მიიღებს თავისი შრომის საფასურს.

**— თქვენ ერთ-ერთი პირველი ბრძანდებით, ვინც ხმამაღლა აცხადებს, რომ ბავშვთა კალათბურთში ჩვეულ საქმედ იქცა ასაკის გადაკეთება. ეს ყველამ კარგად იცის, მთავარია, კონკრეტული ნაბიჯები თუ იდგმება ამ მანკიერებას აღმოსაფხვრელად...**

— ეს საკითხი დავსვი ფედერაციაში, სადაც მხარი დამიჭირეს, ჩემს აზრს იზიარებს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი დუდუ დადიანიც. ჩვენ ერთობლივი ძალით უნდა დავაღწიოთ თავი ამ ჭაობს. რა აზრი აქვს ასეთ მუშაობას, 3-4 წელს გადაუკეთებ მოთამაშეს, ის კი წავა და მაინც წააგებს. არ ჯობია, რამდენიმე წელი გვქონდეს ჩავარდნა? იმის საშუალება მაინც გვექნება, ჩვენი თავი წამყვან ევროპულ ქვეყნებს შევადაროთ, მაშინ ისიც გვეცოდინება, რამდენით ჩამოვრჩებით მათ. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, ჩაივლის 1982-83 წლებში დაბადებულთა თაობა და ვერცერთი გადაზრდილი ველარ ითამაშებს ბავშვთა ლიგის პირველობებსა თუ ევროპის შესარჩევ ტურნირებში. ყველა ჩემპიონატს იმით დავიწყებთ, რომ გუნდებს მოვთხოვთ განაცხადს, სადაც ამა თუ იმ მოთამაშის ასაკი არქივის მიერ იქნება დამტკიცებული. ჩვენ იძულებულები ვართ, ამ ზერხს მივმართოთ, სხვანაირად ქართულ კალათბურთს ველარ ვუშველით.

**გიორგი გიქაშვილი**

## რეგულარული ჩემპიონატი

# როცა ბრაიანტი იკიდებს

16 თებერვალი

**ინდიანა 109:101 ტორონტო**

ინდიანა: როუზი (32)
ტორონტო: კარტერი (21), მაკგრეიდი (20)

**შარლოტი 85:92 ლეიკერსი**

შარლოტი: კოულმენი (19), მეისონი (18), ჯონსი (20)
ლეიკერსი: ბრაიანტი (26), რაისი (21), ონილი (18 ქულა, 14 მოხსნა)

**ნიუ იორკი 93:89 მინესოტა**

ნიუ იორკი: სპრიუელი (19), ჰიუსტონი (18)
მინესოტა: გარნეტი (28 ქულა, 13 მოხსნა)

**ორლანდო 129:96 კლიპერსი**

ორლანდო: არმსტრონგი (26), ამაეჩი (23)
კლიპერსი: ტეილორი (19)

**პორტლენდი 99:95 გოლდენ სტეიტი**

პორტლენდი: საბონისი (20 ქულა, 11 მოხსნა), სტუდემაიერი (19)
გოლდენ სტეიტი: ბლეილოკი (22), დამპიე (16 ქულა, 16 მოხსნა)

**ვანკუვერი 92:87 ვაშინგტონი**

ვანკუვერი: ბიბი (21), აბდურ-რაჰიმი (19 ქულა, 14 მოხსნა), დიკერსონი (19)
ვაშინგტონი: რიჩმონდი (18)




REUTERS ორლანდოდან

ორლანდო — კლიპერსი. ორლანდოელმა დარელ არმსტრონგმა ჩატენა

კვლავ გრძელდება გაცხარებული ბრძოლა დასავლეთის კონფერენციაში პირველი ადგილისთვის „პორტლენდსა“ და „ლეიკერსს“ შორის. „ლეიკერსმა“ ამ ორიოდე კვირის წინ დაკარგა პირველი ადგილი ცხრილში და ახლა გამწარებით ცდილობს, ბევრით არ ჩამორჩეს ლიდერს, რათა მისი წაფორხილებით ისარგებლოს და ისევ აღზევდეს. ამ ოთხშაბათს ორივე ბობოლამ დიდი ბრძოლა გადაიხადა და ორივე გამარჯვებული გამოვიდა.

ლოსანჯელესელები აღმოსავლეთს, ქალაქ შარლოტს სტუმრობდნენ. საერთოდ „ლეიკერსი“ ურიგოდ არ თამაშობს მისისიპის გადმოღმა დარბაზებში. შვიდ შეხვედრაში ექვსჯერ უმარჯვია, მაგრამ სტუმრებმა ისიც მშვენივრად იცოდნენ, რომ „შარლოტ კოლიზეუმში“ თამაში, ვთქვათ, ჩიკაგოში ბურთაობას არ ნიშნავს. აქ ბევრს მოსცარვია ხელი — მიმდინარე სეზონში შინ მხოლოდ სამჯერ წააგო „ჰორნეთსმა“, რითაც მარტო „ინდიანას“ ჩამორჩება. თავის მხრივ, რაღა თქმა უნდა, არც „ლეიკერსია“ ისეთი მეტოქე, რომელთანაც იოლად გაისეირნებ. ასე რომ, მოსეირეებმა თამაშამდე ერთი საათით ადრე შეავსეს ვეება 23 799-კაციანი დარბაზი. გუნდებს ერთმანეთისთვის ომის გამოცხადების მიზეზიც ჰქონდათ. ამ ერთი წლის წინ ორმა კლუბმა დიდი გაცვლა მოაწყო, რის შედეგადაც „შარლოტის“ ლიდერი გლენ რაისი „ლეიკერსში“ გადაბარგდა. სანაცვლოდ „ჰორნეთსმა“ ედი ჯონსი და ელდენ კემპბელი მიიღო.

ყოფილ ბინაში სტუმრის სტატუსით მოსულ გლენ რაისს ათასობით ემოციური გულშემატკივარი ერთობ მტრულად დახვდა, მაყურებლებმა სხვებსაც ბევრი უსტვინეს. „განსაკუთრებული რამაა აქ მოგება — ამბობდა თამაშის შემდეგ „ლეიკერსის“ 21 წლის სუპერვარსკვლავი კობი ბრაიანტი — შარლოტელი ბიჭები აქ პრაქტიკულად არ აგებენ, იმდენად დიდია სტუმარ გუნდზე ზეწოლა. ყველაფერი ჩვენს წინააღმდეგ იყო და ძლიერ გაგვიჭირდა თამაში, მაგრამ მერე და მერე მე ჩემს თავს ვუთხარი, ფეხებზე დაიკიდე ყველაფერი, შენი თამაში ითამაშე-მეთქი. სხვებსაც იგივე ვურჩიე და აკი მოვიგეთ კიდეც“.

პირველ ნახევარში „ლეიკერსს“ მართლაც გაუჭირდა მოგუგუნე დარბაზში თავისი თამაშის პოვნა. ბობოლა გუნდი დათრგუნული ჩანდა და მასპინძლებმა იფიქრეს, ეს-ეს არის გატყდებაო, სწორედ მაშინ ათამაშდა ბრაიანტი. იგი ადრეც ხშირად შველიდა თავის გუნდს კრიტიკულ სიტუაციებში და ახლაც გაჭირვების ტალკვესად მოევლინა. ბოლო მეოთხედში, როცა „შარლოტი“ რვა ქულის სხვაობით იგებდა კობი აფეთქდა და ერთ მონაკვეთში რვა ქულა მიითვალა, რამაც მისი გუნდი წინ გაიყვანა, მასპინძლებმა ბოლო წუთებში ძალები ველარ მოიკრიბეს და მეტოქემ გამარჯვება იზეიმა.

რამდენიმე დღის წინ „ოლ სტარის“ უძვირფასესი მოთამაშის ტიტულით ხელდამშვენებული შაკილ ონილი მოექცა ჩრდილში. ონილს ერთ დროს „ლეიკერსში“ მისი შემცვლელი ელდენ კემპბელი აედევნა და კარგადაც გააწამა. კემპბელმა შეტევაზე უარი თქვა და მთელს თავის შესაძლებლობებს ონილის გაუვნებლებას ახმარდა. ორჯერაც დაუფარა ამ მთაკაცს, მაგრამ თამაშის მიწურულს მეექვსე ჯარიმას გამოჰკრა ხელი. ონილმა აბეზარი მეურვის ჩამოცილების შემდეგ მოახერხა რამდენიმე ბურთით შეშველებოდა თავისიანებს.

„ლეიკერსმა“ კი მოიგო, მაგრამ მაინც ვერ დაწინაურდა, რადგან, როგორც ზემოთ ითქვა, არც „პორტლენდი“ აღმოჩნდა ჯაბანი და გამარჯვება მანაც მოახერხა, სწორედაც რომ მოახერხა, რადგან უსახური „გოლდენ სტეიტი“ ცოცხალი თავით არ თმობდა და „პორტლენდს“ ტოლ-სწორად შებმოდა. აღსანიშნავია, რომ სანფრანცისკოელებს ლიდერი ანტაუნ ჯემისონი ტრავმას შეუწუხებია, კიდევ ერთი წამყვანი მოთამაშე ჯონ სტარქსი კლუბმა „ჩიკაგოში“ გაუშვა. მის სანაცვლოდ გუნდში მოსულმა ლარი ჰიუზმა ვერ მოასწრო პორტლენდს გაფრენა ახალ გუნდთან ერთად. საერთოდ, ეს გაცვლა სულ ახლახან მოხდა და ჰიუზს ჯერ არც მოურგია „მეომართა“ ფორმა. „გოლდენ სტეიტს“ არც კრის მილზი ახლდა პორტლენდში. ისიც ტრავმის გამო. „ვორიორზმა“ ყოველივე ეს არად ჩააგდო და როგორც ნამდვილი მეომარი, ისე ეძგერა გაოგნებულ „პორტლენდს“. პირველი ნახევარიც მას დარჩა — 22:19. „პორტლენდი“ მალევე გამოერკვა და 221-სანტიმეტრიანი გიგანტის არვიდას საბონისისა და 178-სანტიმეტრიანი დეიმონ სტუდემაიერის ფხიანი თამაშის წყალობით მცირედი უპირატესობაც მოიპოვა. მათ პიპენმა (16 ქულა) და სმიტმაც (14 ქულა) წაახმარეს ხელი და მასპინძლები მხოლოდ მაშინ მოეშვნენ, როცა ბოლო მეოთხედში 10 ქულით დაწინაურდნენ. მაინც არ დაცხრა სტუმარი, თუმც „ვორორზის“ თავგამოდებას შედეგად მხოლოდ სხვაობის შემცირება მოჰყვა.

ინდიანაპოლისში იქაურ „ინდიანას“ კანადურმა „ტორონტომ“ ფიცხელი ბრძოლა გაუმართა, მაგრამ მხოლოდ მეორე ნახევარში, როცა უკვე 20 ქულის სხვაობით აგებდა. „ინდიანა“ „შარლოტზე“ უკეთ იყენებს საკუთარ კედლებს და პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის სტუმართა გამარჯვებას. ლარი ბერდის შეგირდებს შინ სულ ორჯერ წაუგიათ, ისიც ბრმა შემთხვევის წყალობით და თავიანთი გამარჯვება არც ახლა გაუხდიათ საეჭვოდ. „ინდიანას“ ოლსტარნათამაშევმა თავდამსხმელმა დეილ დევისმა თავის გუნდს 13 ქულა, 13 მოხსნა და 6 დაფარება შეაწია, გამოცდილმა მარკ ჯეკსონმა 13 ქულა და 15 პასი გააზერხა, მაგრამ ეს თამაში მაინც სხვა კაცის ბენეფისად იქცა. ფრთა ჯალენ როუზს ლიგის ერთ-ერთ საუკეთესო ფრთის, ვინს კარტერის წინააღმდეგ უწევდა თამაში, მაგრამ იგი არ შეეპუა მფრინავ მეტოქეს, ექვსიდან ექვსი სამქულიანი ჩააგდო და მის წინააღმდეგ თამაშში 32 ქულას გამოჰკრა ხელი, რითაც კარიერის რეკორდიც დაიმყარა. კარტერმა ბევრი იწვალა, მაგრამ მხოლოდ 21 ქულა მოაგროვა როუზთან ჭიდილში. კარტერის გარდა კიდევ ერთ სტუმარს სურდა, თავი გამოეჩინა „ინდიანასთან“, ეს ანტონიო დევისია (17 ქულა, 13 მოხსნა), რომელსაც ექვსი სეზონი უთამაშია „პეისერზში“ და მუდამ ძირითადი ცენტრის, ჰოლანდიელი რიკ სმიტსის შემცვლელად. ანტონიომ დაჩრდილა საკმაოდ მობერებული სმიტსი, რომელმაც სულ ექვსი ქულა მოაგროვა, მაგრამ ამით საქმეს არ ეშველა.

ერთობ დაძაბულად წარიმართა „ნიუ იორკ“-„მინესოტას“ მატჩის ბოლო წამები. საფინალო სირენამდე 14,6 წამით ადრე „მინესოტას“ ლიდერმა კევინ გარნეტმა სხვაობა ორ ქულამდე დაიყვანა — 89:91. მინესოტელები დროის მოგების მიზნით იმწამსვე „ნიქსის“ ლიდერ ალან ჰიუსტონზე დაჯარიმდნენ და მანაც 13 წამით ადრე ორივე საჯარიმო ააცილა, რითაც „მედისონ სკვერ გარდენში“ თავმოყრილი 20-ათასკაციანი აუდიტორია ლამის შოკში ჩააგდო, თუმც იმდენი იბრძოლა, 3,9 წამით ადრე კვლავ მოიპოვა ორი საჯარიმოს სროლის უფლება და ამჯერად აღარ შემცდარა

**ირაკლი ფირცხვილი**

# დიდი ჩიკაგო საბოლოოდ დაიშალა

## კუკოჩი ფილადელფიელია

„ჩიკაგო ბულზმა“ საბოლოოდ გაწყვიტა კავშირი ძველ დროებასთან. გუშინ გუნდი დატოვა 1996-98 წლების „დიდი ჩიკაგოს“ ხორვატმა ფორვარდმა ტონი კუკოჩმა. შეგახსენებთ, რომ აღნიშნულ წლებში „ჩიკაგო“ ზედიზედ სამჯერ გახდა ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ჩემპიონი.




ტონი კუკოჩი (№7)

31 წლის კუკოჩი სამ გუნდს შორის მომხდარი გარიგების „მსხვერპლია“. იგი —„ფილადელფიაში“ გადავიდა. მის სანაცვლოდ „ფილადელფიიდან“ „ჩიკაგოში“ გადაბარგდა უკანახაზელი ბრიუს ბოუენი. „ჩიკაგომ“ ივაჭრა „გოლდენ სტეიტ ვორიორზთანაც“: ფორვარდი ლარი ჰიუზი მისცა, სამაგიეროდ კი ვეტერანი უკანახაზელი ჯონ სტარქსი მიიღო. ფილადელფიელი ფორვარდი ბილი ოუენსი კი „გოლდენ სტეიტში“ გადავიდა.

კუკოჩი „დიდი ჩიკაგოს“ ერთ-ერთი უმთავრესი ფიგურა იყო და მისი წვლილი გუნდის სამჯერ გაჩემპიონებაში არცთუ უმნიშვნელოა. მაიკლ ჯორდანის, სკოტი პიპენის და დენის როდმანის თანაგუნდელი, 1996 წელს სეზონის საუკეთესო მეექვსე მოთამაშედ აღიარეს. „ფილადელფიაში“ გადასვლით კუკოჩი კმაყოფილია: „მიხარია, რომ კვლავ ჩემპიონობისთვის მებრძოლ გუნდში ვითამაშებ“. ხორვატის საშუალო მაჩვენებლები ამ სეზონში 18 ქულა, 5,4 მოხსნა და 5,2 პასია. ეს ყველაფერი მან 24 მატჩში მოახერხა, ზუსტად ამდენი შეხვედრა კი ზურგის ტრავმის გამო გამოტოვა.

## ევროლიგა

II ჯგუფური ეტაპი. VI ტური. 17 თებერვალი

| E ჯგუფი | G ჯგუფი |
| --- | --- |
| ბარსელონა 66:67 ალბა | მაკაბი 66:54 კახა სან ფერნანდო |
| ცსკა 76:64 ჟალგირისი | ვილერბანი 57:83 ბუდუჩნოსტი |
| **F ჯგუფი** | **H ჯგუფი** |
| პანათინაიკოსი 71:75 პაოკ | ეფესი 95:74 ულქერი |
| ოლიმპია 59:47 ცრვენა ზვეზდა | ციბონა 88:80 პივოვარნა |
| რეალი 86:79 შოლე | |

## კორაჩის თასი

მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩები. 16 თებერვალი

(ფრჩხილებში პირველი მატჩის შედეგია)

***ესტუდიანტესი (ესპანეთი)*** — ნოზილესი (პოლონეთი) 84:55 (69:74)

ესტუდიანტესი: აიშა (2), არანსი (2), აზოფრა (2), გარსია (10), ხიმენესი (12), მარტინესი (4), რეიესი (19), რობლესი (5), ტომპსონი (9), ვანდივერი (19)
ნობილესი: გრიშჩუკი (11), იანკოვსკი (8), კონდრაციუკი (9), მიგლინიეკსი (6), პრაგიცა (3), სნეპსი (8), ტომაშევსკი (10), ვიტკა

აეროპორტი (იტალია) — ***ხირონა (ესპანეთი)*** 66:78 (67:61)

აეროპორტი: ამბრასა (12), კესელი, ფერონი (3), იუზოლინო (14), კიდი (12), როსინი (2), ტონოლი (9), ვილიამსი (14)
ხირონა: დარნესი, კუისმა (4), ლასო (12), მიდლტონი (19), მორაგა (11), სანჩესი (11), სტიუარტი (18), ვალმახო (3)

ტელეკომი (თურქეთი) — ***ლიმოჟი (საფრანგეთი)*** 75:67 (57:71)

ტელეკომი: ბიბო, ევლიაოღლუ (12), გირგინი (3), იაგოდნიკი (9), იურკოვიჩი (26), კაჩარი (7), კრალევიჩი (18)
ლიმოჟი: ბონატო (12), ბრაუნი (11), დიუმა (4), ფრიგუ (2), ჰემი (3), მეტელი, რუპერტი (2), ვეისი (12), ვილიამსი (21)

მარუსი (საბერძნეთი) — ***უნიკახა (ესპანეთი)*** 60:63 (58:77)

მარუსი: ამაია (14), ფალეკასი (8), კორფასი (8), ლოგოთეტისი (4), მანოლოპულოსი (5), პანაიოტარაკოსი (7), პანტელიადისი (4), პაპახრონისი (2), ტერნერი (6), ჟურბენკო (2)
უნიკახა: ხურადო (4), ფერნანდესი (13), ჟომინი (5), მარკაჩინი (3), მრშიჩი (17), კონსეისაო (2), ორენგა (3), პეტრუშკა (9), რომერო, სალიერი (7)

*დახრილი შრიფტით გამოყოფილი გუნდები გავიდნენ ნახევარფინალში*

**ნახევარფინალი. 1-8 მარტი**

უნიკახა (ესპანეთი) — ესტუდიანტესი (ესპანეთი)
ხირონა (ესპანეთი) — ლიმოჟი (საფრანგეთი)



REUTERS ანკარიდან

ტელეკომი — ლიმოჟი 75:67. ლიმოჟელი ჯეიმს ბრაუნი მეტოქის კალათს უტევს

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საფრანგეთი

მეორე დივიზიონი
XXVII ტური
გენგამი 2:0 ტულუზი

## იტალია

თასის ნახევარფინალი
II მატჩი
*ინტერი* 1:2 კალიარი (3:1)

## ესპანეთი

თასის მეოთხედფინალი
II მატჩი
მერიდა 2:1 დ.დ. (1:0) *რეალი* (0:1)

## ჰოლანდია

თასის მეოთხედფინალი
ტილბურგი 1:2 დ.დ. (1:1) ალკმარი

## საბერძნეთი

თასის მეოთხედფინალი
ოფი 1:0 კალამატა



# რონალდო კანში ვერ ეტევა

რონალდო კანშია. ამ განთქმულ ფრანგულ ქალაქში გაეროს საზოგადოებრივი ელჩი იმიტომ ჩასულა, რომ იქაურ საბაზრო ფესტივალს დაესწროს და ახალი ვიდეოთამაშის, „რონალდოს“ პრეზენტაცია დააფასოს. აპრილამდე დრო აქვს — მერე კი, კვლავ „სან სიროზე“...





# ცუდი ამბავი

მოსკოვის ცესკას მთავარი მწვრთნელისა და 70-იანი წლების პოპულარული ფეხბურთელის ოლეგ დოლომატოვის მეუღლე ნატალია 6 თებერვალს გასულა სახლიდან და აღარ დაბრუნებულა.

საპოლიციო ძებნამ და გამოძიებამ ჯერჯერობით შედეგი ვერ გამოიღო. ბოლოს ნატალია დოლმატოვა უნახავთ რკინიგზის სადგურ მალახოვკაზე, საიდანაც მეტრო ვიხინოსკენ ეჭირა გეზი.

ექვსი წლის წინათ გადაღებული ეს ფოტო დოლმატოვთა იდილიურ ურიერთობაში გვარწმუნებს.



# კეთილი ნებით

*ამერიკული ლეიკ პლესიდი, სადაც ოცი წლის წინათ ზამთრის ოლიმპიადა ჩატარდა, ახლა კეთილი ნების ზამთრის თამაშებს მასპინძლობს. სადაც კეთილ ნებას ახსენებენ, პოლიტიკაც იქვეა — სპორტი სისხლის წინააღმდეგო. ბოსნიის ელჩი გაეროში მუჰამედ საქირბეი მღელვარედ იხსენებს 1984 წლის სარაევოს ზამთრის ოლიმპიადას. მის გვერდით მდგომი ბოსნიელი სპორტსმენი ადი პეკმეჟოვიჩი სწორედ იმ ოლიმპიადის დღეებში დაიბადა.*




# მაკინროის ორმოცდაერთი სანთელი

ირლანდიის დედაქალაქ დუბლინში იქ მეტად პოპულარული საჩოგბურთო ტურნირი, ჩემპიონთა შეჯიბრი იწყება. წარსულის დიდი მეჩოგნენი, ბიორნ ბორგი და ჯონ მაკინროიც იქ არიან. მეტიც, წილისყრა ამათი ხელით მოხდა და ორად გაყოფილ ჩოგბურთელებსაც მაკინროისა და ბორგის ჯგუფები ეწოდათ. ამას ისიც დაემთხვა, რომ მაკინროიმ ორმოცდაერთი წლისა მოიყარა და ტურნირის პატრონებმა იუბილარს ჩოგნის ფორმის ტორტი მიართვეს.




სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

**მთავარი რედაქტორი** ზურაბ ფოცხვერია
**დირექტორი** გიორგი ოქრომჭედლიძე
**რედაქტორი** თამაზ მიგრიაული
**მთავარი რედაქტორის მოადგილეები** ილია ბაბუნაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი
**ქართული ფეხბურთის რედაქტორი** ვახტანგ ბზიკაძე
**უცხოური ფეხბურთის რედაქტორი** სოლომონ გულისაშვილი
**ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი** სოსო კოტორეიშვილი
**ტექნიკური რედაქტორი** გურამ ხელაშვილი
**კალათბურთის განყოფილების გამგე** მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ზაზა ბენიძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კაზურაშვილი, ნინო კეჟელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli